ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი, 12 მარტი, 2009 №13 (3506) ფასი 1 ლარი


# ბრინჯაოს აკუა-საგა




www.uefa.com

გიორგი მეგრელაძის „ოლიმპი" სევასტო თოლდუას „ზესტაფონს" მესამე ადგილს ეცილება

# მოემზადე და კიდევ ჩამოდი
## სერმა მოუ ისევ ჩაჭრა






# კახა კალაძე ბუცებს არ ჩამოკიდებს
## საქართველოს ნაკრების კაპიტანს კარიერა ბელგიაში გადაურჩინეს!



## 2:0 ლუქსემბურგთან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდის წინ.

გელა შეყილაძის გუნდმა ლუქსემბურგის ნაკრები 2:0 დაამარცხა.

გოლები ირაკლი შეყილაძემ და გიორგი ჭანტურიამ გაიტანეს.

დღეს საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგიდან ავსტრიაში გადავა, სადაც ერთკვირიან შეკრებას გაივლის და 20 მარტიდან ელიტ-რაუნდშიც ჩაებმება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენების მეტოქეები შოტლანდია, იტალია და ავსტრია არიან.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაური კუნძული

1998 წლის სექტემბერი იყო, კვიპროსმა ევრო-2000-ის შესარჩევში ესპანეთის ნაკრები ისტუმრა და 3:2 მოუგო. ვერ ვიტყვით, რომ იმ დღიდან ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუნძულ-ქვეყანამ ფეხბურთში ევროპა გაաოცა, რაკიღა ისინი არასოდეს გასულან რომელიმე დიდ ტურნირზე, მხოლოდ ერთხელ, სწორედ ესპანეთთან მოგების შემდეგ აკრიფეს ქულები და ბოლო ტურის წინ კიდევ ინარჩუნებდნენ ჯგუფიდან გასვლის შანსს, მაგრამ კვიპროსი და ფინალური ეტაპი მაინც წარმოუდგენელია.

უბრალოდ, ესპანეთთან გამარჯვება იმად ვახსენეთ, რომ მას შემდეგ კუნძულელთა ნაკრები მოყოჩაღებულია. რა თქმა უნდა, შედარებით...

წარმოუდგენელი ჩანდა კვიპროსული კლუბის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშიც, თუმც საოცრება მოხდა. ეს სხვა თემაა, კვიპროსული კლუბები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მათი ნაკრები, რადგან „ანორთოსისში", „ომონიაში" და აპოელ-ში ამინდს ლეგიონერები ქმნიან.

კვიპროსი გამწარებული ქვეყანაა. საქართველოსი არ იყოს, მიმზიდველი ბუნებისა და კეთილმდებარეობის გამო ხშირად აწიოკებდნენ. დღესაც, კვიპროსის ჩრდილოეთს თურქები აკონტროლებენ — სწორედ ჩრდილოეთშია კურორტ-ქალაქი ფამაგუსტა, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური თურქები შეადგენენ, მაგრამ დახედეთ „თავხედობას", ფამაგუსტას ჰყავს გუნდი, რომელშიც თურქები არ თამაშობენ და შარშან ევროპა გააოცეს.

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი" პატარა ზღაპარია, ამიტომაც ახლა ამ კლუბზე ლაპარაკი და ათასგზის დაწერილის კიდევ დაწერა შორს წაგვიყვანს.

მოდით, ვისაუბროთ, როგორი საფეხბურთო აურაა კვიპროსზე, როგორი ნაკრები ჰყავთ... ნაკრები უკვე ვნახეთ, მაგრამ ახლა მათი თამაშის თავისებურებებზე ვთქვათ...

„ალბათ, არ არსებობს ევროპაში ჩვენსავით საშინაო ნაკრები. ასე არიან ჩვენი კლუბებიც" — წერს ვებგვერდ „კერკირას" ჟურნალისტი.

ასეცაა, შედეგებს თუ გადავხედავთ: ევროპაში არ არსებობს ნაკრები, კვიპროსზე იოლად რომ იგებდეს და საერთოდაც, იქიდან იშვიათად თუ ვინმე მოდის სამქულადაბევებული. რაღა შორს წავიდეთ, წინა შესარჩევ ციკლში კუნძულელებმა ირლანდია 5:2 გაანადგურეს, გერმანიას 1:1 ეთამაშნენ, ხოლო მიმდინარე, ჩვენთვის საინტერესო ჯგუფში იტალიამ იქ ზღაპარში იმარჯვა 2:1.

„დასანანი მარცხი ვიგემეთ ირლანდიაში, თუმც ვფიქრობთ, კვიპროსის ნაკრებს შინ შეუძლია მათი დამარცხება, ისევე როგორც სხვა გუნდებისა" — წერს „კერკირა".

რით დაგვამახსოვრდა კვიპროსი თბილისში? მათთან საქართველოს ნაკრებმა ყველაზე უხარისხო ფეხბურთი ითამაშა, რაც კი ექტორ რაულ კუპერის თავკაცობით ჰქონია.

1:1, რომელშიც თუ რომელიმეს უნდა მოეგო, სწორედ კვიპროსს, რაკიღა მათ პენალტიც გააფუჭეს და პლუს, სახიფათო მომენტებიც ბლომად შექმნეს.

აკი, ვთქვით, კვიპროსულ კლუბებს ტონს ლეგიონერები აძლევენო. მაგრამ გამონაკლისებიც არიან: მაგალითად, მარცხენა გარემარბი ევსტაფიოს ალონეფტისი. მისი შესაძლებლობების გათვალისწინება ნამდვილად მოუწევს კუპერს, რაკიღა კარგად ეხსომება თბილისური შეხვედრა, სადაც ამ დრიბლიორმა სიქა გააცალა უჩა ლობჟანიძეს — იშვიათად, ასეთ დღეში ჩავარდნილ გარემარბს მცველი.



ალონეფტისი ტოპ-ფეხბურთელი არაა, მაგრამ მისი სტილის გარემარბები საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობენ, ამიტომაც გაუჭირდა ლობჟანიძეს.

ჰო, სხვათა შორის, ალონეფტისი „ომონიაში" ირჯება და ბევრი მისი თანამემამულის დარად, უცხოეთში არ მიდის. კვიპროსელები დიდად არ ეტანებიან ძლიერ ჩემპიონატებს, რაკიღა თავიანთიც აკმაყოფილებთ.

უკვე შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ თამაშს შესთავაზებს ანგელოს ანასტასიადისის გუნდი საქართველოს: სწრაფი ტემპი და შეტევები. სხვაგვარად ისინი შინ არ თამაშობენ.

კვიპროსი ბოლივია არ არის, სადაც ზღვის დონიდან ლამის კილომეტრით ზემოთ თამაშობდნენ და სტუმრები იგუდებოდნენ. მაგრამ ამ პატარა ევროპულ კუნძულზე ჩასვლა და ლაღი თამაში ბევრი გრანდისთვის დღემდე მიუღწეველად დარჩა.

ეს თემურ ქეცბაიასაც უთქვამს ჩვენთვის.

**ილია ნანობაშვილი**

**კვიპროსი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში:**

171 მატჩი: +21 =19 -131, ბურთები 121:483

შინ:

85 მატჩი: +18 =12 -55, ბურთები 90:173

სტუმრად:

86 მატჩი: +3 =7 -76, ბურთები 31:310





სარბიელის არქივიდან

# სეგრტი მორჩა, ჩხეიძე დაიწყო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი ტექნიკური დირექტორი ჰყავს — ნიკა ჩხეიძე, რომელსაც კარგად იცნობს ქართული ფეხბურთის ქომაგი.
ჩხეიძე ნლების განმავლობაში იცავდა საქართველოს ეროვნული ნაკრების კარებს, მერე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მუშაობდა.
ჩხეიძეს ჯერ, რა თქმა უნდა, ტექნიკური დირექტორად დანიშვნა მივულოცეთ და მერე ინტერვიუც ვთხოვეთ...

— რამდენი ხანია, რაც ტექნიკური დირექტორის პოსტი შემოგთავაზეს?

— არ არის დიდი ხანი, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არჩელაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა შემომთავაზეს თანამშრომლობა. სიმართლე გითხრათ, არც მიყოყმანია, რადგან ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და მინდა, ქართულ ფეხბურთს მხარში ამოვუდგე.

— თქვენი წინამორბედი, ხორვატი პეტარ სეგრტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღარ იმუშავებს?

— პირადად მას არ ვიცნობ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სეგრტი ფედერაციაში აღარ მუშაობს.

— ბოლო დროს ფეხბურთს ჩამოშორებული იყავით. რატომ?

— ფეხბურთიდან არასოდეს წავსულვარ. კომპანია „თოლიაც“, სადაც მე ვსაქმიანობდი, აქტიურად იყო ჩართული ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა პროექტებში.

— ტექნიკური დირექტორის ძირითადი ფუნქცია სხვადასხვა ნაკრებების საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაა. კიდევ რა გევალებათ?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბალანსზე არსებული ობიექტებს ინფრასტრუქტურის განვითარება, მწვრთნელთა ლიცენზირება და კიდევ ბევრი რამ.

— ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი ელის — სტუმრად კვიპროსთან და შინ ბელარუსთან. ახლა ამ მატჩებისთვის მოსამზადებელ საკითხებს ვაგვარებ.

— ყველასთვის ნათელია, რომ დღევანდელი ქართული ფეხბურთის მდგომარეობა არახარბიელია. ყველაზე მთავარი გასაკეთებელი რა არის?

— ევროპას მართლაც საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ქართული ფეხბურთი რომ განვითარდეს, ამისთვის აუცილებელია მთავრობის მეტი მხარდაჭერა და ამის შემდეგ კერძო სექტორიც ჩაერთვება საქმეში. ყველა ნორმალური საფეხბურთო ქვეყანა ასე განვითარდა. ასე საქმე აეწყობა, ეროვნული ჩემპიონატის დონეც აიწევს და ნაკრებსაც ექნება წარმატება.

**ნუკრი ლოლაძე**

# კოსტავას მერსედესი ისევ გაურკვეველია

**თვეზე** მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ოსმა სეპარატისტებმა წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, თამაზ კოსტავას კუთვნილი „მერსედესი“ გაიტაცეს.

შეგახსენებთ, რომ მაშინ ოსმა კრიმინალებმა მანქანასთან ერთად მსაჯი მალხაზ ბეუქლიშვილიც გაიტაცეს. საბედნიეროდ, ბეუქლიშვილის დახსნა უვნებლად მოხერხდა, აი, მანქანა კი ჯერაც კრიმინალებს ჰყავთ.

როგორც გუშინ კოსტავამ გვითხრა, ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი სიახლე არ არის.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბრძოლა დატაცებასთან
# 18 წლამდე საერთაშორისო ტრანსფერი გამორიცხულია?

**კარგი** თუ ცუდი, თავად განსაჯეთ, მაგრამ უეფამ, ევროპის კლუბების ასოციაციამ და პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა (ფიფპრო) ჩვენთვის მეტად საინტერესო კანონი შეიმუშავეს — 18 წლამდე ფეხბურთელების საერთაშორისო ტრანსფერები აიკრძალა.

ამასთან, ჭაბუკმა ფეხბურთელმა თავისი პირველი პროფესიონალური კონტრაქტი უნდა გააფორმოს იმ კლუბთან, რომელმაც ის გაიზარდა.

ახლა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ევროსაბჭომ უნდა დაამტკიცოს, რადგან კანონის მიხედვით, ევროპაში 16 წლიდან შეიძლება მუშაობის დაწყება.

რამდენად იმოქმედებს ეს ქართულ ფეხბურთზე?

მთლიანად ქართულ ფეხბურთზე არ ვიცით, მაგრამ ერთი კია, ამდენი ჭაბუკი ველარ წავა უცხოეთში, როგორც დღესაა.

მაგალითად, ლევან მჭედლიძე ავიღოთ, რომელმაც თავისი პირველი კონტრაქტი იტალიურ „ემპოლისთან“ გააფორმა, თუმც სულაც არ არის „ემპოლის“ აღზრდილი.

ასეთის კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეგვიძლია.

თუ ევროსაბჭო ამ ვერდიქტს ვეტოს არ დაადებს, ბობოლა კლუბები წაგებულები დარჩებიან.

შეხედეთ ლონდონის „არსენალს“, რომელიც ყოველწლიურად უფორმებს კონტრაქტებს 14-15 წლის ბავშვებს (უმეტესად, საფრანგეთიდან წაყვანილებს) და, ცხადია, ამას მინიმალური დანახარჯებით ახერხებს.

თუმც გაუგებარი მაინც რჩება ერთი პუნქტი: ჭაბუკმა პირველი პროფკონტრაქტი უნდა გააფორმოს იმ კლუბთან, სადაც გაიზარდა.

მაგალითად, ვისთან უნდა გააფორმოს ხელშეკრულება „მთვარის გლობუსში“ ან „იმედში“ გაზრდილმა ბიჭმა?

აქ, ალბათ, გარკვეული ჩარჩოები იქნება, თუმც ამის თაობაზე არაფერი წერია.

ალბათ, ეს თემა კიდევ უფრო განივრცობა, თუმც ფაქტი ისაა, რომ ეს ორგანიზაციები, რომლებმაც ვერდიქტი გამოიტანეს, ფეხბურთელთა დატაცებას ებრძვიან და ცდილობენ მაინც, რომ ებრძოლონ.

**ილია ნანობაშვილი**



რას იზამენ „ახალი ლევან მჭედლიძეები“?

# კვიპროსზე ჩარტერით

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები 28 მარტს კვიპროსის ნაკრებს შეხვდება სტუმრად და ჩვენი ნაკრები ჩარტერული რეისით მიფრინავს კვიპროსზე.

ქართული ფეხბურთის ქომაგებს ტურისტული ფირმა GFF-ტრეველი საკმაოდ სარფიან პირობებს სთავაზობს კუნძულზე წასვლის მსურველებს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ საქართველოს ნაკრებს ბევრი ქომაგი გაჰყვება, რაც, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო იშვიათად ხდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ანჟიმ თურქეთი დაასრულა



**მახაჩყალის** „ანჟიმ“ თურქული შეკრება დანიურ „ფრამთან“ ამხანაგური მატჩით დაასრულა.

ომარ თეთრაძის გუნდმა 3:2 იმარჯვა.

გიორგი ნავალოვსკიმ და გოჩა ხოჯავამ სრულად ითამაშეს, კახა ალადაშვილი მე-60 წუთზე შეცვალეს, ოთარ მარცვალაძე — 52-ეზე, ხოლო სანდრო იაშვილი — პირველი ტაიმის შემდეგ.

**ოთარ მხეიძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
23 ტური

# შევბოჭეთ და შევიბოჭეთ

## ცობელმა იცის, რომ ეს ცუდი იყო

**საქართველოს** მე-20 ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურში შეხვდნენ ეს გუნდები ერთმანეთს და მაშინ „გაგრამ" დიდი სენსაცია გამოაცხო — უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს 2:1 სძლია და თამაშს ხასიათიდან გამომდინარე, ეს შედეგი სამართლიანიც იყო.

მას შემდეგ ბევრი ტური გავიდა, „დინამომ" მეორე წრეში „ეროვნულზე" 3:0 მოუგო ვლადიმერ ხაჩიძის გუნდს და მესამე მატჩის დროც დადგა.

დედაქალაქელებმა თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვეს. ახალგაზრდა გაგრელებს ბურთის შენარჩუნება უჭირდათ, გერმანელი რაინერ ცობელის შეგირდები კი შეტევაზე იყვნენ დაგეშილნი, თუმც მწვავე მომენტი მე-12 წუთამდე არ შექმნილა რევაზ თევდორაძის კართან. აღნიშნულ ეპიზოდში კი მათე ვაწაძემ დაარტყა შორეულ კუთხეში და ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ბურთს თითები წაატანა.

კუთხურსაც ხიფათი მოჰყვა — გიორგი ნერგაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

მალევე იყო გაგრელთა პასუხი, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ერთადერთი ხიფათი აღმოჩნდა დიდიე ოვონოსთვის — მარჯვენა ნახევარმცველად გამწესებულმა გიორგი გაბედავამ თავის სტილში, შორიდან დააქუხა და გაბონელმა მეკარემ იყოჩაღა.

ცობელმა არგენტინელი მცველი მარკოს ჩარასი სათადარიგოებში დატოვა და მისი ადგილი ლევან ხმალაძეს ჩააბარა. ხმალაძეს ამ პოზიციაზე რამდენჯერმე უთამაშია, მაგრამ გლდანში ძველებურად ეფექტური ველარ იყო.

მე-16 წუთზე გიორგი მერებაშვილმა გრძელი გადაცემა გააკეთა ალექსანდრე კოშკაძის მისამართით, მან კი კარის წინ მყოთ ვაწაძეს გადააწოდა. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, თუმც ვაწაძემ მოახერხა და, კარიდან მეტრში მდგომმა ვერ იხეირა.

დინამოელებმა დაწოლა გააგრძელეს და საწადელსაც მიაღწიეს — მერებაშვილმა გამოზომილი პასით გაგრელთა ცენტრალური მცველები ვაწაძის მდევრად დატოვა და ამჯერად მათემ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — 0:1.

მასპინძლებს პირველ ნახევარში რასაც ვერ დაუწუნებდით, ბრძოლა იყო, მაგრამ მარტო ამით ფონს ვერ გახვალ. შეტევაში „გაგრას" არაფერი გამოსდიოდა, „დინამოს" კი ტაიმის მიწურულს სხვაობის გაზრდა შეეძლო — ვაწაძემ საჰაერო ბრძოლა მოუგო მცველებს და კოშკაძე გადიოდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ მეკარემ დაასწრო. მოგერიებული ბურთი შოთა კაშიამ მოიხელთა და კარისკენაც დაარტყა — ამჯერად დავით გიგაურმა აარიდა გოლი გაგრელთა კარს.

მეორე ნახევარში თამაში მკვეთრად გაფუჭდა — არცერთ კართან არანაირი ხიფათი არ შექმნილა, ორივე გუნდი უგერგილოდ ირჯებოდა...

### პრესკონფერენცია

*რაინერ ცობელი:* „ასეთის თამაშის შემდეგ მიჭირს კომენტარის გაკეთება. ყველამ ვიცით, ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ კარგია, რომ მაინც ვიმარჯვეთ. „გაგრასთან" თამაში ჩემს გუნდს ყოველთვის უჭირს. „გაგრა" საკმაოდ კარგი გუნდია და თავის სიტყვას მომავალში აუცილებლად იტყვის".

*ვლადიმერ ხაჩიძე:* „დინამოს" თამაში თავიდან ბოლომდე შესწავლილი გვქონდა. ვიცოდით, რომ მათთვის სივრცე არ უნდა მიგვეცა, უნდა შეგვებოჭა. ისინი კი შევბოჭეთ, მაგრამ თავადაც შევიბოჭეთ. ამ გუნდს რომ წარმატება ჰქონდეს, დრო სჭირდება. რა თქმა უნდა, თუ მოგვეცა ამის საშუალება..."

**ნუკრი ლოლაძე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი. 15 საათი | | | |
| სკ გაგრა | | | |
| დინამო თბილისი | 0:1 | | |
| თბილისი. ამერი. 300 მაყურებელი | | | |

0:1 ვანაძე (25)

გაგრა: თევდორაძე, კოზლენკო, გიგაური, გაბუნია, ტყემელაშვილი (ა. აბაშიძე 67), ცხადაია, კუპრეიშვილი (ქაჯაია 82), ჩარგეიშვილი, გაბედავა, ბ. ცხადაძე (ძაგანია 82)

*სათადარიგონი:* ლ. ხომერიკი, ლ. სეთურიძე, მოსიაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრშკო, გ. კაშია, ხმალაძე, შ. კაშია, დილმელაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე (ჩარასი 67), გ. მერებაშვილი (კაკუბავა 88), ვანაძე (სპასოევიჩი 75)

*სათადარიგონი:* გ. ლორია, ლომია, ტომიჩი, ჯიუსი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

გაფრთხილება: ცხადაია (29), კოზლენკო (55), გაბედავა (59), შ. კაშია (81)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ზ. ხუციშვილი, ზ. ბერულავა; დ. ხარიტონაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი. 15 საათი | | | |
| სკ ბორჯომი | | | |
| ვიტ ჯორჯია თბილისი | 0:3 | | |
| ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 200 მაყურებელი | | | |

0:1 კვარაცხელია (15პ), 0:2 ლიპარტია (66), 0:3 დათუნაიშვილი (76)

ბორჯომი: შეყრილაძე, ნ. ლომიძე, ხითარიშვილი, მენთესაშვილი, ლ. დათუნაშვილი (ქათამაძე 26), დევიძე, შ. ლობჟანიძე (მანთიძე 63), ბ. ბაქრაძე, პაჟლიაშვილი, გ. გოგიჩაიშვილი, ვ. ხაჩიძე (გოგსაძე 46)

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

ვიტ ჯორჯია: ა. მიქაბერიძე, ბეჟვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე (მგელაძე 75), ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (კვალიწიძე 65), ლიპარტია, ვ. კვარაცხელია (ზაქრაძე 61)

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ლიპარტია (50)

მსაჯები: ლ. სილაგავა; გ. ჩიგოგიძე, ზ. ერქვანია, ვ. ელისაბედაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი. 15 საათი | | | |
| ოლიმპი რუსთავი | | | |
| სკ ზესტაფონი | 1:0 | | |
| რუსთავი. ფოლადი. 1 500 მაყურებელი | | | |

1:0 აკუასაგა (9)

ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, თ. ლონლაძე, აკუასაგა, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ხუბუა (გ. რეხვიაშვილი 75), გ. სეთურიძე, გ. ჩხეტიანი (ჩიკვილაძე 56), მეგრელაძე (ფიფია 62)

*სათადარიგონი:* სტურუა, დეკანოსიძე, გ. ნოდ. ქელიძე, გორდეზიანი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ზესტაფონი: მამალაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, დაუშვილი (შ. გრიგალაშვილი 68), ბენაშვილი, ძარია (იონანიძე 70), ნ. კვასხვაძე, გელაშვილი, ლ. მელქაძე (გორგიაშვილი 53)

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, კვესიეშვილი, კაკალაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ხუბუა (37), დობროვოლსკი (72), თოდუა (85), ბენაშვილი (90)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ფიფია, ლ. თოდრია, ლ. კვარაცხელია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი. 15 საათი | | | |
| მგლები ზუგდიდი | | | |
| სიონი ბოლნისი | 2:0 | | |
| ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 200 მაყურებელი | | | |

1:0 თოდუა (26), 2:0 ონიანი (62)

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გულორდავა, გუჩუა (ინჯგია 85), პ. დათუნაიშვილი, ქირია (ქკადუა 82), გ. თოდუა, ქედია (მალიჩავა 87)

*სათადარიგონი:* ქალდანი, ხურციძე, ბაკარანძე, ჟიშკარიანი

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

სიონი: ჭანტურია, კაკაშვილი, ხვანიძე (ბობოხიძე 70), ი. ვაშაკიძე (ჯ. მუჯირი 15), ორბელაძე, შალამბერიძე, დიდავა, ზ. ქელიძე, სანიკიძე, მიკუჩაძე, რ. გოცირიძე (რუსიეშვილი 75)

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, დავითაშვილი, ლ. ბაჯელიძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ქიქინაძე, ა. ნონიკაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი. 15 საათი | | | |
| ლოკომოტივი თბილისი | | | |
| მესხეთი ახალციხე | 0:0 | | |
| თბილისი. მ. მესხი. 200 მაყურებელი | | | |

ლოკომოტივი: გ. ლომაია, კაიშაური, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე (ბარბაქაძე 68), ჩირიკაშვილი, ი. გილაური (გ. მოდებაძე 46), კახელიშვილი, შ. კვანტალიანი (კაჭახიძე 76)

*სათადარიგონი:* ბელელური; ა. კობიაშვილი, ბებუა, გ. კვანტალიანი

მწვრთნელები: ზაზა ზამთარაძე, გიორგი კიკნაძე

მესხეთი: ბათიაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლეკიშვილი, მემარნიშვილი (ბეჟანიძე 90), ლ. ქებაძე, ლ. თედიაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ლ. ვაშაკიძე (პ. ხორგუაშვილი 80), ფარულავა, გაბიდაური, გ. მიქაბერიძე (გვირჯიშვილი 89)

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; სუდაძე, ინასარიძე, ქოჩორაშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: მიქაბერიძე (41), კაიშაური (72), კახელიშვილი (90)

მსაჯები: გ. დოგრაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, მ. ბეუქლიშვილი

# მათე, ამისთვის არ გვემეტები!



სარბიელის არქივიდან

**ხშირად** გვინახავს მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის უთანხმოება. ზოგი მწვრთნელის შენიშვნას უკადრისობს და აქედან წარმოიშვება კონფლიქტი, რაც უმეტეს შემთხვევაში, ფეხბურთელებისთვის მთავრდება ცუდად — ან ღრმა სათადარიგო ხდებიან, ანაც გუნდის გამოცვლა უწევთ.

ეს შესავალი იმად დაგვჭირდა, რომ გვინდა, ერთ ფაქტს შევეხოთ, რომელსაც „გაგრა" — „დინამოს" მატჩისას შევესწარით. ვინც ეროვნულ ჩემპიონატს ადევნებს თვალს, დაგვეთანხმება, რომ „დინამოს" თავდამსხმელი მათე ვაწაძე ბოლო ორ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ამ ფორვარდის ნიჭიერებაზე დღეს საქართველოში ბევრი საუბრობს და ძნელია, მათ არ დაეთანხმო. მათეს გოლის გატანის შესაშური ალღო აქვს, თავითაც კარგად თამაშობს და რაც მთავარია, ნამდვილი მეგოლეა...

ვაწაძე „გაგრასთან" პირველ ტაიმში რამდენჯერმე ძალიან გალიზიანდა. დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, რაინერ ცობელის თითქმის ყველა შენიშვნას გინებით უპასუხა, თანაც ისე, რომ ძნელი იყო, სტადიონზე ყოფილიყავი და ეს არ გაგეგონა.

ვერ გეტყვით, ცობელს რამდენად ესმის ქართული და წაუყრუა თუ არა ვაწაძის ასეთ საქციელს, მაგრამ „დინამოს" მეორე მწვრთნელმა კახა კაჭარავამ რამდენჯერმე მოუწოდა ვაწაძეს დამშვიდებისკენ და ბოლოს გამოცვლითაც კი დაემუქრა.

ძნელი სათქმელია, რამ გაალიზიანა ასე ვაწაძე, თუმცა ცობელთან მას ბევრიც არაფერი უნდა ჰქონდეს საპრეტენზიო. მათეს ტრავმის გამო ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი მთლიანად ჩაუვარდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის განახლების შემდეგ მაინც მიეცა სასტარტოში თამაშის შანსი.

ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენას დრო სჭირდება. დრო, რომელიც ასეთმა პერსპექტიულმა ფეხბურთელმა თავის თავზე მუშაობაში უნდა დახარჯოს და არა იმაში, რაც გლდანში გააკეთა.

ვაწაძე დღეს „დინამოში" თამაშობს, თუმც გვჯერა, რომ მალე ექნება შანსი, ევროპაში წავიდეს და მან უნდა იცოდეს, რომ იქ არცერთი მწვრთნელი თავზე ხელს არ გადაუსვამს და ასეთ საქციელს არ აპატიებს.

მწვრთნელი იმისაა, რომ ფეხბურთელს შენიშვნა მისცეს.

მსოფლიო ფეხბურთს ბევრი ფეხბურთელი ახსოვს, რომელმაც თავისი ხასიათის გამო კარიერა დაილუპა და ჩვენ მათე ამისთვის არ გვემეტება...

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

23 ტური




# ერნესტ აკუასაგას ბრინჯაოს საგა

**ტურის** მთავარ მატჩს რუსთავში 1500-მდე გულშემატკივარი დაესწრო, მათ შორის, ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი, რომელმაც ლოჟას ტრიბუნა არჩია. მატჩს თვალი მიადევნა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემაც. გიორგი ნემსაძე, მურთაზ შელია და პოლიტიკოსებიც არ დაჰკლებიან ამ პრინციპულ მატჩს — მხარის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ და დეპუტატმა კახა გეწაძემაც უგულშემატკივრეს თავიანთ გუნდებს.

90 წუთის განმავლობაში ყველა გოჯისთვის დიდი ბრძოლა იყო და ერთი წამით არ განელებულა დაძაბულობა, თუმც სანახაობრივად ბევრად უკეთეს თამაშს ველოდით. ძალიან ცოტა სახიფათო მომენტი შექმნეს გუნდებმა. იმერლებს შეტევის წამოწყებაც ძალიან უჭირდათ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

„ზესტაფონის" ფორვარდები, ლევან მელქაძეს და ნიკა გელაშვილს გასაქანი არ მიეცათ. მასპინძლებმა კი პირველი სახიფათო მომენტი გოლად აქციეს. ვარლამ კილასონიამ ტრავმამოშუშებული გაბონელი მცველი ერნესტ აკუასაგა სასტარტოში გაამწესა და გაუმართლა კიდეც. აკუასაგამ მთელი შეხვედრა კარგად ჩაატარა და გოლის ეპიზოდშიც ბრწყინვალედ გაისარჯა. გაბონელმა საჯარიმოში გიორგი მეგრელაძეს გაუკეთა კარგი გადაცემა, მეგრელაძეს კარში დარტყმაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილი აკუასაგა შენიშნა და „ოლიმპის" ლეგიონერმაც ბოძებული შანსი მშვენივრად გამოიყენა — 1:0.

ტაიმის მიწურულს გელა ხუბუამ უჩა ლობჟანიძეს აართვა მარცხენა ფრთაზე ბურთი, საჯარიმოში შეიჭრა და იმავ ლობჟანიძესთან ბრძოლაში წაიქცა. რუსთაველები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა გიორგი ვადაჭკორიამ თამაშის გაგრძელება ბრძანა.

მეორე ნახევარი შედარებით უკეთ დაიწყო „ზესტაფონმა" და მალევე ალექსი ბენაშვილმა ნიკა კვასხვაძეს უპასა, მისი დარტყმული კი მიხეილ ალავიძემ ნახტომში მოიგერია კუთხურზე.

გუნდები აგრძელებდნენ ჯაჯგურს და სიხისტესაც არ ერიდებოდნენ. გია გეგუჩაძემ ინერტული მელქაძის ნაცვლად უბურებელი ზურაბ იონანიძე ჩართო თამაშში, რომელმაც თავისი გამოცდილების ხარჯზე შეძლო ყველაზე სახიფათო მომენტის შექმნა მასპინძელთა კართან — 82-ე წუთზე „იონას" დარტყმულს მცველები გადაელობნენ.

შეცვლაზე შესულმა გოგა ფიფიამაც დიდი ბრძოლა გაუმართა ყოფილ თანაკლუბელებს, ყველა ბურთისთვის თავგანწირვით იბრძოდა და ხშირ შემთხვევაში გამარჯვებულიც გამოდიოდა.

### პრესკონფერენცია

*გია გეგუჩაძე:* „ბრძოლა უფრო მეტი იყო, ვიდრე ფეხბურთი. ჩემი გუნდით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ასეთი ცუდი თამაში ჯერ არ ჩაგვიტარებია. არ იყო დალაგებული თამაში, გააზრებულად ვერ ვმოქმედებდით, თუმცა ამით სულაც არ ვაკნინებ მეტოქეს, მათ ვულოცავ გამარჯვებას".

*ვარლამ კილასონია:* „სანახაობრივი მატჩი მართლაც ვერ გამოვიდა, მაგრამ ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ორივე გუნდისთვის ექვსქულიანი თამაში იყო და დიდი დაძაბულობა ახლდა თან. რაც „ოლიმპს" ვწვრთნი, ასეთი რთული თამაში არ გვქონია. ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი გამარჯვებისთვის".

**ნუკრი ლოლაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 6 | 1 | 37:12 | 25 | 48 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 21 | 11 | 8 | 3 | 0 | 19:5 | 14 | 27 |
| 2 დინამო | 21 | 15 | 2 | 4 | 46:15 | 31 | 47 | 10 | 9 | 1 | 0 | 30:7 | 23 | 28 | 11 | 6 | 1 | 4 | 16:8 | 7 | 19 |
| 3 ზესტაფონი | 21 | 12 | 3 | 6 | 26:15 | 11 | 39 | 10 | 7 | 0 | 3 | 15:6 | 9 | 21 | 11 | 5 | 3 | 3 | 11:9 | 2 | 18 |
| 4 ოლიმპი | 21 | 10 | 9 | 2 | 24:11 | 13 | 39 | 11 | 6 | 5 | 0 | 13:2 | 11 | 23 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | 2 | 16 |
| 5 სიონი | 21 | 7 | 8 | 6 | 22:19 | 3 | 29 | 10 | 3 | 4 | 3 | 12:10 | 2 | 13 | 11 | 4 | 4 | 3 | 10:8 | 2 | 16 |
| 6 ლოკომოტივი | 21 | 8 | 4 | 9 | 24:21 | 3 | 28 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:8 | 4 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 |
| 7 მესხეთი | 21 | 5 | 8 | 8 | 15:25 | -10 | 23 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 13 | 11 | 2 | 4 | 5 | 5:15 | -10 | 10 |
| 8 მგლები | 21 | 6 | 4 | 11 | 19:27 | -8 | 22 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:9 | 3 | 16 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 6 |
| 9 გაგრა | 21 | 4 | 4 | 13 | 14:35 | -19 | 16 | 11 | 4 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | -19 | 1 |
| 10 სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18:45 | -17 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 10:18 | -8 | 6 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 7 |
| 11 ბორჯომი | 21 | 2 | 6 | 13 | 16:46 | -30 | 12 | 11 | 1 | 4 | 6 | 8:20 | -12 | 7 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |

# ლოკომოტივი ნულებს დაეჩვია

„ლოკომოტივმა" წლევანდელ მატჩებში უკვე მესამე 0:0 ითამაშა და დამწუხრებულიც დარჩებოდა, რაკიდა საკმაო უპირატესობას ფლობდა.

მეექვსე-მეშვიდეადგილოსნებს „დისლოკაციის" ალაგი არ შეუცვლიათ. ეგაა, ვაკელებმა მეხუთეზე გადასვლის შანსი შეიმცირეს. ზაზა ზამთარაძე-გიორგი კიკნაძის გუნდი „სიონის" მჯობნგადამსწრები არ ჩანს, რადგან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, გამოცდილები კი ფორმაში არ არიან — მაგალითად, ზაალ ელიავა, რომელიც ორი-სამი წლის წინანდელის აჩრდილია.

„მესხეთის" ბომბარდირი გურამ სამადაშვილი აკლდა, თავდასხმაში ეულად იყო გიორგი მიქაბერიძე, რომელიც ტექნიკური და სხარტი ბიჭი კი არის, მაგრამ მეგოლეობის განსაკუთრებულ ნიჭს ვერ „დავწამებთ".

ახალციხელებს როგორც სჩვევიათ, იბრძოლეს, მკაცრად ითამაშეს დაცვაში და ქულა მოიპოვეს.

მესხების ერთი ჩხვლეტა დაგვამახსოვრდა: პირველი ტაიმის მიწურულს მიქაბერიძემ მამუკა ლომიძეს ბურთი ააცალა და ის იყო, მეკარეს პირისპირ უნდა შეჰყროდა, რომ წააქციეს. მსაჯმა კი მიქაბერიძე აქეთ გააფრთხილა და ჯარიმა „ლოკომოტივის" სასარგებლოდ დანიშნა, რასაც სტუმრების სათადარიგოთა სკამის აღშფოთება მოჰყვა, მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა მსაჯს ირონიული ტაშიც დაუკრა...

პირველ ტაიმში ლომიძის გატანილი თავური არ ჩაითვალა — თამაშგარის გამო გააუქმეს...

ყველაზე აქტიური გიორგი კახელიშვილი გახლდათ, ვინაც მარჯვენა ფლანგიდან რამდენჯერმე დაუსხლტდა მცველებს და პირველ ტაიმშიც შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი დროულად ჩაუხტა ფეხებში. „კახელოს" კიდევ ორჯერ გაუცუდდა შანსი, როცა ჯერ მახვილი კუთხიდან ააცილა, მერე კი მარჯვნიდან შეჭრილმა რატომღაც უაზრო პასი გააკეთა.

შეხვედრის ყველაზე ლამაზი მომენტი 74-ე წუთზე ვნახეთ: კახელიშვილმა საჯარიმოში ჩააბზრიალა ბურთი, გიორგი მოდებაძემ კი ეფექტური თავურით ძელს მოარტყა. მოდებაძე კიდევ ერთ მომენტში გამოირჩა — შალვა კვანტალიანის ლამაზი პასის შემდეგ ათიოდ მეტრიდან დაარტყა და ბათიაშვილმა ფეხით მოიგერია.

დაბოლოს, კახელიშვილი კი შევაქეთ, მაგრამ ამ ბიჭს ნერვების დაოკება მართებს: მატჩის მიწურულს ვალტერ ხორგუაშვილს გამეტებით ურტყამდა ფეხებში და კიდევ კარგი, დაზარალებული დაუსხლტდა, თორემ ფეხს მოატეხავდა.

წესით, მსაჯს ამისთვის წითელი ბარათი უნდა ჰქონდეს გამზადებული, მაგრამ ყვითელი იკმარა.

კახელიშვილი, ნიჭიერი ფეხბურთელია, კარგად იწყებდა კარიერას... ამიტომაც უფრო არ გვსიამოვნება მისი ასეთი ქცევა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბორჯომული ვიტ-ვიტ-ვიტ

**სულსწრაფობას** ნუ დაგვწამებთ, თუ ვიტყვით, რომ წლევულს საქართველოს ჩემპიონი ან „ვიტ ჯორჯია" გახდება, ან „დინამო". „ზესტაფონმა" რუსთავში წაგებით ისედაც გამუქებული შანსები კიდევ უფრო გაიმუქა.

„დინამოს" ჯერჯერობით ვიტელები სჯობნიან: ქულით წინ არიან, ან რატომ უნდა შეფერხებულიყვნენ, როცა მეტოქედ „ბორჯომი" ჰყავდათ. ვახტანგ კვარაცხელიამ პენალტით მალევე შეაგდო, მეორე ტაიმში კი ჯაბა ლიპარტიამ და გიორგი დათუნაიშვილმა მიამატეს და 0:3.

ბოლნისის „სიონმა" „მგლებთან" წააგო. ზუგდიდში ჩასულებს გაავთრებული მეტოქე დახვდათ, რომელმაც ამ მოგებით, ვინძლო, საბოლოოდ დაირწმუნა თავი, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. ზუგდიდელთაგან გოლები გია თოდუამ და როინ ონიანმა გაინაწილეს.

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 13 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 11 — | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 9 — | ილია სპასოევიჩი | დინამო |
| | მათე ვაწაძე | დინამო |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |
| 8 — | გურამ სამადაშვილი | მესხეთი |

### XXIV ტური

14 მარტი. შაბათი

სიონი – ზესტაფონი

ვიტ ჯორჯია – გაგრა

მესხეთი – ოლიმპი

15 მარტი. ოთხშაბათი

მგლები – ბორჯომი

დინამო – სპარტაკი

*ლოკომოტივი ისვენებს*

# ედუარდ მარქაროვი: აშენება დანგრევაზე ძნელია

## აზერბაიჯანში დაბადებული სომეხი: საქართველო ყოველთვის გამორჩეული იყო

**საქართველოში საინტერესო სტუმარი იყო ჩამოსული: ედუარდ მარქაროვი — აზერბაიჯანში დაბადებული სომეხი (როგორია?!), რომელსაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში სამი მატჩი ჩაუტარებია და, მათ შორის, 1966 წლის მუნდიალზეც. მარქაროვი სომხეთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება, გეორგი ფედოტოვის ასიანთა კლუბშიცაა — სსრკ-ის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 159 გოლი გაუტანია. 1973 წელს კი ერევნის „არარატში" საბჭოეთის ჩემპიონი გახდა.**

**მდიდარი წარსულის მქონე კაცია ჩვენი რესპონდენტი, ამ ყველაფერთან ერთად ბევრი ინდივიდუალური პრიზიც აქვს აღებული და სამწვრთნელო ასპარეზზეც მთლად ურიგო კარიერა არ ჰქონია. 1986-1991 წლებში საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებს თავკაცობდა, 1992-94 წლებში სომხეთის ნაკრებს წვრთნიდა, ლიბანის „ომენმენშიც" უმუშავია, ახლა კი სომხური „კილიკიას" მწვრთნელთა საბჭოს მრჩეველი გახლავთ. „კილიკიამ" გუშინ თბილისში ამხანაგური მატჩი გამართა „ამერთან" და მარქაროვს ნამატჩევს გავესაუბრეთ...**



— როდის ჩამოხვედით?

— თბილისში დღეს ჩამოვედი „კილიკიასთან" ერთად და უკვე მივდივართ სომხეთში. ისე კი, 27 მარტიდან საქართველოში ვარ, გუნდმა ბათუმში გაიარა შეკრება, რამდენიმე ტესტ-მატჩიც ჩაატარა.

— საქართველოში ხშირად ჩამოდიხართ?

— ბოლო დროს არა, თუმც ადრე ხშირად ჩამოვდიოდი. მხოლოდ სპორტული მიზნით ვსტუმრობდი აქაურობას, ზოგჯერ მეგობრებს ვნახულობდი, წარსულში ცნობილ ქართველ ფეხბურთელებს...

— რომელ ქართველ ვეტერან ფეხბურთელებთან მეგობრობთ?

— ჩემს თაობაში თითქმის ყველასთან ვმეგობრობდი — მურთაზ ხურცილავასთან, სლავა მეტრეველთან, გიორგი სიჭინავასთან... კარგი ადამიანები არიან და დიდებული ფეხბურთელები იყვნენ. ტკბილად მოსაგონარს რა გამოგვილევს.

— დღეს არ შეხვედრიხართ თქვენი თაობის ქართველ ფეხბურთელებს?

— დღეს ვერა, დრო აღარ იყო. უბრალოდ, დავურეკეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ...

— 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ალბათ თქვენთვის ყველაზე ტკბილად მოსაგონარია...

— რა თქმა უნდა. კარგი გუნდი გვყავდა და სწორედ მაშინ მიაღწია ყველაზე კარგ შედეგს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მუნდიალების ისტორიაში. ნახევარფინალში გავედით.

— სომხური ფეხბურთის მდგომარეობაზეც გვითხარით: ვითარდება?

— გარკვეულწილად ვითარდება. სომხეთში კარგი თაობა მოდის, მაგრამ შედეგის მისაღწევად დრო არის საჭირო. ვიცი, რომ იგივე მდგომარეობაა საქართველოშიც. ის, რაც დაანგრიეს ან თვითონ დაინგრა, აშენება სჭირდება. აშენება კი დანგრევაზე ძნელია. საქართველო საბჭოეთში გამორჩეული იყო ტალანტებით, არც სომხეთს აკლდა ნიჭიერები, ანუ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი იციან და უყვართ. სპორტული ერი ვართ. შედეგი არ არის? იქნება! ოღონდ დიდი მონდომება, მოთმინება და სწორი მუშაობა სჭირდება.

— აზერბაიჯანში ხართ დაბადებული, არადა, თითქმის მთელი კარიერა სომხეთში განვლეთ...

— დიახ, ბაქოში დავიწყე თამაშიც, მაგრამ 19 წლის არც ვიყავი, როცა „არარატში" გადავედი.

— გასაგებია, მაგრამ პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ? სომხეთ-აზერბაიჯანის არაკეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ვგულისხმობ...

— არა. როდესაც ერთად ვიკრიბებით, ამ თემაზე არც ვსაუბრობთ. ჩვენ სპორტული ხალხი ვართ, ზედმეტებში არ გადავდივართ.

**ილია ნანობაშვილი**



# ამერი კილიკიას უგოლოდ ეამხანაგა

**პირველლიგელმა** „ამერმა" ამხანაგური მატჩი გამართა სომხურ „კილიკიასთან".

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო, დაძაბული გამოდგა და უგოლოდ დასრულდა.

„ამერმა" პირველი ლიგის ტური გამოტოვა და ეს დეფიციტი ამ სპარინგით შეივსო.

*„ამერი": ლ. ნადირაშვილი (გვენცაძე 46), თ. ხანიკიძე, გვაძაბია (ბენდელიანი 87), ელბაქიძე, გ. ნადირაშვილი, კაკაბაძე (ბოჯგუა 80), ხუციძე (ლაფერაშვილი 71), ი. მოდებაძე (ცხოვრებაშვილი 60), ლევონიაშვილი (ნ. ქებაძე 46), ტიკურიშვილი, დ. ჯანელიძე*

**ოთარ მხეიძე**

# ქართველებით ეტო იგებს



**უნგრული** „დიორ ეტო" ქვეყნის თასის მეოთხედფინალში გავიდა: რატი ალექსიძე-დავით ოდიკაძის გუნდმა სტუმრად 2:1 სძლია „კაშინბარჩიკას", მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის მერე აგებდა.

გამთანაბრებელ გოლში ორივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა.

ალექსიძეც და ოდიკაძეც ძირითადში იყვნენ — რატი 56-ე წუთზე შეცვალეს, „ოდო" კი ბოლომდე იყო მინდორზე.

**ილია ნანობაშვილი**

# რევიშვილთან ერთწლიანი ოფიციალურად გაფორმდა



**ნუკრი რევიშვილმა** ყაზანის „რუბინთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა.

უკვე ვწერდით, რომ ეს საკითხი ყაზანური კლუბის ესპანურ შეკრებაზე გადაწყდა, თუმც ოფიციალურად გუშინ გაფორმდა.

როგორც ჩანს, „რუბინი" გარკვეულ პერსპექტივას ხედავს რევიშვილში, თორემ მუდმივად სათადარიგო მეკარეს ხელშეკრულებას არ გაუგრძელებდა.

ვნახოთ, რამდენად ენდობიან ქართველ მეკარეს, ჯერჯერობით კი ყაზანელთა მთავარმეკარე სერგეი რიჟიკოვი ხელშეუხებელია.

**ილია ნანობაშვილი**

# რას ეტყვის ოდესა ირაკლი მოდებაძეს?



**ჯერჯერობით** ისევ გაურკვეველია 24 წლის ქართველი თავდამსხმელის, ირაკლი მოდებაძის საკითხი.

მოდებაძე ოდესის „ჩერნომორეცში" ისინჯება და დიდი შანსია, კონტრაქტიც გაუფორმონ, თუმცა საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამთ.

შევახსენებთ, რომ ირაკლი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ლიდერი იყო, მაგრამ ტრავმებმა კარიერა აურია და მას შემდეგ ხეირიანად არც უთამაშია.

ვნახოთ, იმედია, ახლა მაინც შეძლებს მოდებაძე სწორ გზაზე დადგომას...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ადამიამ ბაქი დააქოქა

**აზერბაიჯანის** თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩებიდან ყველაზე საინტერესო „ბაქი" — „ხაზარი" იყო. პირველი თამაში ბაქოელებმა 1:0 მოიგეს, შინ კი 0:2 აგებდნენ, მაგრამ ჯერ გიორგი ადამიამ 68-ე წუთზე შეამცირა სხვაობა, ბოლო წუთზე კი „ბაქიმ" ნახევარფინალში გამსვლელი გოლიც შეაგდო.

ადამია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მატჩში.

ძირითადში იყო გიორგი დემეტრაძეც, რომელმაც ყვითელი ბარათი მიიღო მსაჯთან ლაპარაკისთვის.

ნახევარფინალში „ბაქი" „ნეფთჩის" ან „ყარაბახს" შეხვდება.

თორნიკე აფციაურის „გაბალამ" საშინაო 1:1-ის შემდეგ სენსაცია გამოაცხო: ალეკო გოგობერიშვილი-რევაზ გეწაძე-რომან ახალკაცის „ოლიმპიკს" სტუმრად 1:0 სძლია. აფციაურმა შეცვლაზე ითამაშა.

„გაბალა" ნახევარფინალში „ინტერს" შეხვდება.

დავით ბოლქვაძე-კახა ჩხეტიანი-მიხეილ მახვილაძე-გრიგოლ დოლიძის „სიმურგი" სწორედ „ინტერთან" გავარდა.

0:1 მარცხის შემდეგ შინ 2:1 იძალა და არ ეყო.

ზაქათალელთა ერთი გოლი ბოლქვაძის დარტყმულს მოჰყვა, ინტერელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და დამატებაზე ერთ-ერთმა სიმურგელმა შეაგდო.



გიორგი ადამია

**ილია ნანობაშვილი**



სარბიელის არქივიდან

# შ.პ.ს. „ლოკომოტივი 36“-ის განცხადება

2007 წლის 26 ივლისს ქ. თბილისის მერიამ შეაჯამა მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონის 30-წლიანი იჯარით მართვის უფლებით გადაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და სამ მონაწილე კომპანიას შორის გამარჯვებულად ცნო შ.პ.ს. „ლოკომოტივი 36“, რომელთანაც ერთი თვის ვადაში უნდა გაფორმებულიყო სათანადო ხელშეკრულება. სამწუხაროდ, მერიამ არ შეასრულა საკუთარი გადაწყვეტილებით აღებული ვალდებულება და რამდენჯერმე გადადო ხელშეკრულების ხელმოწერა, საბოლოოდ კი, 2008 წლის 31 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოაცხადა კონკურსის შედეგები.

საგანგებოდ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული დადგენილება არ შეიცავს სამოტივაციო ნაწილს, რომელშიც ახსნილი იქნებოდა, თუ კერძოდ რა მიზეზით გვიუქმებენ კონკურსში გამარჯვებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენთვის არც რაიმე ზეპირი განმარტება მოუციათ. ამდენად, ჩვენთვის უცნობია, სად, როდის და ვის მიერ დასახელდა ამის მიზეზად „წარმოდგენილი პირობების შეუსრულებლობა“, როგორც ეს სტატიაშია ნათქვამი.

ვინც, როცა და სადაც უნდა ცდილობდეს 2008 წლის 31 იანვრის უკანონო გადაწყვეტილების მიღების მიზეზების ჩვენთვის გადმობრალებას, ეს შეიძლება შეფასდეს მხოლოდ, როგორც სიცრუე და ჭორი. მიზეზი მარტივია: ჩვენ არ შეგვეძლო, დაგვერღვია (არ შეგვესრულებინა) რაიმე პირობა ან ვალდებულება, რადგანაც კონკურსის პირობებით ყველა ვალდებულების ათვლა იწყებოდა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, ხელშეკრულებას კი, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ხელი დღემდე არ მოწერია.

ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 31 იანვრის დადგენილება უხეშად არღვევს როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ისე მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ნორმებს და, ამდენად, მიღების მომენტიდანვე ბათილია. ბუნებრივია, ჩვენ მაშინვე გავასაჩივრეთ ეს უკანონო აქტი თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც თავისი 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მართალია, მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა, მაგრამ დაგვეთანხმა მთავარში: 2008 წლის 31 იანვრის დადგენილება, რომლითაც გაგვიუქმდა გამარჯვება კონკურსში, ბათილად იქნა ცნობილი. სულ ახლახან, მიმდინარე წლის 27 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მერიის აპელაცია და ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამგვარად, დღეის მდგომარეობით ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 31 იანვრის დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 26 ივლისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის 100%-იანი წილის 30-წლიანი იჯარით მართვის უფლებით გადაცემის მიზნით ჩატარებულ კონკურსში შ.პ.ს. „ლოკომოტივ 36-ის“ გამარჯვება, ბათილია.

ბუნებრივია, ზემოხსენებული სასამართლო დავის პროცესში სტადიონის იჯარის, გაყიდვის ან სხვა ფორმით გასხვისება მესამე პირებზე, იქნება ეს ფეხბურთის, რაგბის ფედერაციები, „სპონსორები“, თუ რაიმე სხვა სუბიექტები, კანონს ეწინააღმდეგება და ასევე ბათილად იქნება ცნობილი. ჩვენის მხრივ, თავს მოვალედ ვთვლით, გავაფრთხილოთ ყველა დაინტერესებული პირი თუ კომპანია: ჩვენი და ქალაქის მერიის სასამართლო დავის დასრულებამდე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონთან დაკავშირებით რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა ნებისმიერ სუბიექტთან შ.პ.ს. „ლოკომოტივი 36-ის“ გარდა, ჩვენ მიერ კვალიფიცირებული იქნება არაკეთილსინდისიერ შეძენად, სასამართლო დავის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტის შემდეგ (რაც პრაქტიკულად უკვე მომხდარია) ყველა აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი, ხოლო ამ ხელშეკრულებების შესრულებით გამოწვეული დანახარჯები ჩვენს მიერ არ იქნება კომპენსირებული.

გაჭიანურებულ დავებს მართლაც ეწირება სტადიონის ინტერესები. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ ამ დავის დაწყების ინიციატორები ჩვენ არ ვიყავით. სტადიონზე სამუშაოები 2007 წლის შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო და კიდეც დაიწყებოდა და დღეისათვის დიდი ხნის დამთავრებულიც იქნებოდა, რადგანაც ძირითადი სამუშაოების ჩატარება ერთ წელზე იყო გაწერილი კონკურსის პირობებით. იმ პირობებით, რომელთა შესრულების ვალდებულებაც გვქონდა, სურვილიც და შესაძლებლობაც.

ყოველივე ეს დღესაც ძალაშია. რაც შეეხება ფეხბურთისა და რაგბის ფედერაციებს, მათთან თანამშრომლობა ჩვენს მიერ მერიაში საკონკურსოდ წარდგენილი პროგრამითაც გვქონდა გათვალისწინებული და უმაგისოდაც ცხადია, რომ, სტადიონი სპორტული ნაგებობაა, ხოლო, კერძოდ, „ლოკომოტივი“ კი, სწორედ სარაგბო და საფეხბურთო ტრადიციების მატარებელია პირველ რიგში. ასე, რომ აღნიშნულ ფედერაციებს ისევე, როგორც მათ სავარაუდო „სპონსორებს“, ვურჩევთ, სტადიონთან დაკავშირებული საკითხები მის კანონიერ მფლობელთან, შ.პ.ს. „ლოკომოტივი 36-თან“ გადაწყვიტონ.

**შ.პ.ს. „ლოკომოტივი 36“**

**P.S.** ეს განცხადება ჩვენ გავუგზავნეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს რაგბის კავშირს და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის დირექციას.

# ელიტ-ლიგა

## 1992-წლიანები

აკადემია 92 0:3 ამერი 2
აკადემია 0:4 ავაზა
ნ. დინამო 1:4 ამერი
შევარდენი 1:2 35-ე სკოლა
დინამო 6:1 ოლიმპიკი
იმედი 2:5 თბილისი
ქართლი — გარეჯი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 11 | 1 | 0 | 52:5 | 34 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 27:12 | 25 |
| ქართლი | 10 | 7 | 3 | 0 | 21:10 | 24 |
| ოლიმპიკი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:14 | 23 |
| ნ. დინამო | 12 | 7 | 1 | 4 | 30:23 | 22 |
| თბილისი | 12 | 6 | 2 | 4 | 29:18 | 20 |
| 35-ე სკოლა | 12 | 6 | 1 | 5 | 22:14 | 19 |
| იმედი | 12 | 5 | 2 | 5 | 20:24 | 17 |
| შევარდენი | 12 | 4 | 2 | 6 | 19:19 | 14 |
| ავაზა | 10 | 4 | 1 | 5 | 18:17 | 13 |
| გარეჯი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:30 | 11 |
| აკადემია 92 | 13 | 3 | 1 | 9 | 14:31 | 10 |
| ამერი 2 | 12 | 2 | 0 | 10 | 15:43 | 6 |
| აკადემია | 13 | 0 | 1 | 12 | 5:46 | 1 |

## 1993-წლიანები

ვეფხვები 2 0:0 35-ე სკოლა 2
35-ე სკოლა 4 3:0 იმედი
საბურთალო 1:0 ნ. დინამო 2
35-ე სკოლა 1 1:3 ნ. დინამო 1
ამერი 3:1 აკადემია 2
ავაზა 0:5 აკადემია 1
35-ე სკოლა 3 — ქუთაისი გადაიდო
მთ. გლობუსი — შევარდენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია 1 | 12 | 11 | 0 | 1 | 47:18 | 33 |
| ნ. დინამო 1 | 12 | 10 | 1 | 1 | 54:6 | 31 |
| 35-ე სკოლა 1 | 11 | 9 | 0 | 2 | 35:14 | 27 |
| შევარდენი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:10 | 25 |
| ავაზა | 11 | 8 | 0 | 3 | 33:17 | 24 |
| მთ. გლობუსი | 11 | 6 | 2 | 3 | 32:16 | 20 |
| საბურთალო | 11 | 6 | 2 | 3 | 30:15 | 20 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 5 | 3 | 4 | 24:15 | 18 |
| ამერი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:21 | 14 |
| ოლიმპიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 21:16 | 13 |
| 35-ე სკოლა 2 | 12 | 3 | 3 | 6 | 23:33 | 12 |
| ქუთაისი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:23 | 11 |
| ვეფხვები | 11 | 3 | 1 | 7 | 15:29 | 10 |
| აკადემია 2 | 12 | 3 | 1 | 8 | 17:41 | 10 |
| ვეფხვები 2 | 11 | 2 | 3 | 6 | 13:19 | 9 |
| 35-ე სკოლა 4 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:25 | 8 |
| იმედი | 12 | 1 | 2 | 9 | 12:47 | 5 |
| 35-ე სკოლა 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 9:61 | 1 |

## 1994-წლიანები

### I ჯგუფი

ავაზა 1:6 35-ე სკოლა 1
საბურთალო 1:4 ნ. დინამო 1
ვეფხვები 0:0 35-ე სკოლა 3
აკადემია 4:0 აკადემია 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 11 | 10 | 1 | 0 | 55:3 | 31 |
| 35-ე სკოლა 1 | 11 | 10 | 1 | 0 | 42:6 | 31 |
| ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 27:15 | 21 |
| ნ. დინამო 1 | 11 | 7 | 1 | 3 | 26:10 | 22 |
| საბურთალო | 10 | 6 | 1 | 3 | 29:17 | 19 |
| აკადემია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:18 | 17 |
| თბილისი 2 | 10 | 5 | 1 | 4 | 22:21 | 16 |
| ვეფხვები | 12 | 4 | 3 | 5 | 14:30 | 15 |
| 35-ე სკოლა 3 | 12 | 3 | 2 | 7 | 18:27 | 11 |
| ავაზა | 10 | 1 | 0 | 9 | 10:42 | 3 |
| ერთობა | 9 | 0 | 1 | 8 | 5:28 | 1 |
| აკადემია 1 | 11 | 0 | 0 | 11 | 1:49 | 0 |

### II ჯგუფი

გორი 1:2 35-მეტეხი
შევარდენი — აკადემია 94 გად.
ამერი 2 — თბილისი 3 გადაიდო
ოლიმპიკი — ვეფხვები 2 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი (თბ) | 11 | 8 | 1 | 2 | 35:10 | 25 |
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 23:5 | 24 |
| თბილისი 1 | 10 | 7 | 2 | 1 | 34:10 | 23 |
| აკადემია 94 | 10 | 7 | 2 | 1 | 28:9 | 23 |
| ოლიმპიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:10 | 20 |
| 35-მეტეხი | 10 | 5 | 0 | 5 | 24:21 | 15 |
| ვეფხვები 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:22 | 14 |
| 35-ე სკოლა 2 | 12 | 4 | 0 | 8 | 18:30 | 12 |
| გორი | 11 | 3 | 2 | 6 | 16:23 | 11 |
| მთ. გლობუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:19 | 11 |
| ამერი 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 13:23 | 5 |
| თბილისი 3 | 10 | 1 | 2 | 7 | 10:30 | 5 |
| ნ. დინამო 2 | 11 | 1 | 1 | 9 | 7:33 | 4 |

## 1995-წლიანები

ნ. დინამო 9:0 ჰერეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 49:4 | 27 |
| აკადემია 95 | 9 | 7 | 1 | 1 | 32:6 | 22 |
| ჰერეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:19 | 19 |
| საბურთალო | 9 | 5 | 1 | 3 | 27:21 | 16 |
| აკადემია 1 | 9 | 5 | 0 | 4 | 12:9 | 15 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 4 | 1 | 4 | 26:21 | 13 |
| ავაზა 2 | 9 | 4 | 0 | 5 | 16:24 | 12 |
| ავაზა 1 | 9 | 3 | 0 | 6 | 18:21 | 9 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 0 | 1 | 8 | 9:41 | 1 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:45 | 1 |

## 1996-წლიანები

ოლიმპიკი — ვეფხვები 1 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 12 | 10 | 2 | 0 | 63:11 | 32 |
| გორი | 12 | 10 | 1 | 1 | 43:19 | 31 |
| ჩემპიონი | 12 | 9 | 2 | 1 | 52:18 | 29 |
| შევარდენი | 12 | 8 | 1 | 3 | 34:11 | 25 |
| ნ. დინამო 1 | 12 | 7 | 1 | 4 | 48:36 | 22 |
| ოლიმპი | 12 | 7 | 0 | 5 | 42:15 | 21 |
| ამერი | 12 | 6 | 3 | 3 | 32:28 | 21 |
| აკადემია 1 | 12 | 6 | 2 | 4 | 28:25 | 20 |
| ოლიმპიკი | 11 | 6 | 1 | 4 | 27:13 | 19 |
| ვეფხვები 1 | 11 | 5 | 1 | 5 | 34:20 | 16 |
| თბილისი | 12 | 5 | 1 | 6 | 26:29 | 16 |
| აკადემია 2 | 12 | 4 | 3 | 5 | 24:26 | 15 |
| საბურთალო | 12 | 4 | 2 | 6 | 31:43 | 14 |
| იმედი | 12 | 4 | 0 | 8 | 21:24 | 12 |
| ავაზა | 12 | 2 | 0 | 10 | 19:58 | 6 |
| ვეფხვები 2 | 12 | 2 | 0 | 10 | 5:65 | 6 |
| ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 10 | 9:37 | 4 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 0 | 1 | 11 | 16:76 | 1 |

# პირველი ლიგა

## აღმოსავლეთი

თბილისი 1:0 გაგრა 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 18 | 13 | 2 | 3 | 37:12 | 41 |
| ამერი | 18 | 12 | 4 | 2 | 30:7 | 40 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 17 | 10 | 5 | 2 | 27:6 | 35 |
| დინამო 2 | 17 | 9 | 6 | 2 | 26:12 | 33 |
| დილა | 17 | 7 | 5 | 5 | 23:14 | 26 |
| თბილისი | 18 | 6 | 3 | 9 | 26:28 | 21 |
| სიონი 2 | 17 | 5 | 4 | 8 | 22:40 | 19 |
| გაგრა 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 27:40 | 18 |
| კახეთი | 17 | 2 | 5 | 10 | 9:28 | 11 |
| ნ.დინამო | 17 | 1 | 7 | 9 | 17:31 | 10 |
| ჰერეთი | 17 | 1 | 6 | 10 | 12:38 | 9 |

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი

ლიახვი 5:2 ალგეთი
ნ. დინამო 2 3:0 ბორჯომი 2
ლოკომოტივი 2 2:1 დუშეთი
ამერი 2 3:2 სამგორი
35-ე სკოლა 3:2 ჰერეთი 2
არაგველები 1:3 გარეჯი
იბსუ 7:1 ზოოვეტი
სპარტაკი 2 0:0 ალაზანი
იმედი 3:0 ერთობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 18 | 12 | 3 | 3 | 43:22 | 39 |
| ამერი 2 | 18 | 12 | 2 | 4 | 37:13 | 38 |
| დუშეთი | 18 | 12 | 2 | 4 | 39:17 | 38 |
| სპარტაკი 2 | 18 | 11 | 3 | 4 | 48:22 | 36 |
| გარეჯი | 18 | 10 | 2 | 6 | 30:19 | 32 |
| 35-ე სკოლა | 18 | 9 | 4 | 5 | 32:28 | 31 |
| იბსუ | 18 | 9 | 1 | 8 | 38:33 | 28 |
| იმედი | 18 | 7 | 5 | 6 | 25:25 | 26 |
| ჰერეთი 2 | 18 | 8 | 1 | 9 | 38:30 | 25 |
| ლიახვი | 18 | 7 | 4 | 7 | 32:31 | 25 |
| სამგორი | 18 | 6 | 6 | 6 | 31:28 | 24 |
| ერთობა | 18 | 7 | 2 | 9 | 24:41 | 23 |
| ბორჯომი 2 | 18 | 7 | 1 | 10 | 23:37 | 22 |
| ალგეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:41 | 18 |
| არაგველები | 18 | 4 | 5 | 9 | 19:27 | 17 |
| ზოოვეტი-სსუ | 18 | 4 | 2 | 12 | 22:42 | 14 |
| ალაზანი | 18 | 3 | 3 | 12 | 11:33 | 12 |
| ნ.დინამო 2 | 18 | 3 | 3 | 12 | 15:40 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალაძეს მარტენსმა კარიერა გადაურჩინა

## საშიშროება აღარ არსებობს



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ რამდენიმე დღის წინ ოპერაცია რომ გაიკეთა, უკვე გაუწყეთ.

კალაძეს ბელგიელმა პროფესორმა მარკ მარტენსმა უმკურნალა და, როგორც შევიტყვეთ, ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებულად ჩაიარა.

თუმცა ასეთი იმედიანი ქართველი ფეხბურთელი სულაც ვერ იყო საოპერაციო მაგიდაზე დაწოლამდე. მედიკოსები ზუსტად ვერ ამბობდნენ, გამოიღებდა თუ არა ოპერაცია სასურველ შედეგს...

„მიხარია ოპერაციის გაკეთება, რადგან ასე თამაში აღარ შემეძლო. ზუსტად არ ვიცოდი, ოპერაციის მერე შევძლებდი თუ არა კარიერის გაგრძელებას, რის გამოც გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. იმედი მაქვს, ექიმების ნათქვამი გამართლდება და ხუთ თვეში მოედანს დავუბრუნდები“ — განუცხადა ჟურნალისტებს იტალიაში დაბრუნებულმა კალაძემ.

**ბახა შალამბერიძე**



# დევდარიანის თითქმის სრული

**დავით დევდარიანმა** დანიის სასლიგაში თავისი მეორე მატჩი ჩაატარა. ჩვენიანი „ორჰუს“ — „ვეილეს“ შეხვედრაში (1:1) ბოლო წუთზე შეცვალეს, 70-ე წუთზე კი ყვითელი ბარათიც მიიღო.

დევდარიანი მარცხენა ნახევარმცველად გაისარჯა.

„ორჰუსის“ მწვრთნელმა ერიკ რასმუსენმა ჩვენიანი ტესტ-მატჩებისას გამოარჩია და სარეზერვო გუნდიდან ძირითადში გადაიყვანა. რასმუსენი ყოველთვის აქებდა დავითს, ეგაა, ფიზიკურად ცოტა კიდევ უნდა მომძლავრდეს და გამძლეობაში მოუმატოსო. როგორც ჩანს, ეს პრობლემა აღარ აწუხებს ქართველ ფეხბურთელს, რაკილა უკვე თითქმის მთელი მატჩი ათამაშეს.

**ილია ნანობაშვილი**

# მირზა ბჟალავამ ბრეგენცი აირჩია

**ავსტრიული** „ლუშტენაუდან“ წასული მირზა ბჟალავა კარიერას დაბალლიგელ „ბრეგენცში“ გააგრძელებს.




ბჟალავა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანია და მეორებუნდესლიგურ „ლუშტენაუში“ „ზესტაფონიდან“ გადავიდა, თუმცა ბოლოხანს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირდა და გაცლა ამჯობინა.

ქართველმა საყრდენმა ნახევარმცველმაც რეგიონალლიგელ „ბრეგენცს“ მიაშურა, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ამ გუნდში დიდხანს გაჩერებას არ აპირებს და უკეთესი ვარიანტის შემთხვევაში, უპრობლემოდ წავა.

**ბახა შალამბერიძე**

# ავსტრიელი ქართველობა

**ავსტრიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში გრაცის „შტურმმა“ ისევ წააგო. ამჯერად 0:2 ვენის „აუსტრიასთან“.

ილია კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა, გიორგი შაშიაშვილმა კი 62-ე წუთი დაყო მოედანზე.

აქვე გეტყვით, რომ გრაცის „შტურმი“ 42 ქულით მეოთხე ადგილზეა.

**ოთარ მხეიძე**

# ამისულაშვილის და გოგუას გოლები



გოგიტა გოგუა

**ნალჩიკის** „სპარტაკმა“ რუსული პრემიერლიგის დაწყების წინ ორი ტეტს-მატჩი გამართა და „ადლერს“ 5:0, „კამაზს“ კი 1:0 აჯობა.

პირველ შეხვედრაში ხუთიდან ერთი გოლი გოგიტა გოგუამ გაიტანა, „კამაზთან“ კი ეული ბურთი ალექსანდრე ამისულაშვილმა შეაგდო — გოგუას ჩაწოდებული კუთხურისას იხეირა.

**ილია ნანობაშვილი**

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# ამირან მუჯირი: კარგ დარტყმას შედეგი ყოველთვის მოაქვს!

კითხვაზე, ვინ არის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი აზერბაიჯანში, პასუხის გაცემა ძალიან იოლია — ამირან მუჯირი. „ბაკის“ ქართველმა კაპიტანმა „ყარაბახთან“ მატჩშიც გაიტანა და 11 გოლით ბომბარდირთა დავას ლიდერობს. მუჯირს „აზერისპორტი“ ნამატჩევს გაესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...



— როგორ შეაფასებთ „ყარაბახთან“ მატჩს?

— 2:0 მოვიგეთ, თუმცა ეს იოლი ნაღდად არ ყოფილა. ჩემი აზრით, რაც უფრო მოახლოვდება ფინიში, მით უფრო გაჭირდება ქულების მოპოვება. „ყარაბახთან“ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გული მწყდება, რომ ბევრი საგოლე შანსი გავანიავეთ.

— თუმცა თითქმის მთელი პირველი ტაიმი მეტოქე ვერაფერში დაჩაგრეთ...

— ამას თავისი ახსნაც აქვს — „ყარაბახსაც“ ძალიან სურდა მოგება. თუმცა ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა და კარიც მშრალად შევინახეთ.

— გოლი მეკარის უხეში შეცდომით გაიტანეთ. ელოდით ასეთ საჩუქარს?

— კარგ დარტყმას შედეგი ყოველთვის მოაქვს.

— მეორე წრეში „ბაკიმ“ „ნეფთჩი“, „ინტერი“ და „ყარაბახი“ დაამარცხა. როგორ ფიქრობთ, თქვენი ჩემპიონობა უკვე ძალიან რეალურია?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, თუმცა ჩემპიონობისკენ საკმაო ნაბიჯი კი გადავდგით. იმედია, მიზანს მივაღწევთ. პირველი ადგილის დათმობას არ ვაპირებთ.

## ივოს მიკა და ცანავა

**ივო შუშაკის** სომხურმა „მიკამ“ ამხანაგური მატჩი გამართა დანიურ „ლუნგბიუსთან“ — 1:1.

შეხვედრა ესპანურ მალაგაში ჩატარდა.

აშტარაკელთა შორის სრულად ითამაშა ექსბათუმელმა ნახევარმცველმა ირაკლი ცანავამ.

შეკრების ბოლო მატჩს სომხები ნორვეგიულ „ბრანთან“ გამართავენ.

## ულისემ კოლხეთი დასცა

**ურეკულ** შეკრებაზე მყოფმა სომხურმა „ულისემ“ პირველლიგელ ფოთის „კოლხეთთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და 4:0 იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ „ულისეში“ სამი ქართველი თამაშობს — ლევან აკობია, თენგიზ უგრეხელიძე და გაგა თიბილაშვილი.




# რომ გამეტანა...
## გოცირიძე დებიუტით მაინც კმაყოფილია

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ბექა გოცირიძემ უკრაინულ „დნიპროში“ სადებიუტო მატჩი ჩაატარა — დონეცკის „შახტართან“ მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და გოლის გატანასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მეკარემ გააწბილა. გოცირიძესთან ეს ინტერვიუ „დნიპროს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

— რა შთაბეჭდილება დაგრჩა სადებიუტო მატჩისგან?

— სასიამოვნოა, რომ პირველი შეხვედრა ისეთ ძლიერ გუნდთან ჩავატარე, როგორიც „შახტარია“. სამწუხაროდ, საგოლე მომენტის გამოყენება ვერ მოვახერხე. ეს რომ გამეკეთებინა, გაცილებით კარგ ხასიათზე ვიქნებოდი.

— ასეთ მძიმე თამაშში ჩართვა რთული იყო?

— შიშის გრძნობა ნამდვილად არ მქონია. მწვრთნელის დავალებით, შეტევაში აქტიურად უნდა მემოქმედა და სწორედ ამის გაკეთებას ვცდილობდი.

— ვლადიმირ ბესონოვმა თამაშის შემდეგ რა გითხრათ?

— პირადად ჩემთან არ უსაუბრია. გასახდელში გვითხრა, რომ ხშირად თამაშის ხასიათი ანგარიშს არ შეესაბამება. მუშაობა უნდა გავაგრძელოთ და შედეგიც მოვა.

— თითქმის ერთი საათის განმავლობაში თქვენი თანაგუნდელების თამაშს თვალს გარედან ადევნებდით. როგორი შთაბეჭდილება დატოვა გუნდმა?

— ბიჭებმა კარგად ითამაშეს და რომ არა ის პენალტი, შინ წაგებულები არ დავბრუნდებოდით.

— გულშემატკივართა მხარდაჭერას თუ გრძნობდით?

— ვხედავდი, რომ ტრიბუნებზე დნეპროპეტროვსკიდან ჩამოსული არაერთი ქომაგი იჯდა, თუმცა, უფრო დონეცკელთა შეძახილები მესმოდა. ისე კი, ჩვენების მხარდაჭერა მაინც იგრძნობოდა, რისთვისაც მათი მადლობელნი ვართ.

— ერთი კვირის წინ „დნიპროს“ სარეზერვო გუნდში ითამაშეთ და გოლიც გაიტანეთ. ის მატჩი კიდევ რით დაგამახსოვრდათ?

— მაშინ პენალტიც მოვიპოვე. პირველივე მატჩში გოლის გატანა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ გულშემატკივრებმაც კარგად მიმიღეს. როდესაც შემცვალეს, ქომაგებმა ოვაციით გამაცილეს, რაც ძალიან მესიამოვნა.

— გუნდთან და ქალაქთან ადაპტაციის პროცესი როგორ მიდის?

— მართალი გითხრათ, თავიდან შეკრებებზე გამიჭირდა. ახლა კი უკეთესობაა. „დნიპროში“ კარგი ბიჭები არიან შეკრებილნი და მათგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. ცხადია, გარკვეული პრობლემები რუსული ენის არცოდნის გამოც მექმნება, თუმცა ჯაბა კანკავას და სანდრო კობახიძის დახმარებით, ამასაც ვაგვარებ. რაც შეეხება ქალაქს, დათვალიერება ჯერაც ვერ მოვასწარი.

— „დნიპრო“ მომდევნო ორ მატჩს შინ ჩაატარებს. საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ დებიუტს რა გრძნობით ელი?

— ჯერ არ ვიცი, მინდორზე გასვლა მომიწევს თუ არა. რასაკვირველია, ჩვენს სტადიონზე თამაში ძალიან მინდა, თუმცა, გუნდში იმხელა კონკურენციაა, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებ.

— „დნიპროში“ უკვე სამი ქართველი ირიცხებით. საქართველოში ჩვენი გუნდის თამაშს ალბათ ყურადღებით აკვირდებიან...

— რა თქმა უნდა. ქართულ გაზეთებში ყოველი ტურის შემდეგ იწერება, ვინ რამდენს ხანს და როგორ ვითამაშეთ. ჟურნალისტებიც ხშირად მირეკავენ და ინტერვიუს მთხოვენ.

# გრიგალავამ საქართველო აირჩია!

**19 წლის** ქართველი მცველი გია გრიგალავა კვიპროსთან მარტის ბოლოს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

ეს ინფორმაცია 21-წლამდელთა ახალმა თავკაცმა კახა ცხადაძემ თავადაც დაადასტურა, ანუ წესით, გრიგალავას გადმობირებას საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი ფეხბურთელი რუსეთის მოქალაქეა და აქამდე დაუფარავად აცხადებდა საქართველოს ნაკრებში თამაშის დიდ სურვილს.

მოკლედ, ახლა იურიდიული საკითხებიღაა მოსაგვარებელი — გრიგალავამ საქართველოს პასპორტი უნდა აიღოს და პრობლემაც უკან დარჩება.

„ძალიან გახარებული ვარ. ეს დიდი ბედნიერებაა. მალე ყველა ფორმალობას მოვაგვარებ და საქართველოს ნაკრების ფორმასაც ჩავიცვამ, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს“ — ასეთი კომენტარი მოგვცა „მოსკვას“ ახალწვეულმა.

„მოსკვა“ ვახსენეთ და, ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამ კლუბმა გუშინ შეხვედრა მოაწყო გულშემატკივრებთან, რომელსაც, ცხადია, გრიგალავაც დაესწრო.

ქართველმა ფეხბურთელმა სიტყვაც თქვა და გულშემატკივრებს ბოლომდე ბრძოლას დაჰპირდა.

შეგახსენებთ, რომ გრიგალავა აქამდე როსტოვის სკა-ში თამაშობდა, საიდანაც ამსტერდამის „აიაქსში“ წავიდა გასინჯვაზე, თუმცა იქ არ დაიტოვეს და საბოლოოდ პრემიერლიგელ „მოსკვაში“ ამოჰყო თავი.

**კახა ზალამბერიძე**


გია გრიგალავა „მოსკვას“ გულშემატკივრებთან შეხვედრისას

# ზარია ციმაკურიძეს: ან უხელფასოდ, ან წადი!



**ლუგანსკის** „ზარია“ ფინანსურ კრიზისშია და ორი თვეა, ხელფასებს ვერ არიგებს.

ეს ამბავი იმად გვაინტერესებს, რომ „ზარიაში“ ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე თამაშობს.

„ზარიას“ პრეზიდენტ ალექსანდრ ეგოროვის განცხადებით, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სიტუაციამ მის ბიზნესსაც დაასვა დაღი, რამაც, ცხადია, კლუბზეც იმოქმედა.

ლუგანსკური ხელმძღვანელობა ღიად აცხადებს, რომ ხელფასების დარიგება უჭირს და ნებისმიერი ფეხბურთელის ნებისმიერ წინადადებას გაგებით მოეკიდება.

მოკლედ, დაველოდოთ, რას გადაწყვეტს ციმაკურიძე, თუმც აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკრაინის ჩემპიონატი უკვე დაიწყო და ახლა ტრანსფერის გახერხება ძალიან რთული იქნება...

**კახა ზალამბერიძე**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1666 |
| 2 | 2 | გერმანია | 1366 |
| 3 | 3 | ჰოლანდია | 1317 |
| 4 | 4 | *იტალია* | 1284 |
| 5 | 5 | ბრაზილია | 1260 |
| 6 | 6 | არგენტინა | 1219 |
| 7 | 7 | ხორვატია | 1169 |
| 8 | 9 | რუსეთი | 1128 |
| 9 | 8 | ინგლისი | 1083 |
| 10 | 12 | პორტუგალია | 1025 |
| 28 | 27 | *ბულგარეთი* | 782 |
| 37 | 38 | *ირლანდია* | 711 |
| 84 | 98 | *კვიპროსი* | 407 |
| 111 | 108 | საქართველო | 314 |
| 113 | 112 | *ჩერნოგორია* | 310 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# 111
## საქართველო ფსკერისკენ

**საქართველოს** ნაკრები ანტირეკორდს ანტირეკორდზე ამყარებს — უკვე 111-ე ადგილზეა ფიფა-„კოკა-კოლას“ ყოველთვიურ რეიტინგში.

სხვაგვარად ალბათ არც იქნებოდა — ჰექტორ რაულ კუპერის გუნდი მოგებას ძალიან გაუუცხოვდა და ამან რეიტინგზეც იმოქმედა.

ჩვენი გუნდი თებერვალში 108-ე ადგილზე იყო და ირლანდიასთან 1:2 წაგებამ სამი საფეხურით დააქვეითა.

ჩვენი მეტოქეებიდან ბულგარეთი და ჩერნოგორია თითო საფეხურით დაქვეითდნენ, იტალიამ მეოთხე ადგილი შეინარჩუნა, ირლანდიამ (1 საფეხურით) და კვიპროსმა კი (14) ზემოთ აიწიეს.

**ოთარ მხეიძე**


სარბიელის არქივიდან

ჰექტორ რაულ კუპერი



# ხაბარელის შვიდეულს ორი კაცი აკლია

**ძიუდოისტთა** ნაკრები 24-26 აპრილს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. შოთა ხაბარელის შეგირდები ბაკურიანში საერთო ფიზიკურ შეკრებას თვის ბოლომდე გაივლიან. ამის შემდეგ ნაკრებს ევროპირველობამდე ერთი მოსამზადებელი ეტაპი დარჩება. ძიუდოისტები ბაკურიანის შემდეგ ბორჯომს ჩააკითხავენ. ხაბარელმა საევროპო შვიდეულს ალბათ ბაკურიანული შეკრების მერე ჩამოწერს, თუმცა აქამდე გამართული საერთაშორისო ტურნირების შედეგების გათვალისწინებით ხუთ წონაში ყველაფერი გარკვეულია. 60 კილოში ნესტორ ხერგიანი ჭიდაობს. 66-ში ზაზა კედელაშვილი ეცდება მეოთხედ გახდეს ევროპის ჩემპიონი. 81 კილოში, რომელიც ნაკრებისთვის ყველაზე პრობლემატურ წონად ითვლება, შიდა კონკურენციაში ლევან წიკლაურმა იძალა და ევროპულ ტატამს დააჭაშნიკებს. 90 კილოში, რომ ვარლამ ლიპარტელიანი გამოვიდოდა რთული გამოსაცნობი არ იყო. იმის გამო, ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე საერთო გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებდა, 100 კილოში შანსი სხვებს მიეცათ და ყველას ოლიმპიადა მოვლილმა ლომერ ჟორჟოლიანმა აჯობა.

73 და +100 კილოში ნაკრების კანდიდატები უცნობია, თუმცა 73-ში სავარაუდოდ დავით ქევხიშვილი იჭიდავებს. გამოცდილმა ძიუდოისტმა სეზონის დასაწყისი კანადაში გაატარა და საერთაშორისო ტურნირებიც გააცდინა, თუმცა თბილისში მალე დაბრუნდება და ნაკრებს დასკვნით შეკრებაზე ბორჯომში შეუერთდება.

მძიმე წონაში კი არჩევანი ადამ ოქროუაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს შორის უნდა გაკეთდეს, თუმცა ურიგოდ არც ზვიად ხანჯალიაშვილს უჭიდავია, მან ბუდაპეშტის მსოფლიოს თასი მოიგო...



ერთა თასი 2009-10

საქართველო - რუმინეთი

თბილისი. ეროვნული. 14 მარტი. 16.00

# რუმინეთი უფასოა

## ლელოებმა რაზმი შეკრეს და კარი გააღეს

**რუმინეთი** ასეთი გაბრაზებული თბილისში, ალბათ არც ჩამოსულა. „მუხის ფოთლებმა" რუსეთთან სამარცხვინოდ წააგეს და ხასიათთან ერთად სატურნირო ვითარებაც გაიფუჭეს. ვლახები ისე იყვნენ გაცოფებულები „დათვებთან" მარცხის შემდეგ, რომ მესამე ტაიმზე რამდენიმე წუთს გაჩერდნენ და მალევე გაეცალნენ სუფრას, აქაოდა დროსტარებისთვის არ გვცხელა, ვისთან წავაგეთო...

ჩვენებს გვარიანი ბრძოლის გამართვა მოუწევთ. რუმინელებთან ყოველთვის რთული მატჩები გვქონდა და მით უფრო ახლა, როცა ქულას ოქროს ფასი აქვს, ეს ერთა თასი ხომ მსოფლიოს 2011 წლის საგზურსაც ათამაშებს. „მუხის ფოთლები" ბოლო სამ ჯახში სამჯერ წავაქციეთ და ჩვენთვის საცილო „ანთიმოზ ივერიელის" თასსაც თბილისში დავუდეთ ბინა.

რუმინელებმა სათბილისო გაფართოებულ რაზმში ყველა ის მორაგბე შეიყვანეს, ვინც რუსეთთან შერცხვა. ერთადერთი ვისაც მწვრთნელმა უგანა, ვეტერანი მორაგბე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი პეტრე მიტუ.

ტიმ ლეინმა შაბათის მატჩისთვის 24 მორაგბეს უხმო. ნაკრებს დაუბრუნდა მალხაზ ურჯუკაშვილი, რომელიც ამ სეზონში ნაკრების კვართს პირველად მოირგებს.

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდა აქვსენტი გიორგაძე და „ლელოებს" ვერ დაეხმარება. საბედნიეროდ ტრავმა სერიოზული არ არის, აქვსენტი თბილისში პარასკევს ჩამოვა და 22 მარტს რუსეთთან უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის მზად იქნება.

და ერთიც, თამაშზე დასწრება უფასოა და იმედია, გულშემატკივარი ეროვნულზე ბლომად მოიყრის თავს... საქართველოს ნაკრებს ყოველი ქართველის ხმა სჭირდება.

**ნიკა ძოწაძე**



მალხაზ ურჯუკაშვილი

**საქართველოს ნაკრები:** ხინჩაგიშვილი, ქუბრიაშვილი, ფეიქრიშვილი, შველიძე, ნატრიაშვილი, ზედგინიძე, უჩავა, დათუნაშვილი, ჩხაიძე, ბასილაია, გორგოძე, ლაბაძე, ურუშაძე, აბუსერიძე (კაპ), სამხარაძე, მალაღურაძე, მაჩხანელი, ი. გიორგაძე, თოდუა, ზიბზიბაძე, ბარკალაია, კვირიკაშვილი, ურჯუკაშვილი, კაჭარავა

# რუსები შეტევას აძლიერებენ

**ერთა თასზე** 22 მარტს საქართველოს ნაკრებს მაგარი ჯახი ელის. „ლელოები" მარიუპოლში რუსებს ეთამაშებიან.

„დათვების" მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუში შემადგენლობაში ცვლილებებს გეგმავს, გამორჩეულად კი შერკინების გაძლიერებას აპირებს. ტრავმირებული მესამეხაზელი ალექსეი პასანენკოს ნაცვლად ნერუშმა „კრასნი იარის" მორაგბეს ანდრეი გარბუზოვს უხმო. ამ გუნდიდან ოლეგ შუკაილოვის დაძახებასაც აპირებენ.

„კრასნი იარი" ახლა შეკრებას საფრანგეთში გადის და მოისურვებს თუ არა შუკაილოვი ნაკრებში ჩასვლას უცნობია, მით უფრო ის ბოლო დროს აქცენტს საკლუბო კარიერაზე აკეთებს.





ავთანდილ კიკიანი და მისი მოწაფე იუნონა კოჟინა დელისის იპოდრომზე

# ვინ იქნება მეათე?

**ცხენი** გამორჩეული მეხსიერების მქონე სულდგმულია. სწორედ ამ თვისებაზეა დამყარებული მისი წარმატებული ჩაბმა სპორტულ სარბიელზეც და სამეურნეო ჭაპანწყვეტაშიც, ეგევე მახასიათებელი თავისებურ ხიბლს სძენს იმ პრიზებსა და ტრადიციულ სახელობით ჯილდოებს, რომლებიც ცხენოსნობის რჩეულ პიროვნებებს ან ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენებს ეძღვნება. ასეთი მოსაგონარი ჯილდო მრავალია მსოფლიო საცხენოსნო სპორტში და ისინი ამ მრავალფეროვანი სახეობის სხვადასხვა ეტაპებს ასახავენ.

არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. მაგრამ, როცა ამ დარგს მძიმე დღეები უდგას, ცხადია, პრიზებიც მივიწყებულია. ვთქვათ, როგორ უნდა გაათამაშო საქართველოში სსრკ-გერმანიის ომის შემდგომი დიდი სპორტული მოღვაწის, მწვრთნელისა და აღმზრდელის რევაზ (ბიკა) კორძაიას პრიზი — სამჭიდში ახალგაზრდა ცხენებით გუნდური გამარჯვებისთვის, როცა თვითონ ეს სახეობა ფაქტობრივად აღარ არსებობს ჩვენში?! ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს...

მაგრამ, საბედნიეროდ, ერთი ჯილდო მაინც თამაშდება! ესაა გამოჩენილი მხედრის, ცხენის გაწვრთნილობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის ავთანდილ კიკიანის თასი დაბრკოლებათა გადალახვაში. საგულისხმოა თვით ამ მემორიალური გარდამავალი სახსოვრის დაწესების ამბავიც. იგი საქართველოს მხედრებს, მათ გულშემატკივრებს 2000 წელს, ავთანდილის გარდაცვალების შემდეგ, დაუტოვეს აშშ-ის მოქალაქეებმა გრიგორი გოლოსოვმა და ელენა რომან-პოგორჟელსკაიამ. ისინი თბილისში საკუთარი ბიზნესის გამო იყვნენ ჩამოსული. გრიგორი გამოცდილი კონკურისტი იყო, ხოლო მისი მეუღლე ელენა დელისის იპოდრომზე ავთანდილის მწვრთნელობით იმაღლებდა ოსტატობას ცხენის გაწვრთნაში. დაბრკოლებათა გადალახვაში რატომღა დაწესდა? უბრალოდ, მაშინ (და ახლაც) კლასიკური ცხენოსნობის მხოლოდ ეს დარგი ფეთქავდა საქართველოში...

როგორ წარიმართა ქართველი მწვრთნელის დიდად მადლიერი ამერიკული ოჯახის შემდგომი ბედი ცხენოსნობასა თუ ბიზნესში, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ავთანდილ კიკიანის თასი დამკვიდრდა ჩვენს სპორტულ კალენდარში. ამ ასპარეზობაზე მონაწილეობა ერთგვარი შესავალია ამა თუ იმ წლის საცხენოსნო გამოსვლებისათვის (გამონაკლისი შარშანდელი შეჯიბრება იყო, რომელიც გვიან ჩატარდა), და, გარდა ამისა, აქ გამარჯვება, არცთუ უსაფუძვლოდ, სასიკეთო ნიშნად მიაჩნიათ ჩვენს გამოცდილ თუ ახალგაზრდა კონკურისტებს!

წელს დელისის იპოდრომზე მეათედ ჩატარდება ეს ესპარეზობა: შაბათს, 14 მარტს, პირველი ორი კონკური გაიმართება, ხოლო კვირადღეს უშუალოდ ავთანდილ კიკიანის თასი გათამაშდება. ორივე ასპარეზობა შუადღეს (12 საათზე) დაიწყება, და როგორ ამინდსაც დაიჭერს, იმის მიხედვით, ან ღია საკონკურო მოედანზე ანდა დახურულ მანეჟში ელის მაყურებელს (ჯერჯერობით კიდევ არსებობს ამის შესაძლებლობა).

2000 წელს პირველი ასპარეზობა ავთანდილის ვაჟმა კახაბერმა მოიგო (ცხენი „მილი") შემდეგ კი გარდამავალი პრიზის მფლობელები იყვნენ: ზაზა ჩიტრეკაშვილი („ევრიკლი"), გიორგი სამხარაძე („პაგი"), ცოტე ლაბაშია („პაგი"), გეგი მეტონიძე („დავლური"), შალვა გაჩეჩილაძე (მან 2007 წელს „ასპარეზით" მეორეჯერაც გაიმარჯვა), გიორგი აფციაური („ფანდური") ვანო ნორაკიძე („ეროსი").

ვინ გაიმარჯვებს მეათედ? როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს კვირადღეს გადაწყდება.

**ნოდარ ეგრალიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დუბაიში ფიჯიმ ირლანდია გაგვახსენა

## ლელოებმა ყველაფერი ერთ თამაშში წააგეს

*საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა დუბაის მსოფლიოს თასი ოთხი წაგებით მოილია. არადა, „ლელოებმა“ პირველი თამაშის შემდეგ გულშემატკივარი ოპტიმისტურად განაწყვეს, მოქმედ მსოფლიონ ჩემპიონ ფიჯის ნაკრებთან მაგრად ითამაშეს და რომ არა შეცდომები, არავინ იცის რა მოხდებოდა. მერე კი სამივე თამაში უფრო იოლად წააგეს და ვერც ფიალისთვის ბრძოლა შეძლეს.*

*ნაკრები თბილისში დაბრუნდა და მალე მზადებასაც დაიწყებს საერთაშორისო ტურნირებისთვის, მანამდე კი ნაკრების თავკაცი ქახა ალანია განვლილ მსოფლიოს თასზე გველაპარაკა და სამომავლო გეგმებსაც შეეხო.*

— პირველი თამაში ფიჯისთან გვქონდა და განსაკუთრებით ვემზადებოდით. მეტოქე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იყო და ვიცოდით ურთულესი მატჩის ჩატარება მოგვიწევდა. შემუშავებული გვქონდა, შვიდკაცისთვის არასტანდარტული დაცვა უნდა გვეთამაშა, წინ ავწეულიყავით და რაც შეიძლება აგრესიულად გვებრძოლა. ფიჯის ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტი მოთამაშეები ჰყავს და სხვანაირად მათთან დაპირისპირება რთული იყო. თუმცა ბიჭებს მღელვარება მაინც ეტყობოდათ და ამის გამო საწყის წუთებში ორი ლელო მივიღეთ. მერე თამაში დავალაგეთ, ბურთს ვაკონტროლებდით და პირველ ტაიმში შევეძლო ანგარიში გაგვეთანაბრებინა და წინაც გავსულიყავით, მაგრამ მერაბ კვირიკაშვილის გარდასახვა ცოტათი ასცდა...

ბურთს მეორე ტაიმშიც ვაკონტროლებდით ერთ მომენტში მეტოქე ისე შევავიწროვეთ, რომ მათი ბოლო კაცი ძელთან იყო და ბურთის გათამაშების შემთხვევაში ალექსანდრე თოდუა მარტო რჩებოდა, თუმც ბიჭებმა სხვა მიმართულებით შეუტიეს, უკან დაბრუნებული ბურთი კი გიორგი შკინინმა და ვიქტორ კოლელიშვილმა ვერ მოიხელთეს და მეტოქემ შეცდომა არ გვაპატია. ამის მერეც გვქონდა მომენტები, მაგრამ გადამწყვეტ ზოლში ვცოდავდით. ბიჭებმა თავგანწირვით ითამაშეს, მართლა ყველაფერი ჩადეს და გულდასაწყვეტია ეს მატჩი რომ წავაგეთ.

**— გამოდის, შეგვეძლო ფიჯის დამარცხება?**

— კი, შეგვეძლო. ამ თამაშს შევადარებდი ირლანდიასთან მატჩს საფრანგეთის მსოფლიოს თასზე. ზუსტად იგივე განცდა დამიტოვა როგორც მაშინ — ბიჭებმა მართლა მაგრად იომეს და შეცდომები რომ არა, ფიჯის დავამარცხებდით.

**— ფიჯისთან კარგი თამაშის შემდეგ გულშემატკივარი ნაკრებისგან უფრო მეტს ელოდა, მაგრამ დანარჩენი შეხვედრები უფრო იოლად წააგეთ, რატომ?**

— ფიჯისთან შეხვედრამ ძალიან დაგვღალა. მეორე დღეს ბიჭებს ეტყობოდათ, რომ ფიზიკურად ყოჩაღად ვერ იყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონებთან ბრძოლამ დიდი ენერგია წაიღო. უნდა ითქვას რომ დუბაიში წასვლამდე მოსამზადებლად არც თუ დიდი დრო გვქონდა და ძირითადად აქცენტი ტაქტიკურ ვარჯიშებზე გავაკეთეთ.

**— მარტო ეს იყო მიზეზი დანარჩენი მატჩების წაგების?**

— ჩვენი ნაკრები ძალიან პერსპექტიულია, თუმც გამოჩნდა, რომ სათამაშო პრაქტიკა გვაკლია. მართალია, აქ ბიჭებს ერთმანეთში ვათამაშებდით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ტესტ-მატჩები გვჭირდება, სადაც მორაგბეები მეტ გამოცდილებას მიიღებენ. დუბაის ტურნირმა ისიც დაგვანახვა რომ ფიზიკური მომზადება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. დასამუშავებელი გვაქვს შებოჭვა და აგრესიული დაცვა. ადრე ეს ჩვენი უპირატესობა იყო. შეიძლება თამაში წაგვეგო, მაგრამ ბრძოლას არ ვაგებდით, ახლა კი კომპონენტებში მოვიკოჭლებთ და ეს გამოსასწორებულია. ამ პრობლემებს ვერ გავექცევით, სანამ სათანადო ინფრასტრუქტურა, მოედნები არ გვექნება.

**— დუბაის მსოფლიოს ჩემპიონატი მთავარი ნაკრების მატჩებს დაემთხვა. ამის გამო გუნდიდან მორაგბეების თავისუფლად არჩევის საშუალება არ მოგეცათ...**

— კარგი იქნებოდა, ირაკლი მაჩხანელი გვყოლოდა, რომელიც აშკარად გვაკლდა. იგივე შეიძლება ითქვას ირაკლი აბუსერიძეზე. „აბუ“ ძალიან გამოცდილია, შვიდკაცა ნაკრებში ბევრჯერ უთამაშია და მისი ყოფნა დუბაიში კარგი იქნებოდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ უფრო მეტი მოთამაშის დამატებაც შეიძლებოდა, რადგან ბირთვი უკვე გამოკვეთილი იყო და მთლიანად შეცვლა უპრიანი არ იქნებოდა.

**— მთლიანად მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ შეაფასებ, ფავორიტები დაიჩაგრნენ და ჩემპიონი უელსი გახდა?**

— უელსს კარგი ნაკრები ჰყავდა. მართალია, მათი მორაგბეები კლასით ახალ ზელანდიას ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ისეთი თავგანწირვით ითამაშეს, რომ გამარჯვება მათ დარჩათ. თამაში რომ დამთავრდა, უელსელები დასისხლიანებული გამოვიდნენ მოედნიდან, ისეთი ბრძოლა იყო.

**— ნაკრების გეგმები როგორია?**

— რუმინეთთან თამაშის შემდეგ აქ მოთამაშე ბიჭებს შევკრებთ და ვარჯიშს დავიწყებთ. შარშან თუ ერთხელ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი შვიდკაცაში, ახლა კავშირი ოთხჯერ ან ხუთჯერ ჩატარებას აპირებს.

6-7 მაისს პოლონეთში გველის ტურნირი და იქ გამოცდილ ბიჭებსაც ვიახლებთ. მერე კი ლონდონში და ედინბურგში ახალგაზრდებს უფრო დიდი დრო დაეთმობათ. კარგი თაობა მოდის და თამაში სჭირდებათ, რომ გამოცდილება შეიძინონ. თუმცა ეს ტურნე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატსაც ემთხვევა და ალექსანდრე ტუჩაშვილს, ვიქტორ კოლელიშვილს და ირაკლი გეგენავას ვერ ვათამაშებთ. გეგენავამ ტრავმა მიიღო, თორემ დუბაიში მიგვყავდა, ეს ბიჭი ძალიან დაგვაკლდა. ტუჩაშვილიც პერსპექტიულია.

ინგლისური ტურნეს მერე ოდესა მოდის, რომელმაც თბილისის ეტაპი ჩაანაცვლა. შარშან შეცდომები იყო და წლეულს მაქსიმალურად უნდა შევამციროთ. უკეთ თამაში გვმართებს. მეც ბევრი რამ ვისწავლე დუბაიში. გასულ სეზონში ბევრჯერ ბეწვის ხიდზე გავიარეთ, ახლა იგივე აღარ უნდა განმეორდეს. მოსაგები თამაშები აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

და ბოლოს, მადლობა მინდა ვუთხრა დიმიტრი აბდუშელიშვილს. ეს კაცი დუბაიში მხარში დაგვიდგა და ძალიან დაგვეხმარა.

**ლევან მაისურაძე**





# ანტიკოსებმა თბილისის გარკვევა დაიწყეს

**საქართველოს** ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრმა უმასპინძლა. პატარა „ანტიკოსებმა“ საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ჩემპიონატი გამოაცხვეს და ჩემპიონ-პრიზიორებს სანაკრებო გზა გაუხსნეს. ჩემპიონატში გამძაფრებული კონკურენციიდან საუკეთესოებმა ნაკრებში ადგილი გაინაღდეს, თუმც საევროპო შემადგენლობაში მოსახვედრად საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება საერთაშორისო ტურნირებზე მოუწევთ. გამორჩეულები კი ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებენ, რომელსაც ზაფხულში თბილისი მასპინძლობს.

ამ ეტაპზე ოთხი წონაა ისეთი, სადაც ლიდერები გამოკვეთილები არიან, სხვა წონებში კი ბიჭებს ჯერ კიდევ მოუწევთ ბრძოლა სანაკრებო ადგილისთვის. ქემალ ხარაბაძეს (55 კგ), პაატა ბაკურიძეს (66 კგ), არსენ კახაბრიშვილს (84კგ) და ვლადიმერ ქარჩავას სხვებზე მეტი შანსი აქვთ საევროპო შემადგენლობაში მოხვდნენ.

ნაკრები აპრილის დასაწყისში პოლონეთში იჭიდავებს. აპრილის მიწურულს კი ბათუმი უმასპინძლებს მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს. ჩვენები ტურნირზე წონაში ოთხ მოჭიდავეს გამოიყვანენ. ამის მერე კი აზერბაიჯანის, ბულგარეთის და სომხეთის ტურნირებია.

**ოთარ მხეიძე**

**50 კგ**
1 ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთი)
2 მინდია ნულუკიძე (აჭარა)
3 თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი)
3 ამირან შავაძე (აჭარა)

**55 კგ**
1 ფირუზ ნულუკიძე (აჭარა)
2 გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია)
3 მირზა ვანაძე (აჭარა)
3 გოგა გოგიბერაშვილი (სამტრედია)

**60 კგ**
1 არჩილ თურმანიძე (აჭარა)
2 ქემალ ხარაბაძე (აჭარა)
3 ლევან გოგოძე (თბილისი)
3 საჩინო დავითაია (სენაკი)

**66 კგ**
1 პაატა ბაკურიძე (აჭარა)
2 მიხეილ მელუა (ლანჩხუთი)
3 დავით ჩიტაძე (აჭარა)
3 დავით ტაკაშვილი (გარდაბანი)

**74 კგ**
1 გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი)
2 ოთარ რამიშვილი (ოზურგეთი)
3 ქართლოს ოჩიგავა (სენაკი)
3 გიორგი ბახუნტარიძე (აჭარა)

**84 კგ**
1 არსენ კახაბრიშვილი (გარდაბანი)
2 ჯონი მინაძე (თბილისი)
3 მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო)
3 დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი)

**96 კგ**
1 ვლადიმერ ქარჩავა (ოზურგეთი)
2 სერგო გოგისვანიძე (ქუთაისი)
3 გოჩა დავითაძე (აჭარა)
3 ბექა ჩოფლიანი (ოზურგეთი)

**120 კგ**
1 შოთა გოგისვანიძე (ქუთაისი)
2 გიორგი ხაბაშვილი (რუსთავი)
3 ანზორ მირცხალავა (რუსთავი)
3 ამირან ზარნაძე (თერჯოლა)



# ავტორბოლამ მეორედ გაიარა

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატს ავტოსპორტში წყვილთა რბოლა დაემატა. რუსთავის ავტოდრომზე გამართულ შეჯიბრში ძალები პროფესიონალმა სპორტსმენებმა მოსინჯეს. რბოლა საკმაოდ დაძაბული და სანახაობრივი გამოვიდა.

კლასი 1600: მევლუდ მელაძე, ოვანეს კოგოსოვი, გიგა ლორთქიფანიძე.

აბსოლუტური კლასი: არჩილ ბიძინაშვილი, გოგა არჯევანიძე — ქუთაისის ბოჭორიძის ეკიპაჟი, ოთარ თავართქილაძე. 29 მარტს კი წრიული რბოლის საზეიმო გახსნა გაიმართება.

კალათბურთი

# ჩხუბი ქუთაისში

**საქართველოს** 18-წლამდე კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მთავარი ამბავი ქუთაისში მოხდა, სადაც მასპინძელთა მიერ მსაჯის შეურაცხყოფის გამო, „ქუთაისისა“ და „აკადემიას“ მატჩის დასრულება ვერ მოხერხდა.

მასპინძლები არბიტრ დავით ბერეკაშვილის მიმართ პრეტენზიებს ხშირად გამოთქვამდნენ, ერთ-ერთ მომენტში კი ქუთაისის სპორტსკოლის დირექტორი მალხაზ კოხრეიძე მოედანზე შევიდა და მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

თამაში შეწყდა, ხოლო მომხდარზე კალათბურთის ფედერაციაში იმსჯელეს და იმ მომენტში არსებული ანგარიში — 16:34 ძალაში დატოვეს.

„აკადემიას“ ხსენებული ანგარიშით მოგება ჩაეთვალათ, ხოლო ქუთაისელებს წაგებისთვის განკუთვნილი 1 ქულა ცხრილში არ ჩაეწერათ.



**18-წლამდელთა ჩემპიონატი**

11 მარტი. ქუთაისი

**ქუთაისი 16:34 აკადემია**

**ენერჯი 109:89 მართვე-2**

30:18 25:23 29:19 26:29

ენერჯი: ჩერქეზიშვილი (23), სანაძე (19), ელანიძე (16), გურაბანიძე (14 ქულა, 10 პასი), მაღრაძე (13 ქულა, 17 მოხსნა)
მართვე-2: გლოველი (37 ქულა, 8 პასი), ქიქვეიშვილი (28), ბაშარული (11 ქულა, 10 მოხსნა)

**დინამო 84:62 ქუთაისი**

19:20 20:18 19:15 28:9

დინამო: ალხანაიძე (37 ქულა, 16 მოხსნა, 3 დაფარება), ბაქრაძე (13)
ქუთაისი: ჩიხლაძე (18), ტუკვაძე (12), ქორიძე (12), ლომინაშვილი (8 ქულა, 12 მოხსნა)

**ნაკრები-93: 73:84 1-ლი ექსპ. სკოლა**

24:11 15:27 14:27 20:19

ნაკრები-93: ლოლიშვილი (21 ქულა, 8 მოხსნა), ბ. ბურჯანაძე (17 ქულა, 16 მოხსნა), გულმაგრაშვილი (8), ნადირაძე (8)
1-ლი ექსპ. სკოლა: წიკლაური (38 ქულა, 10 მოხსნა), მაისურაძე (21), ბექაური (7 ქულა, 16 მოხსნა)

**აკადემია 88:82 რუსთავი**

21:21 19:28 26:18 22:15

აკადემია: ბოქოლიშვილი (28), ელიაძე (21), თენიეშვილი (10 ქულა, 14 მოხსნა), მუმლაძე (8 ქულა, 10 მოხსნა), ჯავახიშვილი (7 ქულა, 11 მოხსნა)
რუსთავი: დვალიშვილი (39 ქულა, 23 მოხსნა), გურული (13), მაისურაძე (12)

**მართვე-1 58:65 აკადემი**

12:16 11:17 13:20 22:12

მართვე-1: ტეტელაშვილი (11 ქულა, 8 მოხსნა), კუპატაძე (9), ლაშქარაძე (9)
აკადემია: ბოქოლიშვილი (16 ქულა, 8 მოხსნა), მუმლაძე (12 ქულა, 9 მოხსნა), თენიეშვილი (11), ჯავახიშვილი (8 ქულა, 14 მოხსნა)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 13 | 10 | 3 | 23 |
| დინამო | 10 | 8 | 2 | 18 |
| 1 ექსპ. სკოლა | 11 | 7 | 4 | 18 |
| რუსთავი | 11 | 6 | 5 | 17 |
| მართვე 1 | 11 | 6 | 5 | 17 |
| ქუთაისი | 13 | 3 | 10 | 16 |
| მართვე 2 | 11 | 4 | 7 | 15 |
| ენერჯი | 9 | 5 | 4 | 14 |
| ნაკრები 93 | 9 | 0 | 9 | 9 |

**16-წლამდელთა ჩემპიონატი**

9 მარტი. სოსოფლო

**მართვე-4 83:55 აფხაზეთი**

27:13 19:15 20:13 17:14

მართვე-4: შენგელია (15), ლოლიაშვილი (12), ლევინეფაძე (12)
აფხაზეთი: კორძაძე (20 ქულა, 22 მოხსნა), უძილაური (12)

**მართვე-3 88:53 რუსთავი**

25:11 26:13 16:7 21:22

მართვე-3: თევზაძე (16), გ. მესხი (16 ქულა, 12 მოხსნა), ფეიქრიშვილი (11), გაბისონია (19)
რუსთავი: არაბული (15), ოქრომჭედლიძე (14)

**51-ე სკოლა 67:84 ქუთაისი**

20:27 18:24 18:16 11:17

51-ე სკოლა: ფხაკაძე (20), მეგენეიშვილი (16), ბარნოვი (6 ქულა, 12 მოხსნა)
ქუთაისი: იაშვილი (23 ქულა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), ნ. მესხი (22 ქულა, 29 მოხსნა), დვალიშვილი (17 ქულა, 15 მოხსნა), გრელიძე (12)

**მართვე-1 81:70 ბათუმი**

26:11 19:21 18:28 18:10

მართვე-1: ბურჯანაძე (27 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება), გულმაგარაშვილი (17), ძიძიგური (11)
ბათუმი: რამიშვილი (36 ქულა, 7 ჩაჭრა), ამირხანაშვილი (21 ქულა, 10 მოხსნა)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| მართვე-4 | 10 | 7 | 3 | 17 |
| ქუთაისი | 9 | 6 | 3 | 15 |
| 51-ე სკოლა | 8 | 6 | 2 | 14 |
| მართვე-1 | 8 | 6 | 2 | 14 |
| მართვე-3 | 7 | 6 | 1 | 13 |
| რუსთავი | 10 | 2 | 8 | 11 |
| ბათუმი | 8 | 3 | 5 | 11 |
| აფხაზეთი | 11 | 0 | 11 | 11 |

**20-წლამდელთა ჩემპიონატი**

8 მარტი. სპორტის სასახლე

**აკადემია 64:68 სამედიცინო**

23:11 10:19 17:21 14:17

აკადემია: ბოქოლიშვილი (23), მეფარიშვილი (17)
სამედიცინო: მაისურაძე (21), წიკლაური (19), გაბისონია (11 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი)

**მაკაბი 80:97 მართვე**

11:19 18:25 18:23 33:39

მაკაბი: ჯანგველაძე (28), თევზაძე (25)
მართვე: ტუხაშვილი (29 ქულა, 28 მოხსნა), ნიკურაძე (22)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 10 | 9 | 1 | 19 |
| სამედიცინო | 10 | 5 | 5 | 15 |
| აკადემია | 7 | 5 | 2 | 12 |
| მართვე | 8 | 4 | 4 | 12 |
| მაკაბი | 7 | 3 | 4 | 10 |
| ქუთაისი | 10 | 0 | 10 | 10 |

კარატე

## საქართველოს ჩემპიონატი



# კარატისტებმა ევროპა გაარკვიეს

**ვაჟები**

**70 კგ**

1 მიხეილ წიკლაური (კიოკუშინკაი, თბილისი)
2 ლაშა ხაჭაპურიძე (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
3 ირაკლი როგავა (აშიხარა, ზუგდიდი)
3 ერეკლე პირველი (კიოკუშინკაი, თბილისი)

**80 კგ**

1 გოჩა სამხარაძე (კიოკუშინკაი, გარდაბანი)
2 გიორგი ნავროზაშვილი (შინკიოკუშინკაი, მარტყოფი)
3 ლევან თუშიშვილი (კიოკუშინ-ტეზუკა, თელავი)
3 ბაკურ საჯაია (კიოკუშინკაი, თბილისი)

**90 კგ**

1 ლევან მჭედლიშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
2 ლევან პარწიკანიშვილი (კიოკუშინკაი, თელავი)
3 გიორგი გვენეტაძე (კიოკუშინკაი, ჩოხატაური)
3 სპარტაკ ჩიხლაძე (კიოკუშინკაი, გორი)

**+90 კგ აბსოლუტური**

1 ედუარდ ჯანოაშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
2 ემზარ ნიკაცაძე (კიოკუშინკაი, თბილისი)
3 ნიკა ქუთელია (კიოკუშინკაი, ქობულეთი)
3 გივი კარკალაია (კიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)

**გოგონები**

**55 კგ**

1 თამარ ბიბილეიშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, სამტრედია)
2 მაია მიხაილოვსკაია (შინკიოკუშინკაი, ბათუმი)
3 ნინო საბიაშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, დუშეთი)
3 ვიქტორია ტელიოხინა (კიოკუშინკაი, ქობულეთი)

**+55 კგ**

1 მაკა ქებურია (კიოკუშინკაი, თბილისი)
2 ნინო ჩიქობავა (კიოკუშინკაი, თბილისი)
3 ნანა ქარდავა (ბოსნაი, თბილისი)
4 სალომე ცანავა (ბოსნაი, თბილისი)

**კატა. ვაჟები**

1 გოჩა სამხარაძე (კიოკუშინკაი, გარდაბანი)
2 გიორგი გვენეტაძე კიოკუშინკაი, ჩოხატაური)
3 მიხეილ წიკლაური (კიოკუშინკაი, თბილისი)

**კატა. გოგონები**

1 მაია მიხაილოვსკაია (შინკიოკუშინკაი, ბათუმი)
2 თამარ ბიბილეიშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, სამტრედია)
3 თეონა ფსუტური (კიოკუშინკაის კავშირი, თბილისი)

**საქართველოს** ჩემპიონატს კარატეში გივი კარტოზიას სახელობის საჭიდაო დარბაზმა უმასპინძლა. ჩემპიონატზე კონტაქტური კარატეს საშეჯიბრო წესებით მოჩხუბარი სპორტის საბრძოლო სახეობათა 8 ფედერაციისა და სპორტული კლუბების სპორტსმენები გამოდიოდნენ. პირველობაზე 100-მდე კარატისტმა მოიყარა თავი. შეჯიბრში თბილისის გარდა, სხვადასხვა ქალაქების და რეგიონების სპორტსმენებიც გამოდიოდნენ: ბათუმის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბორჯომის, გორის, დუშეთის, მარტყოფის, გარდაბანის და თელავის. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულები ეროვნულ ნაკრებს შეავსებენ, რომელიც 3-4 აპრილს კიევში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა შინკიოკუშინკაი კარატეს ვერსიით.

ავტორბოლა

# ლუის ჰემილტონი იმპერიის სამსახურში

**დიდი ბრიტანეთის** დედოფალმა ელისაბედ II ლუის ჰემილტონი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა. ცერემონია ბუკინგემის სასახლეში ჩატარდა და ბრიტანულმა არხებმა პირდაპირ ეთერში აჩვენეს.

დედოფალს ღია-ვარდისფერი კაბა ეცვა, 24 წლის პილოტს კი, როგორც ამგვარი მიღების დროს წესია, შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი და შავიც ჰალსტუხი. სტუმართა შორის ფორმულის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონის მამა, უმცროსი ძმა და დედინაცვალიც იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ სტივენიჯის ღარიბთა უბანში დაბადებული ჰემილტონი არა მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა, ერთადერთი შავკანიანი პილოტიც გახლავთ ფორმულა ერთის ისტორიაში.

სამადლობელ სიტყვაში ჰემილტონმა თქვა, ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვება ჩემთვის უდიდლესი პატივია, რომელსაც მოწიწებით და მორიდებით ვიღებო.

**კოტე კეკელია**



წყალბურთი

# ქართველები უკრაინაში მესამედ გაცურავენ

**დღეს** საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინაში გაემგზავრება და იქაური ღია პირველობის პირველი წრის მესამე ტურში ითამაშებს.

ნაკრები 14-15 მარტს ოდესის და სევასტოპოლის გუნდებს ეთამაშება. ჩვენები „ქარიშხალას“ აუზში ემზადებოდნენ. ისიც ვთქვათ რომ ნაკრებს აქამდე უკრაინის პირველობაზე წაგება არ აქვს.

ნაკრების გამგზავრების ხარჯებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია და ვეტერანი სპორტსმენები გაიღებენ. ნაკრები თბილისში 16მარტს დაბრუნდება.

# ზუკას თასი

**წყალბურთელ** ზუკა სახელაშვილის თასი საერთაშორისო გახდება. 30-31 მაისს გასამართ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის გუნდებიც გამოვლენ. ტურნირისთვის საგანგებო თასი დამზადდა, რომლის ავტორიც მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძეა. თასი წყალბურთელის გამოსახულებაა, შესრულებულია ბრინჯაოში და მოვერცხლილია. ზუკას თასი გარდამავალი იქნება.

**ოთარ მხეიძე**

## ქართველები უცხოეთში

# მანუჩარმა თასს გახედა

## ევროპელები დროს ვერ გვითმობენ

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ „ნიუ ორლეანს“ 89:79 მოუგო. ქართველის კონკურენტს ამერიკელ ალ ჰორფორდს თამაში არ წაუვიდა: 32 წუთში 5 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა, ამიტომ ფაჩულიას ბოლო მატჩებთან შედარებით მეტი დრო დაუთმეს. ჩვენებურმა 20 წუთში 7 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა გაჩარხა.

ესპანეთში 25-ე ტურის მატჩები ჩამოთავდა. ნიკა ცქიტიშვილის „ფუენლაბრადამ“ სტუმრად „ვივამენორკასთან“ 75:78 წააგო. „სკიტა“ ძირითადში იყო, 22 წუთი ითამაშა და მოინაგარა 10 ქულა, 9 მოხსნა და 1 პასი. მის გუნდს 11 გამარჯვება და ამდენივე წაგება აქვს, ცხრილში კი მე-8 ადგილი უჭირავს.

ვალენსიის „პამესამ“ „გრანადას“ ჩააკითხა და 71:69 მოუგო. თორნიკე შენგელიას მხოლოდ 18 წამი დაუთმეს და ამ დროში, აბა, რას მოასწრებდა?! ვალენსიელებს 12 მოგების წილ 11 მარცხი აქვთ და მე-7 ადგილზე არიან. აქვე ვთქვათ, რომ ვალენსიაში შემონდ ულიამსმაც ითამაშა, ვინც ადრე საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი იყო. შემონდი 4 ქულას დასჯერდა.

„კახასოლმა“ „ეურბენციას“ 80:66 მოუგო, მაგრამ 5 გამარჯვების წილ 28 მარცხი აქვს და ცხრილის ფსკერს ვერ შორდება. ტაირონ ელისმა 31 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა გააკეთა.

იტალიაში „მონტეპასკიმ“ მთავარ მდევარს რომის „ლოტომატიკას“ 93:88 აჯობა და 12 ქულით ჩამოიტოვა. სიენელები 21 თამაშში 20 მოგებით იწონებენ თავს. ნიკა მეტრეველი განაცხადში იყო იყო, მაგრამ მისთვის ვერ მოიცალეს...

არ უთამაშია არც გიორგი შერმადინს. მისმა „პანათინაიკოსმა“ კი 103:77 დაჩაგრა „ეგალეო“ და მხოლოდ „ოლიმპიაკოსს“ ჩამორჩება.

ევროჩელენჯზე კი K ჯგუფში ჩარჩა ტაირონ ელისის „კახასოლი“. ესპანელებმა 76:81 წააგეს რუსულ „ურალ გრეიტთან“ და 6 მატჩიდან ოდენ 2 მოგება არ ეყოთ. ელისმა 35 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება გააკეთა.

საუკეთესო ამბავი ბოლოსთვის მოვიტოვეთ. მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევი“ მეოთხედფინალში გავიდა და ბელგიურ „შოლე ბასკეტს“ ეთამაშება. უკრაინელებმა იტალიურ „ვირტუსსთან“ შინ 57:69 წააგეს და G ჯგუფში მეორე ადგილი ირგუნეს. მანუჩარმა 36 წუთი ითამაშა და 14 ქულას, 3 მოხსნას, 6 პასს და 2 ჩაჭრას მოუყარა თავი. მეოთხედფინალისტები 17 და 19 მარტს ითამაშებენ, გამარჯვებული ორი მატჩის მომგები იქნება. თუ მეტოქეები მოგებებს გაცვლიან მაშინ 25 მარტს გაარკვევენ ნახევარფინალისტის ვინაობას.

**ნიკა კოპაძე**



ნიკა ცქიტიშვილმა „ვივამენორყასთან“ 10 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა

*„სარბიელი“ ხშირად უთმობს გვერდებს საკუთარი აზრის გამოხატვის მსურველს მკითხველს, ამისთვის გვაქვს რუბრიკა „ჯეო-ფანი“. მაგრამ ქვემორე სტატია იმდენად საინტერესოდ გვეჩვენა, რომ სრულად, თითქმის ყოველგვარი რედაქტირების გარეშე გთავაზობთ. სტატია ეხება საკალათბურთო ინტერნეტ-მენეჯერს*

# ბაზერბითერი

## ტყორცნა, რომელიც დროზე ძლიერია

**კალათბურთის** ძველ გულშემატკივარს ეხსომება მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადა, რომლის საკალათბურთო ტურნირის ფინალში ერთმანეთს ორი იმდროინდელი ჰეგემონი — საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დაუპირისპირდა. შეხვედრის დასრულებამდე 3 წამით ადრე ამერიკელები წინ იყვნენ. შემდეგ კი მოხდა სასწაული და ალექსანდრ ბელოვმა ბოლო წამს ჩაგდებული ბურთით საბჭოთელებს თამაში და ოლიმპიური ოქრო მოაგებინა. ეს იყო მსოფლიოს საკალათბურთო ისტორიის ყველაზე ცნობილი ბაზერბითერი, რომელმაც ალბათ ბევრ ჩვენ მაშინდელ და ამჟამინდელ თანამემამულეს ნათელი კომუნიზმის სწრაფად დადგომის მოლოდინი გაუღმავა.

არავინ იცის, ფიქრობდნენ თუ არა ზემოაღწერილ ამბავზე ბაზერბითერით დაჩაგრული ქვეყნის შვილები — პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტები მარკ დენიელსი და ჩარლზ სტეინჰარდი, როდესაც 2007 წელს ერთად შეიყარნენ და რეალისტურ ძრავაზე დაფუძნებული საკალათბურთო სიმულატორის შექმნა გადაწყვიტეს. მცირეოდენი სჯა-ბაასის შემდეგ თამაშს სახელად სწორედ „ბაზერბითერი“ შეურჩიეს. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ნამდვილ კალათბურთში ყველაფერი საფინალო სირენასთან ერთად წყდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ესოდენ მომრავლებული ონლაინ-სიმულატორები, რომლებიც სპორტის თითქმის ყველა გუნდურ სახეობას ეძღვნება. თუ მიუნხენის ოლიმპიადის ეპოქაში ახალგაზრდა ამბიციური მეცნიერები მუდმივი ძრავის გამოგონებაში ხარჯავდნენ ენერგიას, ახალი ყაიდის ჭკუის კოლოფები ბევრად უფრო მცირე, მაგრამ სახალისო საქმით არიან დაკავებული, რომელსაც ხშირად გვარიანი შემოსავალიც მოაქვს ხოლმე. ეს მიზანი თითქოს საკმაოდ მარტივია — სპორტის გუნდური სახეობის არსში ჩაწვდომა და ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც თამაშის მიმდინარეობის ყველა ნიუანსს წინასწარ განსაზღვრავს. საგრძნობი პროგრესის და მიუხედავად, სადღეისოდ ეს ძრავები მაინც საკმაოდ პრიმიტიულ საფეხურზე დგანან. მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება ათიოდე წელიწადში?! იქნებ ისეთი რეალობის წინაშე დავდგეთ, როდესაც რეალურ სპორტს აზრი დაეკარგება, ყველაფერს კი მონაცემთა ბაზების ჯურღმულები და სხვადასხვა ფორმულები გადაწყვეტენ.

ეს, ერთი შეხედვით, უტოპიური ბოდვა არც ისე აბსურდულად მოგვეჩვენება, თუ მხედველობაში მივიღებთ „ბაზერბითერის“ პირველ ექსპერიმენტებს ნბა-ს თამაშის პროგნოზირების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მცირეოდენი ცდომილების მიუხედავად, საკმაოდ ზუსტად იქნა გამოცნობილი არა მხოლოდ თამაშების შედეგები, არამედ მათი მიმდინარეობა და ცალკეული კალათბურთელების გამოსვლაც კი! იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ თამაშის დამაარსებლები ბოლომდე დარჩებიან საკუთარი იდეის ერთგულნი და არ შეწირავენ მას სხვადასხვა ტოტალიზატორების ინტერესებს.

თუმცა დავუბრუნდეთ უშუალოდ თამაშს. დღეს „ბაზერბითერს“ უკვე 40 000 ინტერნეტ-მომხმარებელზე მეტი თამაშობს მთელი მსოფლიოდან. ვებსაიტ www.buzzerbeater.com-ის სტუმრები ორი დივიზიონისგან შემდგარ 16-გუნდიან ლიგებში არიან განაწილებულნი. სეზონის მიწურულს საუკეთესოს გამოსავლენად პლეი ოფები ტარდება, ისე ჩემპიონთა თასი, რომელზე ასპარეზობის უფლება ქვეყნის ჩემპიონს და თასის მფლობელს ენიჭებათ. თამაში მთლიანად არის ნათარგმნი ქართულ ენაზე, რაზეც თამაშის ქართველი მოდერატორები ზრუნავენ. საერთო ჯამში კი საქართველო 110 გუნდით არის წარმოდგენილი ამ ეტაპზე.

### მაინც რას ვაკეთებთ „ბაზერბითერში“?!

მარტივად რომ ვთქვათ, ვმართავთ და ვანვითარებთ გუნდს არა მხოლოდ მწვრთნელის, არამედ კლუბის პრეზიდენტის პოზიციიდანაც. ვცდილობთ, რომ არ გავბრაზდეთ განგებაზე, როდესაც მის მიერ ბოძებული 18 საწყისი მოთამაშიდან თავიდან ვერცერთი იჩაუქებს, ხოლო გუნდის პირველ თამაშზე 135 მაყურებელი მოვა.

მცირე მოთმინების და დიდი რუდუნების შემდეგ გუნდი განვითარებას დაიწყებს, თქვენ მასთან ერთად თამაშების მოგებას იწყებთ, ნელ-ნელა სწავლობთ საკუთარი გუნდის კალათბურთელების სახელ-გვარებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. შეიძლება ერთ დღეს აღმოაჩინოთ, რომ გუნდის წამყვან მსროლელს ნაკრებში მოხვედრის შანსი გაუჩნდა, 3 დღეში კი ამხანაგური შეხვედრა გაქვთ დაგეგმილი ახალი ზელანდიის ვიცე-ჩემპიონთან, რომლის სანახავადაც დროზე ადრე ბრუნდებით მეგობრის წვეულებიდან.

თამაშების ნახვაზე ცალკე ღირს ერთი-ორი სიტყვის თქმა — თქვენი შეგირდების გამოსვლისთვის თვალის დევნება შეგიძლიათ პირდაპირი ტექსტური რეპორტაჟის მეშვეობით, რომელიც მოედანზე განვითარებული მოვლენების მიხედვით ყოველ რამდენიმე წამში ერთხელ იცვლება. ამ რეპორტაჟის უკან ერთი დიდი ძრავაა, რომელიც სისტემაში არსებული ყველა მონაცემის გადამუშავებას ახდენს და საბოლოო ჯამში ზემოთხსენებული რეპორტაჟის სახით გვიბრუნებს. თუ ერთხელ მაინც გიდევნებიათ თვალი ნბა-ს რომელიმე თამაშის ტექსტური რეპორტაჟისთვის, მიხვდებით რაზეც მაქვს საუბარი. სხვათა შორის, მსგავსი რამ ევრობასკეტის გვერდმაც გააკეთა ბოლო ხანს, სადაც საქართველოს ნაკრების თამაშების ხილვაც შეიძლება.

შეიძლება ბოლო 2 აბზაცი გადაჭარბებულად მოგეჩვენებათ, თუმცა ეს არის ერთგვარი მინიშნება აზარტში სწრაფად შესვლის საფრთხის შესახებ. თუმცა, ამ თამაშის მონაწილე ქართველების მტკიცებით, „ბაზერბითერმა“ მათი ცხოვრების მხოლოდ ერთი პატარა სეგმენტი დაიკავა, რომელიც მათ არანაირად უშლით ხელს ყოველდღიურ საქმიანობაში, სანაცვლოდ კი ბევრ სიხარულს ანიჭებს.

„ბაზერბითერში“ თქვენს მიერ გუნდის გაძღოლა უსაფრთხოა როგორც ქვეყნისთვის, ასევე თქვენი ოჯახისთვის. გახსოვთ, როგორ ტარდებოდა ხოლმე საქართველოს ჩემპიონატები ფეხბურთსა თუ კალათბურთში?! თაფლაკვერების დამამზადებელი იატაკქვეშა საამქროს რომელიმე მეპატრონე „ადვილ“ ფულს იშოვიდა და შეეცდებოდა ბავშვების ოცნების ასრულებას, შეექმნა მთელი მსოფლიოს შემმუსრავი გუნდი. ამ მიზნისთვის ის ოჯახს ფულის ნაწილს აკლებდა და მას სპორტში აბანდებდა. თანდათანობით ის გუნდის ყველაფერი ხდებოდა — მეპატრონე, პრეზიდენტი, მწვრთნელი, მამა და თოვლის ბაბუა. ეს ექსპერიმენტი მეტწილად ცუდად მთავრდებოდა ხოლმე, ძირითადად მაშინ, როდესაც რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ მეწარმე მსოფლიოს დაპყრობის იდეის აბსურდულობაში დარწმუნდებოდა. ამ დროს ხდებოდა ხელფასების გაცემაზე, კარგი მწვრთნელის მოყვანაზე, სტადიონის მოწესრიგებაზე და სინდისზე უარის თქმა, ხოლო მთავარი რესურსი კი მსაჯების მოთაფლვაში მიდიოდა. ბოლოს, როდესაც კონკურენტი ბიზნესმენი მსაჯს უფრო მეტ ფულს შეაძლევდა, ხდებოდა მსოფლიოს დამპყრობელი გუნდის შექმნაზე საბოლოოდ ხელის ჩაქნევა.

„ბაზერბითერში“ თქვენ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ჩვენი ახლო წინაპრების მიერ ესოდენ ნალოლიავები ოცნება შეიძლება რეალობად იქცეს. თუნდაც იმიტომ, რომ ამ თამაშში მსაჯები არ იყიდებიან! მეტიც, ისინი საერთოდ არ ფიგურირებენ, გუნდის „ყველაფერჩიკობა“ თქვენი ახირება კი არა, თქვენი ვალდებულებაა.

თუ თქვენ გაქვთ ხშირი შეხება ინტერნეტთან, გაინტერესებთ კალათბურთი და ეს ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს ნაკრების ძაგებით წელიწადში რამდენიმეჯერ, მას შემდეგ რაც ჩვენი ბიჭები მორიგ შეხვედრას დათმობენ თეთრი დათვების და გეიზერების სამშობლოს გუნდთან. თუ ეს ინტერესი უფრო სიღრმისეულია და მიიჩნევთ, რომ ჯამლეთ ხუხაშვილის დონეზე მაინც უთავკაცებთ რომელიმე გუნდს, ასევე გაქვთ სპორტული ჟინი, მაშინ „ბაზერბითერი“ თქვენი თამაშია.

**მიხეილ გერმანიშვილი**

## XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

# სკოლის დირექტორის ქალური ინტუიცია

**1956 წელს სოხუმის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა მძლეოსნობის მწვრთნელ აკოფ კერსელიანს თავისი მოსწავლე, ვიქტორ სანეევი აჩვენა და უთხრა: „მგონი, ძალიან ნიჭიერია!" მწვრთნელმა ბიჭს შეხედა და ვარჯიშზე დაიბარა.
სკოლის დირექტორს ქალურმა ინტუიციამ არ უღალატა. არც მწვრთნელს უმტყუნა ალღომ, მაგრამ 1956 წლის იმ დღეს ვერავინ იტყოდა ზუსტად, სად გაივლიდა ვიქტორ სანეევის შესაძლებლობათა ზღვარი...**




**სანეევი** იმ დროს 11 წლისა იყო, 1945-ის 3 ოქტომბერს დაიბადა სოხუმში, თუმცა მშობლები იქაურები არ იყვნენ. მამამისი, დანილა სანეევი არმავირელი იყო და ომის დროს შიმშილს საქართველოში გაექცა. სოხუმში ოჯახმა ოდნავ ამოისუნთქა, თუმცა სხვა უბედურება დაატყდათ თავს — გადმოსახლებიდან მოკლე ხანში დანილა სანეევი მძიმედ დაავადდა და გარდაცვალებამდე (1961) ლოგინიდან აღარც წამომდგარა.

აღარ შიმშილობდნენ, მაგრამ არც ულხინდათ, ოჯახის უფროსი ლოგინად ჩავარდა, დედა სოხუმის სკვერებში გაზონებს კრეჭდა.

ვიქტორი კი მოუსვენარი იყო, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, მაგრამ რასაც აკეთებდა, სხვებზე უკეთადაც გამოსდიოდა: სირბილიც, ხტუნაობაც, აზროვნებაც.

სწორედ ამ ანცობის გამო იყო, სკოლის დირექტორმა ბავშვი მწვრთნელს რომ ანახა.

ბავშვი აშკარად ნიჭიერი იყო და მწვრთნელის ყველა მითითებას ერთი თქმით იმახსოვრებდა და ასრულებდა. ხანმოკლე დაკვირვებამ კერსელიანი დაარწმუნა: მძლეოსნობის დისციპლინებიდან სანეევს ყველაზე უკეთ ხტომა გამოსდიოდა.

თუმცა მეცადინეობამ დიდხანს ვერ გასტანა. სანეევის ოჯახი განთიადში გადასახლდა და ვიქტორს იქაურ სკოლა-ინტერნატში ექვსი წლის გატარება მოუხდა.

დამოუკიდებლად კი ვარჯიშობდა, მაგრამ უმწვრთნელოდ ტექნიკის დახვეწაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ერთადერთი, რაც შეეძლო, დაკვირვება იყო: განთიადში საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩადიოდა-ხოლმე და ვიქტორიც ვალერი ბრუმელის და სხვათა ვარჯიშს აკვირდებოდა, მერე კი ცდილობდა, ყველაფერი ისეთნაირადვე გაეკეთებინა.

ჰოდა, ერთხელაც, როცა ვიქტორი ნახტომზე მუშაობდა, მას ყურადღება... კალათბურთის მწვრთნელმა მიაქცია.

სანეევს კალათბურთი მოეწონა. ცენტრად ათამაშებდნენ.

სოხუმში დაბრუნების მერე უსიამოვნო საუბარი ელოდა. მძლეოსნობის მწვრთნელმა მისი კალათბურთით გატაცების თაობაზე რომ შეიტყო, გაბრაზდა და რამდენიმე საათი უხსნიდა, რომ ვიქტორის მოწოდება არა კალათბურთი, არამედ მძლეოსნობა იყო. ჭკუის დარიგებამ გაჭრა, სანეევი მძლეოსნობას დაუბრუნდა.

ერთი წლის მერე სანეევი უკვე პირველთანრიგოსანი იყო სირბილში, სამმაგ ხტომასა და ხტომაში.

1962 წელს ვოლგოგრადში, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. პოდიუმზე იტირა — ოლონდ სინანულით, რაკი პირველობამდე ძალიან ცოტა დააკლდა.

მწვრთნელმა აუხსნა, რომ ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველა შეჯიბრის მოგება შეუძლებელია და თუ გულს გაიტეხდა, არაფერი გამოვიდოდა. მხოლოდ სწორი კოორდინაცია და განვითარებული კუნთები საკმარისი არ იყო და მტკიცე ნერვული სისტემის გარეშე ბევრს ვერაფერს მოიგებდა. აქა-იქ გაბრწყინება კი, მაგრამ ხანგრძლივი დროით საუკეთესოობის შენარჩუნებას ვერაფრით მოახერხებდა.

სანეევმა რჩევა გაითვალისწინა და სულ მალე სპორტის ოსტატი გახდა, თუმცა მოღწევა ტერფის არტროზად დაუჯდა.

ამ დიაგნოზს არა ერთი სპორტსმენის კარიერა შეუწირავს — ვარჯიში კი არა, ადამიანს სიარულიც უჭირს.

მკურნალობამ ორი წელი გასტანა და როცა მომჯობინების მერე ვიქტორი 15,78 მეტრზე გადახტა, საკავშირო ნაკრებში სამხტომის მწვრთნელმა ვიტოლდ კრეერმა სანეევი მეხიკოს ოლიმპიადაზე წამსვლელთა კანდიდატად ჩაიწერა.

ნაკრების მწვრთნელთა საბჭო გაკვირვებული იყო: სანეევის ნიჭისა არ ეეჭვებოდათ, მაგრამ ასეთი ტრავმის სრულფასოვნად მორჩენაზე მსოფლიოში ვერც ერთი ექიმი თავს ვერ დადებდა.

კრეერმა მაშინ თქვა: „აი, ნახავთ, სანეევი მეხიკოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდება."

ოლიმპიადამდე დრო კიდევ იყო და სანეევი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა. გრძნობდა, რომ უმაღლესი შედეგების მისაღწევად ვარჯიშის გარდა, ორგანიზმის აგებულების სრულყოფილად ცოდნაც სჭირდებოდა.

მეხიკოში პლანეტის უძლიერესებმა მოიყარეს თავი. მხოლოდ იოზეფ შმიდტის ხსენება რად ღირს — სპორტსმენისა, რომელმაც პირველმა გადალახა 17-მეტრიანი ზღვარი. ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო, სენეგალელი მანსურ დია, ავსტრალიელი ფილ მეი, ამერიკელი არტურ უოკერი.

შეჯიბრის დაწყებამდე ერთი კვირის განმავლობაში სანეევი მეტოქეთა ვარჯიშსაც აკვირდებოდა და შემაშფოთებელი დასკვნა გამოიტანა — კონკურენტები ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ და გასამარჯვებლად ლამის 18 მეტრზე იყო საჭირო გადახტომა.

სანეევმა შეშფოთება მწვრთნელს გაუზიარა. კრეერმა მხრები აიჩეჩა, თავადაც შეშფოთებული იყო, მაგრამ სპორტსმენი მაინც დაამშვიდა: ვარჯიშზე ასე კარგად რომ ხტებიან, ფინალში წაიფორხილებენო.

კვალიფიკაციაში იტალიელმა ჯუზეპე ჯენტილემ 17,22 მეტრზე ისკუპა, მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ისე ჩანდა, რომ უკვე დაიჯერა ოლიმპიური ჩემპიონობა — მის გადასასწრებად ახალი მსოფლიოს რეკორდის დამყარება იყო საჭირო.

ახალი მსოფლიოს რეკორდი ვიქტორ სანეევმა დაამყარა — 17,23!

სიხარული დიდი იყო, მაგრამ ხანმოკლე: ბრაზილიელმა პრუდენსიომ სანეევის რეკორდი მთელი 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ბრაზილიელის ეს შედეგი ფანტასტიკად მოჩანდა და კონკურენტები აანერვიულა. ფსიქოლოგიურად გატეხილები კი აბა, რას გახდებოდნენ... მხოლოდ სანეევი გამოდგა ის სპორტსმენი, რომელმაც იწამა, რომ კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის დამყარება შეეძლო.

მოგვიანებით მან გაიხსენა: „სხვებთან შედარებით, ალბათ, ერთი უპირატესობა მქონდა — არ შემშინებია. როდესაც 17,39 მეტრზე გადავხტი, გარშემო ყველაფერი დატრიალდა. ვიღაცები მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, ყვიროდნენ. მე კი ჩუმად ვიყავი, რადგან ჯერაც გასააზრებელი მქონდა, რა გავაკეთე."

ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი მეხიკოდან პირდაპირ მოსკოვში ჩავიდა, თუმცა მაცდური შეთავაზებაც ჰქონდა — დასასვენებლად ჰავანაში წასულიყო.

მოსკოვში კი იგრძნო, რაც იყო ნამდვილი დიდება: შეხვედრები, ინტერვიუები, მისკენ მიპყრობილი მზერა...

თუმცა დახვედრა, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს მოსკოვში მოუწყვეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც სოხუმში ელოდა. იქ მას პირდაპირი გაგებით ხელით ატარებდნენ...

მომდევნო ოლიმპიადამდე კიდევ ოთხი წელი იყო და ამ ოთხ წელიწადში ბევრი რამ მოხდა. სანეევმა ევროპის ჩემპიონობა გერმანელ იორგ დრემელს დაუთმო, მსოფლიო რეკორდი კუბელმა პედრო დუენასმა ჩამოართვა, თავად კი ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი.

ოლიმპიადის წინა პერიოდი სოხუმში გაატარა. დედის მომზადებული მალამოებით იმკურნალა და წლების მანძილზე პირველად, საფუძვლიანადაც დაისვენა. მეტწილად ზღვაზე იყო-ხოლმე.

...მიუნხენში ყველა დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მაგრამ სანეევმა ხალხს იმედი გაუცრუა — პირველივე ცდის მერე მიხვდნენ, რომ ბრძოლა აღარ იქნებოდა, ვიქტორ სანეევს კი მეორედ ჩამოჰკიდებდნენ მკერდზე ოლიმპიურ ოქროს.

ამასთანავე, კუბელიც აღარ იყო მსოფლიოს რეკორდის მპყრობელი — ვიქტორ სანეევი 17,44 მეტრზე გადახტა და მესამედ დაამყარა მსოფლიო რეკორდი.

მესამე ოლიმპიური ოქრო კი სანეევმა მონრეალში მოიგო.

სანეევს კვლავაც ტრავმა აწუხებდა, მის მთავარ კონკურენტად კი ამერიკელი ბატსი ითვლებოდა.

ამერიკელი 17,18 მეტრზე გადახტა. ეს არ იყო მსოფლიოს რეკორდი, მაგრამ ჩათვალეს, რომ სანეევი არათუ თავის ძველ შედეგს ვეღარ გაიმეორებდა, ამ სიგრძეზეც გაუჭირდებოდა გადახტომა.

სანეევმა ამერიკელს 11 სანტიმეტრით აჯობა.

კარიერა დასასრულისკენ მიდიოდა და მოსკოვის ოლიმპიადაზე გამარჯვება ბრწყინვალე დასასრული უნდა ყოფილიყო. დროც იყო: ვარჯიში, ასპირანტურა, შვილსაც, სანდროს, მეტი ყურადღება სჭირდებოდა.

მაგრამ სანეევმა მოსკოვიდან ოდენ ვერცხლი წაიღო. ყველაფრის გათვალისწინებით ესეც გმირობის ტოლფასი იყო.

საუკუნეთა მიჯნაზე ვიქტორ სანეევი ჩვენმა სპორტულმა სამყარომ XX საუკუნის საქართველოს უდიდეს სპორტსმენად დაასახელა.

ვიქტორ სანეევი ავსტრალიაში ცხოვრობს.

**გიორგი დარჯანია**



# ოქსანამ ეგვიპტე ორჯერ მოიგო

**ქართველმა** ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ევგიპტის ქალაქ გიზაში 10 ათას დოლარიანი ტურნირი მოიგო. 18 წლის ოქსანა მაროკოელ ელ ალამისთან იყო შეამხანაგებული, წყვილებში ხომ იჩემპიონა და ერთეულთა შეჯიბრშიც ყველა დაჩაგრა.

ჩვენებურმა მეჩოგნემ ჯერ იტალიელი დი სარა დაამარცხა 6:4 6:4, მერე კი ესპანელი სანჩეს-კუინტანარი მიჩოგნა 7:5 6:4 და გერმანელ სიგემუნდის დაუპირისპირდა, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი. ოქსანამ მეტოქე 6:4 3:6 6:4 დაამარცხა, ნახევარფინალში კი ჰოლანდიელ კოეკის შეხვდა და 6:4 6:4 მოუგო.

ოქსანა კალაშნიკოვას ფინალში ესპანელი ევა ფერნანდეს-ბრუგუესი ელოდა, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი. ყველაზე რთული შეხვედრაც ეს გამოდგა, თუმც კალაშნიკოვამ გამარჯვება მოახერხა 6:4 4:6 6:3.

წყვილებში ოქსანამ და ელ ალამიმ სამი შეხვედრის მოგების შემდეგ ნახევარფინალში მაროკოელ ომანელ ალ ნაბანისა და პორტუგალიელ დე ლატრეს 6:4 6:4 აჯობეს, ფინალში კი მესამე რეიტინგის მქონე ჰოლანდიელები მედენსა და შუფი 6:4 6:2 დაამარცხეს.



# ჩოგბურთელები რეიტინგმაც დაჩაგრა

**საქართველოს** ჩოგბურთელთა ნაკრები რეიტინგში დაქვეითდა. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ლიტვასთან წაგებული შეხვედრის შემდეგ ოთხი ადგილი დაკარგა და ახლა 44-ე საფეხურზეა.

ჩვენები ლიტვას 2:1 კი უგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრები ორივე ლიდერმა ლადო ჩიხლაძემ და ირაკლი ლაბაძემ წააგო, არადა ქართველებს მეტოქის დასამარცხებლად ერთი მოგება ჰყოფნიდათ. ახლა ნაკრებს მეორე ჯგუფში დასარჩენად ეგვიპტის დამარცხება მართებს, რომლებმაც თავის მხრივ სლოვენიასთან 4:0 წააგეს.

რეიტინგში პირველ ადგილს რუსეთი ინარჩუნებს, რომელსაც ესპანეთი და აშშ მისდევენ.

# ქართველებმა ერთად მოიგეს

**ესპანეთში** დაიწყო ლას პალმას დე გრან კანარიის საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი დოლარია.

სოფო ქვაცაბაიამ პირველ წრეში ფრანგ ნატალი პიკიონთან 3:6 6:3 4:6 წააგო. ეკატერინე გორგოძე კი შვეიცარიელ სარა მუნირთან მატჩს ელის.

ქართველებმა წყვილებში ერთად ითამაშეს და ესპანელებს — კავალე-რეიმერსსა და ფერნანდეს-რაბენერს 6:2 7:5 აჯობეს. მეოთხედფინალში მათი მეტოქე ჩინელები ლუსა და სუნსი იქნებიან.



## მსოფლიოს თასის სტამბოლის ეტაპი

### მეოთხე ტური

| | | |
|---|---|---|
| კონერუ (ინდოეთი, 2621) | 0,5:0,5 | შენი (ჩინეთი, 2448) |
| ჩიბურდანიძე (საქართველო, 2516) | 0:1 | დანიელიანი (სომხეთი, 2496) |
| მამედიაროვა (აზერბაიჯანი, 2362) | 0:1 | სებაგი (საფრანგეთი, 2529) |
| სტეფანოვა (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ჟაო (ჩინეთი, 2508) |
| კრამლინგი (შვედეთი, 2548) | 0:1 | ჰოუ (ჩინეთი, 2571) |
| ილდიზი (თურქეთი, 2214) | 0:1 | ფიერო (ეკვადორი, 2403) |



# მაიას პირველი მარცხი

**ქართველი** მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს თასის გრან პრიზე პირველად დამარცხდა — სომეხ ელინა დანიელიანთან თეთრი ფიგურებით ვერ დაიცვა თავი. მეოთხე ტურში ჩიბურდანიძის გარდა თეთრი ფიგურებით კიდევ სამმა მოჭადრაკემ წააგო. ორი პარტია კი ყაიმით დამთავრდა. ამ წაგების შემდეგ მაია ჩიბურდანიძე 1,5 ქულით მერვე ადგილამდე დაქვეითდა. მეხუთე ტურში ჩიბურდანიძის მეტოქე ჩინელი შენი იქნება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილენი 6-დან 4 ეტაპში მოსინჯავენ ძალებს, გამარჯვებული კი ოთხი ეტაპის ჯამში საუკეთესო იქნება და 2011 წელს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულისთვის მატჩში მოქმედ ჩემპიონს რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ეთამაშება.

| | |
|---|---|
| 1-2 ჰოუ | 3,5 ქულა |
| 1-2 ფიეირო | 3,5 |
| 3-4 კონერუ | 3 |
| 3-4 ჟაუ | 3 |
| 5 დანიელიანი | 2,5 |
| 6-7 სტეფანოვა | 2 |
| 6-7 სებაგი | 2 |
| 8-9 ჩიბურდანიძე | 1,5 |
| 8-9 შენი | 1,5 |
| 10 კრამლინგი | 1 |
| 11 ილდიზი | 0,5 |
| 12 მამედიაროვა | 0 |

## ევროპის ჩემპიონატი. სანქტ პეტერბურგი. 7-21 მარტი. ქალები

### მესამე ტური

| | | |
|---|---|---|
| ძაგნიძე (საქართველო, 2518) | 1:0 | ზავადსკა (პოლონეთი, 2385) |
| გირია (რუსეთი, 2315) | 0,5:0,5 | ლომინეიშვილი (საქართველო, 2437) |
| ილუშინა (რუსეთი, 2269) | 0,5:0,5 | მელია (საქართველო, 2302) |
| ხურციძე (საქართველო, 2421) | 1:0 | ჩასოვნიკა (რუსეთი, 2302) |
| კომიაგინა (რუსეთი, 2283) | 0:1 | ხუხაშვილი (2416) |
| შადრინა (რუსეთი, 2416) | 1:0 | პაიკიძე (საქართველო, 2280) |
| გვეტაძე (საქართველო, 2377) | 1:0 | წაწალაშვილი (საქართველო, 2231) |
| დვორაკოვსკა (პოლონეთი, 2352) | 1:0 | დანელია (2219) |
| სოროკინა (რუსეთი, 2087) | 0:1 | გურამიშვილი (2281) |
| არაბიძე (საქართველო, 2246) | 1:0 | აზიმოვა (რუსეთი, 1940) |



# ძაგნიძე ევროპას გადმოყურებს

ბიჭებისგან განსხვავებით უკეთ თამაშობენ გოგონები. სანკტ-პეტერბურგში ევროპის ჩემპიონატს სამი ტურის შემდეგ ნანა ძაგნიძე ლიდერობს. ნანას მსგავსად ხუთი მოჭადრაკეა ისეთი სამივე მატჩი, რომ მოიგო, მაგრამ ქართველი დამატებითი მაჩვენებლების წყალობით ლიდერობს. ძაგნიძემ მესამე ტურში პოლონელი იოლანტა ზავადსკას თეთრებით მოუგო. მეოთხე ტურში კი შავებით რუმინელ კრისტინა-ადელა ფოიდორს ეთამაშება, რომელსაც ასევე სამი ქულა მოუგროვებია. ლიდერთა ექვსეულს 21 მოჭადრაკე მისდევს ნახევარქულიანი ჩამორჩენით და მათ შორის ხუთი ქართველია: მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი და სოფო გვეტაძე. აქვე ვთქვათ, რომ ევროპირველობაზე მსოფლიოს თასის 14 საგზურიც თამაშდება, რომლისთვისაც 35 ქვეყნის მოჭადრაკე იბრძოლებს. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ტარდება და 20 მარტამდე გასტანს.

| | |
|---|---|
| 1 ძაგნიძე | 3 |
| 2 ჰოანგი | 3 |
| 3 სოცკო | 3 |
| 4 ოვოდი | 3 |
| 5 ფოისორი | 3 |
| 6 გრითაევა | 3 |
| 14 ლომინეიშვილი | 2,5 |
| 15 მელია | 2,5 |
| 16 ხურციძე | 2,5 |
| 17 ხუხაშვილი | 2,5 |
| 22 გვეტაძე | 2,5 |
| 56 გურამიშვილი | 2 |
| 60 არაბიძე | 2 |
| 83 პაიკიძე | 1,5 |
| 92 წაწალაშვილი | 1,5 |
| 115 დანელია | 1 |

## ევროპის ჩემპიონატი. ბუდვა. 6-19 მარტი. კაცები

### მეხუთე ტური

| | | |
|---|---|---|
| ტიმოფეევი (რუსეთი, 2671) | 1:0 | გაგუნაშვილი (საქართველო, 2585) |
| ჯობავა (საქართველო, 2669) | 1:0 | ერდოში (უნგრეთი, 2583) |
| სავიჩი (სერბეთი, 2525) | 0,5:0,5 | მჭედიშვილი (საქართველო, 2619) |
| სანიკიძე (საქართველო, 2522) | 0,5:0,5 | ლამი (ჰოლანდია, 2603) |



# ლიდერებს მარტო ჯობავა ხედავს

ბუდვაში მიმდინარე მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე ბაადურ ჯობავამ მეორე ტურში წაფორთხილების შემდეგ მიჯრით სამი შეხვედრა მოიგო და ლიდერებს მიუახლოვდა. მეხუთე ტურში ჯობავამ თეთრი ფიგურებით უნგრელ ვიქტორ ერდოშს მოუგო და კიდევ 21 მოჭადრაკესთან ერთად 4 ქულას მოუყარა თავი. ბაადური ახლა რუსებს სიგუროვს და ინარკიეს, ასევე გერმანელ მაიერს ჩამორჩება, რომელთაც 4,5 ქულა აქვთ.

სამი მოგების შემდეგ კი ორი მატჩი წააგო მერაბ გაგუნაშვილმა. რუს არტიომ ტარმოფეევთან შავი ფიგურებით და 3 ქულით 72-ე ადგილამდე ჩამოჩოჩდა. ასევე, სამ-სამი ქულა აქვთ მიხეილ მჭედლიშვილს და თორნიკე სანიკიძეს. მჭედლიშვილი შავებით სერბ ბიოდრაგ სავიჩს დაშორდა ყაიმით და 85-ე ადგილი უჭირავს. სანიკიძემ კი თეთრებით ქულა გაუყო ჰოლანდიელ ლამის და 104 პოზიციაზეა. აქვე ვთქვათ, რომ ევროპის მეათე ჩემპიონატს 306 მოჭადრაკე თამაშობს.

ოთარ მხეიძე

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვეიდის რეიდი

8 მარტი
ტორონტო 101:109 იუტა
ბოსტონი 79:86 ორლანდო
სან ანტონიო 103:98 ფინიქსი
ნიუ ჯერსი 106:101 ნიუ იორკი
ოკლაჰომა 89:74 ფილადელფია
ჰიუსტონი 93:83 მემფისი
საკრამენტო 114:106 დენვერი

9 მარტი
მაიამი 130:127 ჩიკაგო
ატლანტა 89:79 ნიუ ორლეანი
დეტროიტი 98:94 ორლანდო
მინესოტა 99:110 ვაშინგტონი
დენვერი 95:97 ჰიუსტონი
პორტლენდი 111:94 ლეიკერსი

10 მარტი
ინდიანა 100:112 იუტა
მილუოკი 112:120 ნიუ იორკი
სან ანტონიო 100:86 შარლოტი
საკრამენტო 98:99 ოკლაჰომა
ფინიქსი 117:122 დალასი
კლიპერსი 83:87 კლივლენდი

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 50 | 13 | 79,4 |
| ბოსტონი | 49 | 15 | 76,6 |
| ორლანდო | 46 | 17 | 73,0 |
| ატლანტა | 36 | 28 | 56,3 |
| მაიამი | 34 | 29 | 54,0 |
| დეტროიტი | 32 | 30 | 51,6 |
| ფილადელფია | 30 | 31 | 49,2 |
| ჩიკაგო | 29 | 35 | 45,3 |
| მილუოკი | 30 | 37 | 44,8 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 35 | 44,4 |
| შარლოტი | 28 | 36 | 43,8 |
| ინდიანა | 28 | 38 | 42,4 |
| ნიუ იორკი | 26 | 37 | 41,3 |
| ტორონტო | 23 | 41 | 35,9 |
| ვაშინგტონი | 15 | 49 | 23,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 50 | 13 | 79,4 |
| სან ანტონიო | 43 | 20 | 68,3 |
| ჰიუსტონი | 42 | 23 | 64,6 |
| იუტა | 41 | 23 | 64,1 |
| პორტლენდი | 40 | 23 | 63,5 |
| ნიუ ორლეანი | 39 | 23 | 62,9 |
| დენვერი | 40 | 35 | 61,5 |
| დალასი | 39 | 25 | 60,9 |
| ფინიქსი | 34 | 30 | 53,1 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 42 | 33,3 |
| მინესოტა | 18 | 45 | 28,6 |
| ოკლაჰომა | 18 | 46 | 28,1 |
| მემფისი | 16 | 46 | 25,8 |
| კლიპერსი | 15 | 49 | 23,4 |
| საკრამენტო | 14 | 50 | 21,9 |

## გამორჩეული თამაში

9 მარტი. მაიამი

**მაიამი 130:127 ჩიკაგო**

22:26 32:26 30:22 20:30 13:13 13:10

მაიამი: ჩალმერსი (17), ვეიდი (48 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 3 დაფარება), მუნი (13), პასლემი (10), ონილი (11); ბისლი (18), კუკი (8), ჯონსი (3), ქუინი (2), ენტონი

ჩიკაგო: როუზი (23), გორდონი (43), სალმონსი (29), ტომასი (4), ნოა (11 ქულა, 15 მოხსნა); მილერი (9), ჰაინრიხი (8)




„მაიამი ჰითს" არ უნდა გაუჭირდეს პლეი ოფში გასვლა. აღმოსავლეთში ბევრი თანაბარი გუნდი მოგროვილა და ყველას სურს იქ მოხვედრა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მხოლოდ სანგრიდან იმუქრება და „მაიამი" მათთვის მიუწვდომელია.

ფლორიდელთა ლიდერ დუეინ ვეიდს სხვა ფიქრი უფორიაქებს გონებას — შეხვდება კი მას სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი? ფინალის უძვირფასესად უკვე დაასახელეს 2006 წელს, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის წოდებასაც აქვს თავისი განუმეორებელი ხიბლი.

ვეიდი წლეულს ყველას ერთი თავით ჯობია — ლებრონ ჯეიმსს გუნდში მო უილიამსის მისვლის შემდეგ შესამჩნევად გაუფერმკრთალდა პირადი სტატისტიკა, კობი ბრაიანტი ისვენებს და პლეი ოფის მოლოდინში ძალებს ზოგავს, „ნიუ ორლეანის" ცქვიტი ლიდერი კრის პოლი კი წლეულსაც საუკეთესო მეპასეა, მაგრამ მის გუნდს გამარჯვებები შემოაკლდა.

ამგვარად, მვპ-ს ალების უმთავრეს კანდიდატად რჩება ვეიდი, თუმც იდეალურად არც მას აქვს საქმე — მისი გუნდი მხოლოდ მეხუთეა აღმოსავლეთში. აი, პირველ სამეულში რომ ტრიალებდეს, უძვირფასესობას ვერავინ წაართმევდა ასეთი სტატისტიკის მქონეს — 29,7 ქულა (პირველი ადგილი ბომბარდირებში), 7,7 პასი, 5,1 მოხსნა, 2,2 ჩაჭრა, 1,4 დაფარება...

ორშაბათს ვეიდმა კიდევ ერთი ფანტასტიკური თამაში ჩაატარა. მისი გუნდი შინ დაუხვდა პლეი ოფში დაბრუნების მსურველ „ჩიკაგოს" და 58-წუთიანი ბრძოლა გაუმართა. „ჩიკაგოს" ტრავმებმა გვარიანად კი შეუთხელა შემადგენლობა, მაგრამ „ხარები" ბოლომდე იბრძოდნენ და ოდნავ რომ გამართლებოდათ, მაიამიდან გამარჯვებას წაიღებდნენ.

მაგრამ ვეიდმა არ გაატანა. გარდა იმისა, რომ ბარაქიანი სტატისტიკა მოუგროვდა, მან კონკრეტულ გადამწყვეტ მომენტებშიც არაერთხელ ისახელა თავი — პირველი ტაიმის ბოლოს ლამის ცენტრიდან ჩააგდო სამქულიანი, მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზეც სამიანით გადაარჩინა თავისი გუნდი, ხოლო მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე გიჟური სამიანითვე დასვა წერტილი — დროის ამოწურვამდე 3,3 წამით ადრე ჯონ სალმონს მოპარა ბურთი, სწრაფად გადაკვეთა ცენტრი და შორიდანვე გაუშვა გამარჯვების მომტანი ბურთი. ტრიბუნები პირდაპირ გადაირიენ, „მაიამის" მწვრთნელმა ერიკ სპოელსტრამ კი გაოცებისგან ხელები გაშალა — კაცმა მეტი რაღა უნდა გააკეთოს, უძვირფასესად რომ დაასახელონ.

მისმა გუნდმა ცოტა მეტი თამაში მოიგოს ხოლმე.

**ირაკლი ფირაშვილი**

## კვირის ლიდერები

### ქულა

| | | |
|---|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 2.03 | 42 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 6.03 | 42 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2.03 | 41 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 5.03 | 38 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 4.03 | 37 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4.03 | 35 |
| რუდი გაი (მემფისი) | 4.03 | 35 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (მილუოკი) | 7.03 | 35 |
| ერიკ გორდონი (კლიპერსი) | 7.03 | 35 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 8.03 | 35 |

### მოხსნა

| | | |
|---|---|---|
| იანიკ ნოა (ჩიკაგო) | 4.03 | 17 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 4.03 | 17 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 8.03 | 17 |
| ლუის სკოლა (ჰიუსტონი) | 3.03 | 16 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 6.03 | 16 |

### პასი

| | | |
|---|---|---|
| ჯოსე კალდერონი (ტორონტო) | 3.03 | 16 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4.03 | 16 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 5.03 | 15 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 4.03 | 14 |

### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| დელონტე ვესტი (კლივლენდი) | 4.03 | 8 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2.03 | 7 |
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 2.03 | 6 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 7.03 | 6 |

### დაფარება

| | | |
|---|---|---|
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 3.03 | 6 |

## კვირის ლიდერები (საშ)

### ქულა

| | | |
|---|---|---|
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4 | 35,8 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 3 | 30,0 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 3 | 29,7 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 4 | 28,3 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 4 | 28,0 |
| რიჩი ჯეფერსონი (მილუოკი) | 4 | 27,8 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 3 | 27,0 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2 | 27,0 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 3 | 25,3 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 3 | 25,3 |
| მო უილიამსი (კლივლენდი) | 4 | 25,0 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 4 | 24,8 |

### მოხსნა

| | | |
|---|---|---|
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 2 | 16,5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 3 | 12,7 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 3 | 12,7 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 4 | 12,0 |
| უოაკიმ ნოა (ჩიკაგო) | 3 | 11,7 |
| კევინ ლავი (მინესოტა) | 3 | 11,7 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 3 | 11,7 |

### პასი

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 3 | 13,3 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4 | 11,2 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 3 | 11,3 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 3 | 11,0 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 4 | 10,5 |

### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 3 | 3,3 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4 | 3,3 |
| დელონტე ვესტი (კლივლენდი) | 4 | 3,3 |

### დაფარება

| | | |
|---|---|---|
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 2 | 4,5 |
| დიჯეი მბენგა (ლეიკერსი) | 2 | 4,0 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპერსი) | 3 | 3,7 |

## კვირის სიმბოლური ხუთეული




**დერონ უილიამსი**
(იუტა, 3-0)
25,3 ქულა, თამაშიდან ჩაგდების 56,9 %, 11,3 პასი, 4,0 მოხსნა




**დუეინ ვეიდი**
(მაიამი, 2-2)
35,8 ქულა, თამაშიდან ჩაგდების 56,7 %, 11,5 პასი, 6,8 მოხსნა, 3,3 ჩაჭრა




**პოლ პირსი**
(ბოსტონი, 2-1)
25,3 ქულა, თამაშიდან ჩაგდების 56,7 %, 5,7 პასი, 4,3 მოხსნა




**დირკ ნოვიცკი**
(დალასი, 2-2)
28,3 ქულა, თამაშიდან ჩაგდების 52,7 %, 8,3 მოხსნა, 4,8 პასი, 1,3 დაფარება



**იაო მინი**
(ჰიუსტონი, 3-1)
19,5 ქულა, 19-დან 16 საჯარიმო, 12,0 მოხსნა, 4,0 პასი, 2,8 დაფარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლიჩკოებს არავისი ეშინიათ



*საკრივო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელი, ვიტალი კლიჩკო კრივის გარეშე ვერ ძლებს — ორჯერ გავიდა პენსიაზე, მაგრამ ორჯერვე დაბრუნდა. დღეს ის საბჭოს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონია და 21 მარტს შტუტგარტში ტიტულის დაცვა მოუწევს კუბელი ხუან კარლოს გომესის ხელყოფისგან. უკრაინელი უკვე 37 წლისაა, თუმც ორი წლით უმცროს მეტოქესთან მაინც ფავორიტად ითვლება. კუბელს საკმაოდ კარგი სტატისტიკა აქვს — 45 ბრძოლა, 44 მოგება, 35 ნოკაუტი. რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, იგი წინაც კი დგას კლიჩკოზე, რომელსაც 38 ბრძოლა ჩაუტარებია და მათგან 36 მოუგია (35 ნოკაუტით). მაგრამ ხარისხზე გარანტიას ვერ იძლევა კუბელი. მავანნი ამბობენ, რომ გომესი ჯერ არ შეხვედრია ნამდვილ ჩემპიონებს და მათ დონეზე ბოლო დროსღა ამოსულს მალევე გაუფუჭდება ბალანსიო. ვნახოთ.*

*უფროსი კლიჩკო და ხუან კარლოს გომესი ერთ დროს ვარჯიშის მეგობრები იყვნენ, უფრო ზუსტად გომესი კლიჩკოს სპარინგი გახლდათ და ამ სპარინგობა-ვარჯიშობაში ისე გაიზარდა, რომ ასაკშეპარულ ჩემპიონს ქამარსაც ეცილება. თუმც ქვემორე ინტერვიუში კლიჩკო სულაც არ უფრთხის მომავალ მეტოქეს.*

**— კუბელ მოწინააღმდეგესთან ბრძოლისთვის როგორ ემზადებით?**

— საწვრთნელი ბანაკი ავსტრიაში, ტიროლის მთებში საიმედოდ ჩამალულ გოინგში მაქვს. მე და ჩემმა მწვრთნელმა ფრიც სტუნეკმა კარგი გეგმა შევადგინეთ და მას ზედმიწევნით ვასრულებ. თავიდან ფიზიკური მომზადებით დავიწყეთ, ახლა კი ძალიან ბევრს ვსპარინგობ, ვამუშავებ სისწრაფეს და დაცვას. ამას გარდა ვცურავ და მაგიდის ჩოგბურთსაც ვთამაშობ.

**— საწვრთნელ ბაზად გოინგი რატომ აირჩიეთ?**

— ბოლო დროს ბრძოლების წინ აქ ვარჩევ მზადებას. ძალიან კარგი ადგილია და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მყუდრო სასტუმროში ვართ, გადასარევი ატმოსფეროა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ იდეალურ პირობებში მზადება ადვილი და ხალისიანია.

**— 37 წლის ხართ და არაერთი მძიმე ტრავმა გადაგიტანიათ. ხომ არ გიძნელდებათ ბოლო დროს სტრესებთან გამკლავება? ასაკი თავს არ გახსენებთ?**

— სულაც არა. თავს მშვენივრად ვგრძნობ. მზადებაც ყოველგვარი სტრესების გარეშე მიდის და ერთი სული მაქვს, როდის გავალ რინგზე.

**— შემდეგი მეტოქე თქვენი კარგი ნაცნობია. გომესი თქვენი სპარინგ-პარტნიორი იყო და ერთხელ ვარჯიშზე დაანოკაუტეთ. მწვრთნელიც კარგად იცნობს მას და გაშიფრულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა სპორტულ ინტერესს ხომ არ გიკარგავთ?**

— კი, გომესს ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც რინგზე ერთად ვიდექით. ბოლო წლებში მან შესამჩნევად მოუმატა, საბჭოს რეიტინგში პირველი პრეტენდენტი გახდა და მასზე ნამდვილად არ ითქმის, იოლი მეტოქეაო. მერწმუნეთ, ძალიანაც ვუფრთხი.

**— ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში თქვენ ერთხელაც არ გიწვნევიათ ნოკაუტის სიმძიმე, მაგრამ ტრავმებმა ორჯერ გაიძულეს კრივიდან წასვლა. ხომ არ შიშობთ, რომ ვეტერანობის დროს წამოგეწევათ რომელიმე ჩასაფრებული მეტოქის იღბლიანი დარტყმა?**

— ტიტულისთვის ბრძოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არც ნოკაუტისგანაა ვინმე დაზღვეული და არ არსებობს მოკრივე, რომელიც ასჯერ მაინც არ დაფიქრებულა — რომელიმე მეტოქისგან მოულოდნელად ისეთ დარტყმას მივიღებ, რომ ნოკაუტში ჩავვარდებიო. ნებისმიერ ჩვენგანს აქვს ამაზე ნაფიქრი, თუნდაც სულ უძლეველი იყოს მოკრივე. ჩვენ ყველანი პროფესიონალები ვართ და კარგად ვიცით საქმე. ამიტომ ყოველთვის ფოკუსში უნდა ვიყოთ.

**— რამდენად მნიშვნელოვანია, მოკრივისთვის ფსიქოლოგიური მომზადება?**

— უმნიშვნელოვანესი. თუ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული და ბრძოლაზე ასი პროცენტით კონცენტრირებული ხარ, პირველი რაუნდი უკვე მოგებული გაქვს.

**— საიდუმლო არაა, რომ მეტოქედ დევიდ ჰეი, ან ნიკოლაი ვალუევი გსურდათ...**

— მართალი ბრძანდებით, სხვა ოპონენტთან ბრძოლა მერჩივნა. მაგრამ საბჭომ ეს მეტოქე გამომიწერა და ჯერ მას შევხვდები. სხვებთან ბრძოლა მერე იყოს.

**— მძიმე წონაში ძმები კლიჩკოები დომინირებთ. თუ არის ვინმე ისეთი, ვისიც გეშინიათ?**

— კლიჩკოებს არასდროს არავისი არ გვეშინია. მაგრამ არიან ჩვენს წონაში მძლავრი მოკრივეები, რომლებთანაც მეტ ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მოგვიწევს — ჰეიე, ვალუევი, ჩაგაევი, არეოლა...

**— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ძმის მხარდაჭერა უშუალოდ ბრძოლის დროს?**

— ვერც კი წარმომიდგენია სიტუაცია, რომ მე რინგზე ვიბრძოდე და ძმა კუთხიდან არ მამხნევებდეს. უმნიშვნელოვანესია მისი მხარდაჭერა. ბრძოლის დროს მხოლოდ მისი და მწვრთნელის შეძახილები მესმის. სხვა ყველა ხმისთვის ჩემი ყურები დახშულია.

**— რას იზავთ, თუ გომესთან დამარცხდით? კიდევ ერთხელ დაანებებთ კრივს თავს?**

— არ დავმარცხდები.



# ჯვაროსნებს მთავარი რაინდი დაემტვრათ

**ზე-14-ის** ჩემპიონ კლუბს, ახალზელანდიურ „კრუზეიდერსს" ბოლო დროს ცუდად მიდის საქმე. მსოფლიოს საუკეთესო 10 ნომერი ჰყავდა — დან კარტერი — და საფრანგეთში გაექცა, სადაც ისე დაიმტვრა, რომ ნახევარი წელი ვერ ითამაშებს. ახლა კი „ჯვაროსნებმა" მეორე ლიდერიც მოისაკლისეს — მათი და ახალზელანდიელი შავების უშიშარი კაპიტანი რიჩი მაკქოუ დაშავდა და ოთხი კვირით გამოეთხოვა მოედანს. მაკქოუმ ამ უქმეებზე ზე-14-ის მეოთხე ტურში „ოთაგო ჰაილენდერზთან" შეხვედრაში იტკინა მუხლი და იძულებით დატოვა თამაში, რომელიც მისმა გუნდმა 0:6 წააგო.

ეს მარცხი ზედიზედ მესამე იყო „კრუზეიდერზისთვის" და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩემპიონები წლეულს ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლას შეუფერებლად ადრე დაასრულებენ, მით უფრო, რომ ასეთი მოთამაშე მოისაკლისეს.



რიჩი მაკქოუ

# ირლანდიას ტიტული ელანდება

**ირლანდიის** ამ ნაკრებს „ოქროს თაობა" კი უწოდეს, მაგრამ დრო მიდის, ოქრო კი არსად ჩანს — ბრაიან ოდრისკოლს, პოლ ოკონელს და მათ გუნდს ჯერ არ მოუგია ექვსი ერი.

მაგრამ ზურმუხტის კუნძულის შვილებს წლეულს ამის ისეთი მაღალი შანსი გაუჩნდათ, როგორც არასდროს. სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ისინი დარჩნენ დაუმარცხებელნი. რჩებათ ორი თამაში, ორივე გასვლაზე და ორივე ეთნიკურ ნათესავებთან — შოტლანდიელებთან და უელსელებთან. შოტლანდია ბოლო დროს ველარ ყოჩაღობს, მხოლოდ იტალიას უგებს და ამ შაბათს ედინბურგში გასამართი თამაში ნაკლებად აფრთხობს „სამყურათა" მწვრთნელ დეკლან კიდნის. დიდი შანსია, რომ მისმა შეგირდებმა მოიგონ. აი, გადამწყვეტი ჯახი კი 21 მარტს უელსის მთავარქალაქ კარდიფში, სახელგანთქმულ „მილენიუმზე" შედგება და იქ ისეთი ამბები დატრიალდება, რომ შეშინებული დედები შვილებს საყურებლადაც არ გაუშვებენ.

კიდნი ჯერ შოტლანდიასთან შესარკენად ამზადებს გუნდს. ათი დღის წინ ინგლისის მძლეველი შემადგენლობიდან ოთხი კაცი შეცვალა, თუმც ახლებისთვის არ დაუძახია, ისევ ძველი მეომრები იხმო. ხაზის ცენტში კაპიტან ოდრისკოლის გვერდით 12 ნომერზე დადგება 28 წლის გამოცდილი მონაკრებე გორდონ დარსი. ძირითად 15-ში დაბრუნდება ვეტერანი 9 ნომერი პიტერ სტრინგერი, რომელსაც ბოლო დრომდე იქ ადგილი გარანტირებულიც ჰქონდა, თუმც ასაკი რომ შეეპარა, შეცდომებს უხშირა და მწვრთნელმა სკამს შეაჩვია. გავიხსენოთ თუნდაც ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოსთან მატჩი, სადაც სტრინგერის უნიათო პასი ჩვენებურმა გიორგი შკინინმა ჩაჭრა და ყინჩმა ირლანდიამ შედარებით ნაკლები გაქანების მეტოქესთან მარცხს ჩახედა თვალებში.

ძირითად 15-ში დაბრუნდნენ საქართველოსთან მატჩის სხვა მონაწილეები — კვაჭი (2) რორი ბესტი და შერკინების შემკვრელი (8) დენის ლემი. სკამზე გადაჯდებიან ინგლისთან ნათამაშები პადი ვოლესი, ტომას ოლერი, ჯერი ფლანერი და ჯემი ჰეისლიპი.

შოტლანდიასთან მატჩში დაემხობა ირლანდიის რეკორდი. 35 წლის ბურჯი ჯონ ჰეიესი 92-ედ მოირგებს ზურმუხტოვან მაისურს და გაასწრებს ახმახ მალკოლმ ოკელის. სხვათა შორის, ოკელი ჰეიესზე ერთი წლით უმცროსია და ოფიციალურად ჯერ არ წასულა რაგბიდან, მაგრამ მის პოზიციაზე ვეფხვივით ბიჭები თამაშობენ — დერეფნების რისხვა, „ჰაერის მეფედ" წოდებული პოლ ოკენელი და დონჩა ოკალაჰანი, რომელიც დაცვაში შეუცვლელია, ასე რომ, ზის ოკელი სკამზე და უყურებს, როგორ იხვეჭს კეპებს მასზე ბებერი ჰეიესი.



ჯონ ჰეიესი
სარეკორდოდ ემზადება

**ირაკლი ფირაშვილი**

მძლეოსნობა

# ჩამბერსი დახურული ევროპის ჩემპიონია

## სებასტიან ბაიერი კარლ ლუისის კვალზე

**ევროპის** ჭერქვეშა ჩემპიონატი არცთუ ელიტარული სამძლეოსნო ტურნირია. საზოგადოდ მძლეოსნობა საზაფხულო სპორტია და დარბაზებში, ზამთრობით მეორე ეშელონის სპორტსმენები ეჯიბრებიან ერთმანეთს. მაგრამ „ჩასაფრებული“ კარგ შედეგს აქაც შეიძლება გადააწყდეს.

გერმანელ სიგრძეზე მხტომელს, სებასტიან ბაიერს აქამდე თავი ვერაფრით გამოეჩინა, მხოლოდ სამშობლოში იცნობდნენ და ისიც ძალზე ვიწრო წრეში, ტურინში მიმდინარე ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატზე კი მან ისეთი შედეგი „გაისროლა“, ამიერიდან ყველა ტურნირზე ყურადღებას მიიქცევს.

მან იოლად მოიგო ევროპის ჩემპიონატი. პირველივე წრეში — რომელშიც მხტომელებს 3-3 ცდა ჰქონდათ — ბაიერმა 8,29 მეტრზე ისკუპა და გერმანიის დარბაზების რეკორდი 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ევროპის ჩემპიონობისთის ეს ნახტომიც ჰყოფნიდა. მაგრამ მეორე წრეში ხელებს გულზე ხომ არ დაიკრეფდა? ტიტული განაღდებული ჰქონდა, სხვები მისი მჯობნი არ ჩანდნენ. ჰოდა, ისიც ლაღად გამოქანდა, ახტა, ჰაერში ხელფეხი გაათვართხალა და... 8,71 მეტრზე დაეშვა.

თურმე სულ რაღაც 8 სანტიმეტრი ჰკლებია დარბაზების მსოფლიო რეკორდისთვის, რომელიც ლეგენდარულ კარლ ლუისს 25 წლის წინ დაუმყარებია. არც მერე და არც მანამდე ლუისის გარდა არავინ გადამხტარა ასე შორს.

დარბაზებს თავი დავანებოთ, 8,71 ღია სარბიელზეც გადასარევი შედეგი იქნებოდა. თანამედროვე მხტომელთაგან ეს სიგრძე დაუძლევია მხოლოდ პანამელ ირვინგ სალადინოს, რომლის პირადი რეკორდია 8,73 მეტრი. ძველი ვარსკვლავები — რეკორდის მფლობელი მაიკ პაუელი (8,95), ბობ ბიმონი (8,90), კარლ ლუისი (8,87) ვეღარ შეეცილებიან ახალგაზრდა გერმანელს, აი, ირვინგ სალადინოსთან კი ასეთი ნახტომებით ნამდვილად საინტერესო იქნება დუელი.

არადა, ბაიერი თავადაც გაოგნებული დარჩა — „კარგი ნახტომი იყო. ყველაფერი იდეალურად გამომივიდა, კარგად ავკრიფე სისწრაფე და ფეხიც ზუსტად დავარტყი სანიშნე ფიცარს, რომ დავეშვი გულში გავივლე, იქნებ პირადი რეკორდიც გამომივიდეს მეთქი. 8,30 მეტრის ფარგლებში ნახტომს ველოდი, ჰა-ჰა, 8,40-ის, მაგრამ 8,71 მეტრიო რომ მითხრეს პირდაპირ გავოგნდი! რამდენიმე წამით ლაპარაკის უნარი დავკარგე. ისიც ვიფიქრე, მსაჯებს ხომ არ ეშლებათ და 8,17-ის მაგივრად 8,71 დამიწერეს მეთქი. 8,17 ჩემი საუკეთესო შედეგი იყო, ამ ნახტომმა მომიპოვა ტურინის ბილეთი...“

ავსტრიულმა გაზეთმა „კრონენცეიტუნგმა“, რომელიც ფართოდ აშუქებს ტურინის ტურნირს, გამოაცხო ასეთი სათაური — „ბაიერი გერმანელი ბობ ბიმონია!“ ბიმონიც 22 წლის იყო, 1968 წელს მეხიკოში რეკორდი რომ დაამყარაო.

ბაიერმა კი შეიძლება არც იცოდა ვინ იყო ბიმონი. მან ისიც კი არ იცოდა, რომ დარბაზების რეკორდი ლუისისა იყო, ალბათ არ ეგონა, ამხელაზე გადახტომას თუ შეძლებდა და თეორიული ცოდნა არ გაიღრმავა. მაგრამ ერთი კი ცხადია, ასეთი შედეგით მას ძალიან კარგი შანსი აქვს, სულ ცოტა, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. როგორც უკვე ვთქვით, მოქმედ მძლეოსანთაგან მის შედეგს მხოლოდ სალადინო თუ შესწვდება.

წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატიც ხომ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში იმართება. ვითომ არ დადგა მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონის მეფობის დასასრული? ყოველ შემთხვევაში, პანამელს რეალური კონკურენტი ხომ მაინც ეყოლება.

სებასტიან ბაიერის შედეგი ტურნირის სენსაციად მოინათლა, თუმც ევროპის ჩემპიონატის მთავარი თემა მაინც ბრიტი სპრინტერი დუეინ ჩამბერსია, ადრე დოპინგის ხმარების გამო მოკვეთილი, შემდეგ კი დისკვალიფიკაციამოხდილი ყოფილი ვარსკვლავი.

რამდენიმე დღის წინ გამოვიდა ჩამბერსის ავტობიოგრაფიული წიგნი „საკუთარი თავის წინააღმდეგ“, სადაც დეტალებში აღწერს, როგორ „იჯდა ნემსზე“, როგორ გაიკეთა 2002 წლის განმავლოვაში სულ ცოტა 100 ჩხვლეტა და მისთანები...

დისკვალიფიკაცია კარგა ხნის წინ მოიხადა, სიტყვითაც მოინანია, მაგრამ შეიძლება ეს არ აღმოჩნდეს საკმარისი საზოგადოების თვალში მისი სრული რეაბილიტირებისთვის. წიგნში ისეთი რამეები უწერია, რამაც შეიძლება სასჯელის ახალი ტალღის აგორება გამოიწვიოს.

ამასობაში კი ჩამბერსი მხოლოდ წერით და ლაპარაკით როდია გართული. 30 წლის სპრინტერმა ტურინში მოიგო 60 მეტრზე გარბენი, რაც 100 მეტრზე სპრინტის „სადარბაზო“ ანალოგია. ფინალური სრბოლა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. ბრიტანელებს ბოლო რვა კაცში სამი წარმომადგენელი გაეყვანათ — ჩამბერსი, პიკერინგი და უილიამსონი. ეს უკანასკნელი ყველაზე სუსტი გახლდათ და უმედლოდ დარჩენა უწევდა. სტარტზე ნერვებმა უმტყუნა და ნაადრევად წამოხტა. განმეორებით სტარტზე კი ჩამბერსმა არავის არ მისცა შანსი და 0,04 წამით აჯობა ბრიტანელებსაც და ორ იტალიელ სპრინტერს, რომელთაც პოდიუმზე მას გვერდი დაუმშვენეს.

ჩამბერსს დღემდე დახშული აქვს ზოგიერთი ტურნირის კარი და ისლა დარჩენია, მეორე თანრიგის შეჯიბრებებში გამოსვლით დაიკმაყოფილოს სირბილის მოთხოვნილება. 60 მეტრზე გარბენი. ზემოხსენებულ წიგნში ის აღწერს როგორ მიიყვანა დოპინგის ხმარებამდე მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად გახდომის სურვილმა. ახლა კი ის ევროპის ჭერქვეშა ჩემიონობითაც კმაყოფილია.

„ჩემთვის ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია — ამბობს ჩამბერსი — უფრო სწრაფადაც შემეძლო სირბილი, მაგრამ მე მხოლოდ მოგებაზე ვიყავი კონცენტრირებული. რაც შეეხება ჩემს წიგნს, მასში ვეცადე გულახდილად გამომეთქვა სინანული წარსულში დაშვებულ შეცდომებზე. ამით მე ძველის დავიწყებას ვცდილობ და მომავლისკენ ვიხედები.“

ტურინში იყო ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ქალი ბლანკა ვლასიჩი, სპორტსმენი, რომელსაც ბედმა უკანასკნელ მომენტში უმუხთლა.

ვლასიჩმა 2007-08 წლებში ზედიზედ 33 ტურნირი მოიგო, მაგრამ წააგო უმნიშვნელოვანესი — ოლიმპიადა. მას მერე გონს მოსვლა უჭირს და მხნედ ვერც ევროპის ჩემპიონატზე ჩანდა. მის მიერ აღებული ყველაზე მაღალი თამასა მხოლოდ 2,01 მეტრი გახლავთ, რითაც ვლასიჩს მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო.



სებასტიან ბაიერმა 8,71 მეტრზე ისკუპა

**ვანო კობიაშვილი**

ავტორბოლა

# კიდევ ერთი სებასტიანი

## ტორო როსოა, თუ რედ ბული?




**კვირას** ბარსელონას ავტოდრომზე ახალი ბოლიდი წარადგინა ფორმულა ერთის ღრმა აუტსაიდერმა „ტორო როსომ“. ამ იტალიურ საჯინიბოს და ავსტრიულ „რედ ბულს“ საერთო პატრონი ჰყავთ — მატონიზირებელი სასმელის მწარმოებელი რედ ბული და 2009 წლისთვის ორივე გუნდს „რედ ბულ ტექნოლოჯიმ“ აუწყო მანქანა, ასე რომ, არავინ გაკვირვებულა, ბოლიდები არათუ ერთმანეთის მსგავსნი, არამედ პრაქტიკულად იდენტურიც კია.

„რედ ბულის“ მსგავსად „ტორო როსომაც“ იუარა ხმაურიანი პრეზენტაციის მოწყობა, ბარსელონას ავტოდრომზე პირდაპირ ბოქსებში მიიყვანა მნახველები და გუნდის წარმომადგენლები ძუნწი კომენტარით შემოიფარგლნენ. მეტი არც იყო მოსალოდნელი ამ გუნდისგან, რომელსაც ისედაც აკლია წარმატებები და ყურადღება და ხმაურიანი პრეზენტაციაც ნაკლებად „ერგება“.

გუნდისთვის გასული სეზონი განსაკუთრებით წარმატებული გამოვიდა, რაც სებასტიან ფეტელის დამსახურებაა. გერმანელმა პილოტმა ერთი დიდი პრიზი მოიგო, სულ 35 ქულა დააგროვა და მერვე ადგილზე გავიდა. და მიუხედავად იმისა, რომ მეორე მრბოლმა სებასტიან ბურდემ მხოლოდ ოთხი ქულა მიაშველა, ფეტელმა „ტორო როსო“ მეექვსე ადგილზე გაიყვანა.

მსგავსი წარმატების გამეორება წლეულს შეუძლებელიც კი ჩანს. ფეტელი „რედ ბულმა“ გაიტაცა, „ტორო როსოს“ კი საშუალოზე საშუალო ნიჭის მქონე ბურდე და ფეტელის ადგილზე მოსული კიდევ ერთი სებასტიანი შერჩა. ჯერ არავინ იცის, როგორ გამოიჩენს თავს 20 წლის შვეიცარიელი სებასტიან ბუემი. მისთვის მხოლოდ ახლა იწყება სამეფო ფორმულის ცირკი.

**ვანო კობიაშვილი**

| დრო | № | მატჩი | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 37 | ბოლტონი-ფულემი | | 2.25 | 3.10 | 3.40 | 1.30 | 1.35 | 1.62 |
| 19:00 | 38 | ბოლტონი-ფულემი | 0:1 | 4.20 | 3.90 | 1.60 | | | |
| 19:00 | 41 | არსენალი-ბლექბერნი | | 1.50 | 3.80 | 7.50 | 1.07 | 1.25 | 2.52 |
| 19:00 | 42 | არსენალი-ბლექბერნი | 0:1 | 2.25 | 3.60 | 2.70 | | | |
| 19:00 | 43 | ევერტონი-სტოკი | | 1.55 | 3.60 | 7.50 | 1.08 | 1.28 | 2.43 |
| 19:00 | 44 | ევერტონი-სტოკი | 0:1 | 2.45 | 3.50 | 2.50 | | | |
| 19:00 | 47 | სანდერლენდი-უიგანი | | 2.25 | 3.20 | 3.30 | 1.32 | 1.33 | 1.62 |
| 19:00 | 48 | სანდერლენდი-უიგანი | 0:1 | 4.20 | 3.80 | 1.65 | | | |
| 19:00 | 49 | მიდლსბრო-პორტსმუთი | | 2.25 | 3.20 | 3.30 | 1.32 | 1.33 | 1.62 |
| 19:00 | 50 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 0:1 | 4.20 | 3.80 | 1.65 | | | |
| 16:45 | 51 | მანჩესტერი-ლივერპული | | 2.00 | 3.20 | 4.00 | 1.23 | 1.33 | 1.77 |
| 16:45 | 52 | მანჩესტერი-ლივერპული | 0:1 | 3.70 | 3.70 | 1.85 | | | |
| 19:00 | 53 | ჰალი-ნიუკასლი | | 2.60 | 3.20 | 2.75 | 1.43 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 54 | ჰალი-ნიუკასლი | 0:1 | 5.20 | 4.50 | 1.45 | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | | |
| 17:30 | 35 | ჩელსი-სიტი | | 1.50 | 4.00 | 7.00 | 1.09 | 1.23 | 2.54 |
| 17:30 | 36 | ჩელსი-სიტი | 0:1 | 2.35 | 3.50 | 2.70 | | | |
| 20:00 | 39 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | | 2.10 | 3.20 | 3.75 | 1.26 | 1.34 | 1.72 |
| 20:00 | 40 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 0:1 | 3.90 | 3.80 | 1.75 | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | | |
| 23:55 | 45 | ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი | | 1.75 | 3.40 | 5.20 | 1.15 | 1.30 | 2.05 |
| 23:55 | 46 | ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 0:1 | 3.00 | 3.60 | 2.00 | | | |
| | | **ინგლისი, ჩემპიონატი** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 79 | პრესტონი-ქოვენთრი | | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 81 | რედინგი-იფსვიჩი | | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 83 | შეფილდი-დერბი | | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 85 | საუთჰემპტონი-ქპრ | | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 87 | სუონსი-კრისტალ პალასი | | 1.85 | 3.25 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.75 |
| 19:00 | 89 | უოტფორდი-უენსდი | | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 91 | ბარნსლი-ბლეკპული | | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 93 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 19:00 | 97 | ბარნლი-ნოტინგემი | | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:20 | 99 | დონკასტერი-ბირმინგემი | | 2.55 | 3.25 | 2.40 | 1.42 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 101 | ნორვიჩი-პლიმუთი | | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **15 მარტი** | | | | | | | |
| 17:15 | 95 | ბრისტოლი-კარდიფი | | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 114 | დონსი-ოლდემი | | 1.85 | 3.25 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.75 |
| 19:00 | 115 | პიტერბრო-ნორთჰემპტონი | | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 116 | სტოკპორტი-ლეიტონი | | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 117 | ტრანმერი-ჰადერსფილდი | | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 118 | ბრაიტონი-იოვილი | | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 119 | უოლსოლი-როვერსი | | 2.25 | 3.25 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 120 | კარლაილი-სქანთორპი | | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 121 | ჩელტენემი-ჰარტლპული | | 2.55 | 3.25 | 2.45 | 1.42 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 122 | კოლჩესტერი-ქრიუ | | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 123 | ჰერეფორდი-საუთენდი | | 2.55 | 3.25 | 2.45 | 1.42 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 124 | ლიდსი-სუინდონი | | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 125 | მილუოლი-ლესტერი | | 2.80 | 3.25 | 2.30 | 1.50 | 1.26 | 1.34 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 138 | ლინკოლნი-ბერი | | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 139 | მაკლსფილდი-ბორნმუთი | | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 140 | მორქეიმბი-ბარნეტი | | 1.85 | 3.25 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.75 |
| 19:00 | 141 | ნოტსი-აკრინგტონი | | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 142 | პორტ ვეილი-დარლინგტონი | | 2.45 | 3.25 | 2.55 | 1.39 | 1.24 | 1.42 |
| 17:00 | 143 | ალდერშოტი-ლუტონი | | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 144 | როჩდეილი-როთერჰემი | | 2.10 | 3.25 | 3.25 | 1.27 | 1.27 | 1.62 |
| 19:00 | 145 | ბრენტფორდი-უიკომბი | | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 146 | ჩესტერი-გრიმსბი | | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 147 | ჩესტერფილდი-დაგენემი | | 1.85 | 3.25 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.75 |
| 19:00 | 148 | ექსეტერი-ბრედფორდი | | 2.25 | 3.25 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 149 | ჯილინგემი-შრიუსბერი | | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 157 | ბარტონი-სელისბერი | | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 19:00 | 158 | ოქსფორდი-გრეისი | | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 19:00 | 160 | მენსფილდი-ფორესტ გრინი | | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 19:00 | 162 | ლიუისი-კიდერმინსტერი | | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 19:00 | 163 | უოკინგი-რექსემი | | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 165 | ტორკი-ბაროუ | | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 19:00 | 166 | ქროული-რაშდენი | | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 16:30 | 203 | ჰიბერნიანი-ჰართსი | | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 19:00 | 205 | აბერდინი-ჰამილტონი | | 1.80 | 3.40 | 4.50 | 1.17 | 1.28 | 1.93 |
| 19:00 | 207 | ინვერნესი-კილმარნოკი | | 2.25 | 3.25 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 209 | მოზერუელი-დანდი იუნ | | 2.40 | 3.25 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.45 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 220 | ერდრი-ქუინი | | 2.40 | 3.50 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| 19:00 | 221 | დანდი-როსი | | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 222 | დანფერმლაინი-პარტიკი | | 2.30 | 3.50 | 2.55 | 1.38 | 1.20 | 1.47 |
| 19:00 | 223 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | | 2.65 | 3.50 | 2.25 | 1.50 | 1.21 | 1.36 |
| 19:00 | 224 | მორტონი-კლაიდი | | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
| 19:00 | 225 | ალოა-არბროთი | | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 226 | პიტერჰედი-ისტ ფაიფი | | 1.95 | 3.50 | 3.25 | 1.25 | 1.21 | 1.68 |
| 19:00 | 227 | რეითი-ეარი | | 2.25 | 3.50 | 2.55 | 1.36 | 1.19 | 1.47 |
| 19:00 | 228 | სტირლინგი-ბრეჩინი | | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 19:00 | 229 | სტრანრარი-ქუინზ პარკი | | 3.75 | 3.60 | 1.75 | 1.83 | 1.19 | 1.17 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | | |
„ეგ როგორ? — თქვა უფროსმა ძმამ — კიდევ ნახეთ, რა შეუძლია".

„საკმარისია" — უპასუხა მწვრთნელმა.

ბიჭი პროფესიული ფეხბურთელის გზას დაადგა, მაგრამ პრობლემა უფულობა იყო. მამას კვირაში ორ-სამჯერ შვილი ნაკოგდოჩესიდან დალასში უნდა ეტარებინა. იქით-აქეთ სამი საათი, ამას კი საწვავი სჭირდებოდა.

შვილის ოცნება რომ არ დაენგრიათ, დედამ ორ ადგილზე მუშაობა დაიწყო, მამამ ნავი და სანადირო თოფი გაყიდა. ოჯახმა უარი თქვა უიქენდებზე დასვებაზე და ბავშვები ხშირად მაკდონალდსში ერთ ულუფას შუაზე იყოფდნენ.

1995 წლიდან ყველაფერი აირია.

კლინტის და ჯენიფერი ჩოგბურთში ისე ყოჩაღობდა, რომ მომავალ ფეხბურთელს ოჯახმა დაფინანსება შეუწყვიტა და მთელი ფული ჯენიფერის ტურნირებზე გამგზავრებაზე იხარჯებოდა.

სხვა გზა არ იყო — კლინტი სახლში დაჯდა. 12 წლის ბიჭის ოცნება დასრულდა. მშობლებმა ჯენიფერის ჩოგბურთი არჩიეს.

ეს ამბავი ვგებ აქ დამთავრებულიყო, რომ არა ტრაგედია, რომელიც 1995-ის ნოემბერში მოხდა.

ჯენიფერი გარდაიცვალა.

16 წლის გოგო ანევრიზმამ მოკლა. გულწასული, თურმე, ჯერ ერთ კლინიკაში გააქანეს, მერე მეორეში, მაგრამ ამაოდ.

ასე შეანგრია დემპსების სახლის კარი უბედურებამ.

„ახლა უკვე შემიძლია მასზე ლაპარაკი, რადგან ვგრძნობ, რომ ის უკეთეს სამყაროშია" — თქვა ფეხბურთელმა მოგვიანებით.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ჯენიფერს და კლინტს სიკვდილზე უსაუბრიათ.

„ოდესმე თუ მოვკვდები, გინდა, რომ მოვიდე შენთან და გითხრა, რომ კარგად ვარ?" — უკითხავს დას ძმისთვის.

„არა! ძალიან შემეშინდება" — იყო ძმის პასუხი.

„მაშინ იქიდან გოლების გატანაში დაგეხმარები" — უთქვამს დას.

უფროსი ძმა რაიანი იხსენებს, რომ დის სიკვდილის შემდეგ საფეხბურთო სკოლაში დაბრუნებული კლინტი გაათმაგებულად შრომობდა, რათა ოცნებისთვის მიეღწია და ყველაფერი დისთვის მიეძღვნა.

თვეების შემდეგ დებიმ შვილის საფლავზე კლინტის დატოვებული წერილი ნახა. ძმა ჰპირდებოდა, რომ ყოველი გოლისას გაიხსენებდა.

ამ ტრაგედიამ შექმნა დემპსის მებრძოლი სული. ერთხელ, ზედიზედ ორი მატჩი გატეხილი ყბით ითამაშა, მაგრამ ექიმმა გაუგო.

„დალასიდან" „ნიუ ინგლანდ რევოლუშენში" გადავიდა და ბევრი გოლიც გაიტანა.

გოლის მერე ტრიბუნაზეც ასულა და დედისთვის უკოცნია.

მისი ოცნების მწვერვალი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იყო და 2006-ში ესეც აუხდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე დემპსიმ ორ ტეხასელ რეპერთან ერთად სიმღერა ჩაწერა, რომელშიც მისი ცხოვრება იყო მოთხრობილი და ჯენიფერს ეძღვნებოდა.

კლიპში სხვადასხვა ასაკში ჯენიფერის მსგავსი გოგოები ჩანან, ბოლოს კი კლინტს დის საფლავზე გვირილა მიაქვს.

მსოფლიო ჩემპიონატამდე, 2 მაისს, კლინტის დედა დები კომპიუტერთან იჯდა და არეფრეშებდა. ფოსტით უნდა მიეღო დასტური იმისა, რომ მისი შვილი ნაკრებშია.

წერილი არ ჩანდა და ქალი ატირდა.

მშობლები დაღონდნენ, მაგრამ მორიგი რეფრეშის შემდეგ გამოჩნდა ნანატრი წერილი.

ცოტა ხანში კლინტმა დარეკა და დედ-მამას უთხრა, რომ გერმანიაში გასამგზავრებლად ბილეთები შეეძინათ. ოღონდ ხმაში ცრემლი გამოურია. იმ დღეს გაიგო, რომ მისი მეგობარი რეპერი, ვისთანაც სიმღერა ჩაწერა, ჰიუსტონში მოკლეს.

ამერიკელებმა ჩემპიონატზე ერთი მატჩიც ვერ მოიგეს და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. გოლის ავტორი კლინტ დემპსი გახდა.

2007 წლის იანვრიდან ამერიკელი ნახევარმცველი „ფულემშია" და ამ სეზონში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

ორთვენახევრის წინ „ჩელსის" ლონდონურ დერბიში წყვილი გოლი გაუტანა.

–ერთხელ, კოლეჯში სწავლისას, კლინტის მეგობრები როკ-კონცერტზე წავიდნენ. დემპსის ფული არ ჰქონდა და უარი თქვა.

მეგობრები ავარიაში მოყვნენ. ერთი გარდაიცვალა, მეორე დასახიჩრდა და ფეხბურთს თავი დაანება.

დემპსის როკს რეპი ურჩევნია და თუ გოლის მერე ხელაპყრობილს ნახავთ, მისი დაც იქვე ახლოს იქნება.

გოლების გატანაში ხომ ჯენიფერი ეხმარება... შეპირდა და აბა, როგორ?

**რომან თურქია**



კლინტ დემპსი მშობლებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 მარტს „ნიუკასლი“ — „მანჩესტერის“ მეცხრე წუთზე ედვინ ვან დერ სარს პიტერ ლოვენკრანდსმა გაუტანა და ჰოლანდიელის მშრალი სერია 1311-ე წუთზე შეწყდა. ვან დერ სარმა ევროპული რეკორდი (1275) მოხსნა, მაგრამ მსოფლიო რეკორდამდე 505 წუთი დააკლდა. ევრორეკორდი კი აბელ რესინოს, მადრიდის „ატლეტიკოს“ ამჟამინდელ მწვრთნელს ეკუთვნოდა. ქვემოთ ჰოლანდიელის კოლეგებზე გიამბობთ, რომლებსაც ვან დერ სარზე არანაკლები „ჯავშანი“ ჰქონდათ და გოლგაუმტარები იყვნენ...



ჟერალდო მაზაროპი



ტაბელ ელ ბატალი



დანი ვერლინდენი



ხოსე მარია ბულიუბაშიჩი

# გოლგაუმტართა ალბომი

## ჟერალდო მაზაროპი, ბრაზილია (პირველი ადგილი, 1816 წუთი)

მიუხედავად იმისა, რომ მაზაროპიმ რეკორდი (1977 წლის მაისი-1978 წლის ივლისი) „ვასკუ და გამაში“, კარიოკას შტატის ჩემპიონატში თამაშისას დაამყარა, ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის ფედერაცია მას აღიარებს.

„ვასკუ და გამას“ ყოფილი მეკარე მერე „გრემიოში“ გადაბარგდა, ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო, ბრაზილიის ნაკრებში კი მხოლოდ ერთხელ ეთამაშია. 1953 წელს დაბადებული მაზაროპი კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში გაერია, მაგრამ მალე მიანება თავი და იაპონიაში მეკარეების მწვრთნელად მუშაობდა.

ამჟამად სამშობლოში პატარა კლუბ „სანტ ანჟელოს“ თავკაცია. მაზაროპის ნამდვილი სახელია ჟერალდო დე მატუშ ფილიო.

## ტაბეტ ელ ბატალი, ეგვიპტე (მეორე და მეხუთე ადგილი, 1442)

რეკორდსმენი რომ უნდა გამოსულიყო, ამაზე მისი გვარი პირდაპირ მიუთითებს — ელ ბატალი გმირს ნიშნავს.

ქაიროელი არაბი ნაკრებში 16 წელი (1974-90) თამაშობდა. „ალ აჰლის“ კარში იდგა და ორი მშრალი სერია მიითვალა. პირველი 1325 წუთს გაგრძელდა, მეორე კი 1442.

კარიერის დასრულების მერე „ალ აჰლიში“ სპორტული დირექტორი იყო და 2005-ში 51 წლისა კიბოთი გარდაიცვალა.

## დანი ვერლინდენი, ბელგია (მესამე ადგილი, 1390)

„რეკორდზე არასოდეს მიფიქრია, სანამ სტატისტიკის ერთ-ერთი გერმანული სააგენტო არ დამიკავშირდა“ — უთქვამს ვერლინდენს.

სიმაღლით 175 სანტიმეტრი იყო, მაგრამ ბურთს ისე იხელთებდა, რომ მეტსახელად „კედელი“ შეარქვეს.

90-იანი წლების „ბრიუგეს“ მეკარეს აურაცხელი პირადი ჯილდო აქვს მოგებული, მაგრამ ნაკრებში ვერ დაიმკვიდრა ადგილი, რაკი მაშინ მიშელ პრიუდომი ბრწყინავდა.

2003 წელს ვერლინდენი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდა — 40 წლისამ და 116 დღისამ ითამაშა, 2004-დან კი „ბრიუგეში“ მწვრთნელად მუშაობს.

## ხოსე მარია ბულიუბაშიჩი, არგენტინა (მეოთხე ადგილი, 1352)

37 წლის არგენტინელი ხორვატული ფესვებით, ახლაც თამაშობს პარაგვაიში, ასუნსიონის „ოლიმპიაში“.

ათი კლუბის გამოცვლის შემდეგ 2005 წელს ჩილეს „უნივერსიდად დე კატოლიკაში“ გადავიდა და სიბერეში რეკორდს გამოჰკრა ხელთათმანი.

## ედვინ ვან დერ სარი, ჰოლანდია (მეექვსე ადგილი, 1311)

„მანჩესტერიდან“ პეტერ შმაიხელის წასვლიდან ხუთი სეზონის განმავლობაში ალექს ფერგიუსონმა ვინ აღარ სცადა კარში და ბოლოს მიაგნო ვან დერ სარს.

ჰოლანდიელ მეკარეს 130 მატჩი უთამაშია ნაკრებში, რომლის მაისურითაც 1031 წუთი გოლი არ გაუშვია.

სანაკრებოს საკლუბოც მიუმატა. გასულ ნოემბერში სამირ ნასრიმ რომ გაუტანა, მას შემდეგ გოლგაუმტარი იყო, სანამ ნიუკასლელი პეტერ ლოვენკრანდსი შეაგდებდა ბურთს „მანჩესტერის“ კარში.

ვან დერ სარი ლუის ვან გაალმა სამოყვარულო „ნორდვიკში“ იპოვა და „აიაქსში“ წაიყვანა, სადაც 1995 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ევროპის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

## ესამ ელ ჰადარი, ეგვიპტე (მეშვიდე ადგილი, 1288)

კიდევ ერთი ეგვიპტელი გოლგაუმტარი „ალ აჰლიდან“. 12 წელი ითამაშა კლუბში და 500 მატჩზე მეტი მოაგროვა, ნაკრების მაისურა კი 102-ჯერ მოირგო. ელ ჰადარი 36 წლისაა და ამჟამად შვეიცარიულ „სიონშია“.

## აბელ რესინო, ესპანეთი (მერვე ადგილი, 1275)

„ატლეტიკოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი ახლაც პრიმერადივიზიონის რეკორდსმენია და ევროპაშიც პირველი იყო ვან დერ სარის მშრალ სერიამდე.

რესინომ ეს რეკორდი „ატლეტიკოში“ თამაშისას (1986-95) „გამოაცხო“ და მისი სერია ლუის ენრიკეს გოლმა 1991 წლის მარტში შეწყვიტა.

## გაეტან უარდი, საფრანგეთი (მეცხრე ადგილი, 1266)

1962 წელს დაბადებული უარდი „ლანსში“, „მარსელში“, „ბორდოში“ და ესპანურ „ერკულესში“ თამაშობდა. კარიერა 1997-ში დაასრულა, რეკორდი კი „ბორდოს“ (1991-96) მაისურით მიითვალა.

## არმელინო დონიზეტი კალიატო ზეტი, ბრაზილია (მეათე ადგილი, 1242)

კარიერაში ცხრა გუნდი გამოიცვალა და „პალმეირასში“ თამაშისას (1987-1989) ჰქონდა გოლგაუშვებელი სერია.

ფეხბურთელობის მერე მწვრთნელობას მოჰყო ხელი და ათ კლუბში იმუშავა. ამჟამად 44 წლისაა და „იუვენტუდეს“ თავკაცობს.

**გაგა ხუციშვილი**



ედვინ ვან დერ სარი



ესამ ელ ჰადარი



აბელ რესინო



გაეტან უარდი



არმელინო დონიზეტი კალიატო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა დროს ფეხბურთია!



**პოლონეთის** პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი დააჯარიმეს — 300 ზლოტის გადახდა დააკისრეს, რაც ჩვენთვის უფრო ნაცნობ ვალუტაში დაახლოებით 65 ევროა.

მიზეზი? პრემიერი ფეხბურთს უდროო დროს თამაშობდა.

უდროო დროში ის იგულისხმება, რომ მაშინ, როცა პრემიერი ტუსკი, ვიცე-პრემიერი გჟეგოჟ სხეტინი და რამდენიმე პოლიტიკოსი ფეხბურთს თამაშობდნენ, პოლონეთის სეიმში საბიუჯეტო დებატები იყო გაჩაღებული.

ის, რომ სეიმის სხდომის დროს პრემიერი ფეხბურთს თამაშობდა და არა, რაიმე მნიშვნელოვანი საქმის გამო აცდენდა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებას, ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს და პრემიერს პირდაპირ მოედანზე დაადგნენ.

დონალდ ტუსკს თავის მართლება არ უცდია, აღიარა, თავადაც ვერ გამიგია, ეს როგორ დამემართაო.

თავის მხრივ, ტუსკის პოლიტიკურმა ოპონენტმა, პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ირონიულად იკითხა, რა ანგარიშით დამთავრდა თამაში, პრემიერმა გოლი მაინც თუ გაიტანაო?

ამის პასუხად დარცხვენილმა პრემიერმა თქვა, ანგარიში ნაღდად არ მახსოვსო.

**ირაკლი ნინიძე**

# იბრაჰიმოვიჩს და მოურინიუს თვალი სამეფოსკენ უჭირავთ

**მილანის** „ინტერის" სუპერფორვარდის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის აგენტმა განაცხადა, ჩემი კლიენტი და მისი ახლანდელი მწვრთნელი შესაძლოა, მადრიდის „რეალში" გადაბარგდნენო.

მოგეხსენებათ, „ინტერი" სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს და ძნელი წარმოსადგენია, სკუდეტო ვერ მოიგოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოურინიუმ კრიტიკოსებს თავი ვერაფრით დააღწია. მას თამაშის სტილს უწუნებენ.

ისიც ყურადსაღებია, რომ პორტუგალიელი მწვრთნელი თამაშს სწორედ შვედ თავდამსხმელზე აგებს და ზლატანიც იმედს არ უცრუებს.

მინო რაიოლამ, ასე ჰქვია იბრაჰიმოვიჩის აგენტს, თქვა: „ზლატანმა „ინტერიდან" წასვლა თუ დააპირა, გარწმუნებთ, ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლის. ჩვენ შემოთავაზებებს ველით. როგორც ვიცი, „რეალი" და „ბარსელონა" მსუყე შემოთავაზების გაკეთებას აპირებენ. მე კი გეტყვით, რომ ზლატანი ესპანეთში სეზონში 40 გოლზე ნაკლებს არ გაიტანს.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, მოურინიუც ყველაფერს იღონებს, „რეალში" რომ ამოჰყოს თავი. მან მორატის 45 მილიონი დახარჯვინა ახალწვეულებზე, თავად კი სკუდეტოს მაინც ძველების ხარჯზე იგებს".



# დონადონის დრო და გარემო

**იტალიის** ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი „ნაპოლის" მწვრთნელად დაინიშნა.

დონადონიმ პოსტზე ედუარდო რეა შეცვალა, ვინაც არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მოხსნეს.

„ნაპოლი" გათამაშების ცხრილში მე-11 ადგილზეა.

„გუნდს მძიმე დრო უდგას — თქვა დონადონიმ — იმაზე ლაპარაკი, რომ გუნდმა უეფას თასის საგზური უნდა მოიპოვოს, ნაადრევი და უადგილოა. პირველ რიგში იმის გარკვევა მსურს, ვისთან მექნება საქმე, რა შეუძლიათ იმ ფეხბურთელებს, რომლებთანაც მუშაობა მომიწევს. იდეები საკმარისად მაქვს, მაგრამ სანამ ახალ გარემოში არ გავერკვევი, რაიმეს კონკრეტულად თქმა მიჭირს."

**ირაკლი ნინიძე**

# მარადონას რიკელმე შეუშინებია

**არგენტინის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა ფრიად გაოცებული დარჩა: ხუან რომან რიკელმემ ნაკრებში თამაშზე უარი უთხრა.

„ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელმა თქვა, ჩემი ხედვა მარადონას ხედვისგან ლიდად განსხვავდება, რის გამოც ნაკრებში ჩემს ადგილს ვერ ვხედავო.

რიკელმეს ეს განცხადება მარადონას ჟურნალისტებთან იმ საუბარს მოჰყვა, რომელშიც დიეგომ რიკელმეს სანაკრებო ფუნქციაც ახსენა — მისგან მთლად იმას არ ვითხოვ, რასაც აკეთებსო.

რიკელმე, საზოგადოდ, ყოველგვარ კრიტიკას თუ შენიშვნას მტკივნეულად იღებს.

რიკელმეს განცხადების მერე ჟურნალისტები კვლავ მარადონას მიადგნენ, რომლისგანაც ეს მოისმინეს: „რიკელმე იმ ფეხბურთელთა სიაში შედის, რომელთა იმედიც მაქვს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. წარმოდგენა არ მაქვს, რამ შეაშინა. მე ხომ მხოლოდ ის ვთქვი, თუ რომელ პოზიციაზე ვუპირებ თამაშს. ვის, თუ არა მთავარ მწვრთნელს, ევალება სათამაშო სქემის განსაზღვრა?"

**ირაკლი ნინიძე**






# დიდი გამოწვევა

## რონალდუმ ბოლტი ბილიკზე დაიბარა




**ამ ქვეყნად** ბევრნაირი ნიძლავი არსებობს, ძალიან უცნაურებიც კი. მაგალითად, კრივში კენგურუ მოერევა თუ ადამიანი. ან ასეთი: მანქანა გაასწრებს თვითმფრინავს თუ პირიქით.

ერთი ასეთი დაპირსპირების სურვილი კრიშტიანუ რონალდუმ გამოთქვა. კერძოდ, რონალდუ უფრო სწრაფია თუ უსაინ ბოლტი?

კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველია და 2008 წელს ყველანაირი გამოკითხვით მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. უსაინ ბოლტი კი იამაიკელი სპრინტერი გახლავთ, ვინაც პეკინის ოლიმპიადაზე 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა და ოქროებიც ჩამოიკიდა.

ლოგიკურად, შეჯიბრი ბოლტის გამარჯვებით უნდა დასრულდეს, რაკი სირბილი მისი სპეციალობაა, მაგრამ რაკი ინიციატივა რონალდუსგან მოდის, უნდა ვიფიქროთ, რომ პორტუგალიელს საკუთარი ფეხების იმედი არანაკლებ აქვს.

უსაინ ბოლტის აგენტმა რიკი სიმსმა კი ეს თქვა: „შეჯიბრზე თანახმანი ვართ, რაღაც დეტალებს მოვაგვარებთ და როცა უსაინი ევროპაში ჩავა, სარბენ ბილიკზეც მაშინ შევხვდებით. ეს, ალბათ, ზაფხულში მოხდება."

ბოლტის და რონალდუს ნაცნობობა იმით დაიწყო, რომ სპრინტერს ფეხბურთელისთვის „მანჩესტერის" მაისურა უთხოვია, გაჯიბრება კი 100 მეტრზე შედგება.

**კოტე კეკელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნადირობის სეზონის დასასრული

## ცუდი ამბავი მაიკლ ოუენისთვის

**როგორი უნდა იყოს თანამედროვე ფორვარდი? ჩაბარდა თუ არა ისტორიას კლასიკური მეგოლეების დრო? ლინეკერის და ოუენის ეპოქა ანრის და დროგბას ეპოქამ როდის შეცვალა? ნამდვილი „მონადირე“ მაიკლ ოუენიც კი აღიარებს, რომ მისი ხელობა დღეს საჭირო აღარაა. „მონადირეს“ ინგლისში საჯარიმოს ფორვარდს ეძახიან. მაგალითად, არსენ ვეგერი ასეთებს „ფოქს ინ ზე ბოქსს“ — „მელა საჯარიმოში“— უწოდებს...**

**2004-ში** ოუენი ჯერ კიდევ ცდილობდა დინების საწინააღმდეგოდ ცურვას და ავტობიოგრაფიაში დაწერა, რომ ნაკრების ყოფილ მწვრთნელზე, კევინ კიგანზე ნაწყენი იყო. წყენის მიზეზი გახლდათ ის, რომ კიგანი მოედანზე ოუენის ფუნქციების გაზრდას ცდილობდა.

მაგრამ გასული სეზონის ბოლოს, „ნიუკასლში“ კიგანის მწვრთნელობისას, ოუენი უკვე მოთვინიერდა და შემტევი ნახევარმცველობა სიამოვნებით იკისრა, ანუ აღარ იყო საჯარიმოში გამოკეტილი და ბურთს ჩასაფრებული.

შესაძლოა, რომ მაიკლ ოუენი ბოლო კლასიკური ინგლისელი „მონადირეა“, ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი კლასისა...

მას ბრწყინვალედ ეხერხება მცველების მხრებზე „ჩამოკიდება“, სიღრმიდან ჩაწოდებული პასების მისაღებად გაქცევა და მეურვისგან დასხლტომა ახლო ძელთან ჩაწოდებული ბურთის კარში შესაგდებად.

ასაკის მატებასთან ერთად სისწრაფე დაკარგა და ახლა ძველებურად ველარ დარბის, მაგრამ ძელთან ჩასაფრება კვლავაც საუცხოოდ შეუძლია.




### არავითარი მიულერები

ბოლო 40 წლის განმავლობაში არაერთმა ფორვარდმა მხოლოდ საგოლე ალღოს წყალობით მოიხვეჭა სახელი. მიულერის, ინძაგის და ლინეკერის დასახელებაც კმარა.

მაგრამ ფეხბურთი განვითარდა და მარტო ალღოს წყალობით ფონს ველარ გახვალ. მაგალითისთვის ავიღოთ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი მეოთხედფინალისტი გუნდების თავდამსხმელები: რვა კაციდან მხოლოდ „ფენერბაჩეს“ მატეა კეჟმანია „მონადირე“.

### დაცვის სრულყოფა

მაშ ასე: რატომ გადავიდნენ მოდიდან საჯარომოს ფორვარდები? ამის ახსნა მარტივად შეიძლება: ადრინდელთან შედარებით დაცვა უფრო დაიხვეწა და თავდამსხმელებსაც გაუჭირდათ დაცვის ხაზის გადალახვა.

„მონადირეებს“ ძალიან ბევრი გოლი გაჰქონდათ მცველთა შეცდომების წყალობით — ამბობს ჩერნოგორიის ნაკრების მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩი, „ცვრენა ზვეზდას“ ყოფილი ცენტრფორვარდი — სულ მცირე, თითქოს უმნიშვნელო შეცდომაც კი თავდამსხმელს დიდ ფორას აძლევდა. ასეთები ახლა აღარ ხდება. ადრე დაღლილობის გამო უფრო ცდებოდნენ, ამჟამად კი უკეთესი ფიზიკური მომზადებაა და შეცდომაც გაიშვიათდა“.

გარდა ამისა, თამაშგარე მდგომარეობის წესის გამარტივებამ გამოიწვია ის, რომ მცველები დიდ სივრცეებს აღარ ტოვებენ ზურგს უკან და ამით სწრაფი ფორვარდების უპირატესობაც იკარგება.

ეს ფაქტი ნაწილობრივ ხსნის „ჩელსის“ პრობლემებს საშინაო მატჩებში. მაგალითად, ნიკოლა ანელკა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მეკარეებთან პირისპირ გასვლისას, იშვიათად იღებს ამის შანსს.

15 გოლიდან მხოლოდ სამჯერ იყო მისი გოლი „ჩელსისთვის“ პირველი. დანარჩენები კი მაშინ შეაგდო, როცა მეტოქეს გასატანი ჰქონდა, შესაბამისად, მოედნის ცენტრში იყო ამოწეული და ღრმა დაცვაში არ იჯდა. ანუ ასეთ შემთხვევაში ანელკა უფრო ხშირად ახერხებდა გაქცევას.

### მოურინიუს თანამედროვე ფორვარდები

საუკეთესო თანამედროვე ფორვარდები უნივერსალები, ჰიბრიდები არიან. მაგალითად, დიდიე დროგბა და ემანუელ ადებაიორი. ორივე „ძელია“, მაგრამ მოქნილია, მეურვის გადაჯდგავაც შეუძლია და გოლიც ხომ ეხერხებათ.

ტიერი ანრი და დავიდ ვილია — შემქმნელებიც არიან და დამსრულებლებიც. ფლაგიდანაც შეუძლიათ შეტევა და მოედნის სიღმიდანაც.

ამ ორ მაგალითს შორის არიან სამუელ ეტოო, ფერნანდო ტორესი, დიმიტარ ბერბატოვი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

ჟოზე მოურინიუს უკვირდა, რომ ინგლისში უნივერსალ ფორვარდებს არ ზრდიდნენ: „მათთვის ყველაფერი მარტივია. ერთ პოზიციაზე თამაშს ასწავლიან და მორჩა. ინგლისში ფორვარდი მხოლოდ ფორვარდია, ჩემი აზრით კი ფორვარდს ფლანგიდან ჩაწოდებაც უნდა შეეძლოს, ბევრიც უნდა იმოძრაოს და გოლებიც უნდა გაჰქონდეს. თან ამას ნებისმიერ სქემაში თავისუფლად უნდა აკეთებდეს.

### შემქმნელების სიჭარბე

ერთი, უნივერსალური ფორვარდით თამაში მოედნის ცენტრში ნახევარმცველების სიმრავლეს იწვევს, ამიტომაც მომრავლდნენ ბოლო წლებში შემქმნელი ნახევარმცველები.

ისეც ყოფილა, რომ საერთოდ უფორვარდოთაც უთამაშიათ. მაგალითად, შარშან „რომა“ იყო ასეთი და ზოგჯერ „მანჩესტერიც“, ბოლო ხანებში კი ასეთია „ევერტონი“.

### ოუენის დასარული?

არის თუ არა დღეს მოედანზე „ოუენების“ ადგილი?

ცუდი ამბავი ოუენისთვის: თუ არის, მხოლოდ „ნიუკასლის“ მსგავს გუნდებში.

ვალერი ლობანოვსკის სსრკ-ს ნაკრებმა ევრო 88-ზე იტალიას 2:0 რომ მოუგო, ჯერ კიდევ მაშინ მარჩელო ლიპიმ თქვა, რომ ასეთი მუდმივი პრესინგით მოთამაშე გუნდი „მონადირე“ ფორვარდებს ვერ აიტანს.

თუმც ასე თამაში ძალიან ძნელია 90 წუთის განმავლობაში და სულაც არაა გამორიცხული, რომ ასეთმა გუნდებმა, თუ გოლი ვერ გაიტანეს, ისევ „მონადირეს“ უხმონ სათადარიგოთა სკამიდან.

**ჯონათან უილსონი**
**გარდიანი**




„მონადირეთა“ უარმყოფლები: ზორან ფილიპოვიჩი, ვალერი ლობანოვსკი და ჟოზე მოურინიუ



# სიტის და ჰიუზს რობინიოსი ეიმედებათ

**დღეს** უეფას თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში „მანჩესტერ სიტი“ „ოლბორგს“ ხვდება და როგორც „ქალაქელთა“ მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა თქვა, რობინიო მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კოჭის ტრავმა პრემიერლიგაში „ვესტ ჰემთან“ მატჩისას მიიღო.

მარკ ჰიუზი: „რობინიო მთელი კვირაა, სრულფასოვნად ვარჯიშობს და დანიელებთან მატჩისთვის მზად არის.

გულახდილად გეტყვით, გვეშინოდა, რადგან ბოლო პერიოდში მან ორჯერ იტკინა ერთი და იგივე ადგილი და ასეთ დროს, ტრავმის მოშუშება უფრო ძნელია, ხოლო რეციდივის გამეორება — იოლი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგადაა და რობინიო უამრავ თავსატეხს გაუჩენს მეტოქის დაცვას.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ უეფას თასს პრესტიჟულობა აკლია და რომ ბევრი გუნდი მას სერიოზულად არ უყურებს. სხვის მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, „მანჩესტერ სიტისთვის“ კი ამ თასის მოგება საპატიო და მნიშვნელოვანი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ გათამაშებას შემორჩენილი ერთადერთი ინგლისური კლუბი ვართ.

გნებავთ, სხვა გუნდებს და მათ შემადგენლობებს გადახედეთ. ძალიან ძლიერმა კლუბებმა მოიყარეს თავი და ყოველი ეტაპის გადალახვა ძალიან რთულად შესასრულებელი ამოცანა იქნება, მაგრამ ჩვენ თასის მოგებას ვეცდებით“.

**ირაკლი ნინიძე**

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ცხადში ახდენილი ცუდი სიზმრები



მიქაელ ესიენის გოლი „იუვენტუსის“ კარში

**ბაიერნი 7:1 სპორტინგი (5:0)**
1:0, 2:0 პოდოლსკი (7, 34), 3:0 პოლგა (39ა.კ.), 3:1 მოუტინიუ (42), 4:1 შვაინშტაიგერი (43), 5:1 ვან ბომელი (73), 6:1 კლოზე (82პ), 7:1 მიულერი (89)
ბაიერნი: ბუტი, ვან ბუიტენი, ლუსიო (ბრენო 46), ლამი, ლელი, ოტლი, ვან ბომელი, ზე რობერტო (სოსა 46), შვაინშტაიგერი (მიულერი 72), პოდოლსკი, კლოზე
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
სპორტინგი: პატრისიო, პოლგა, ტონელი, ადრიენ სილვა (კანეირა 75), ველსო (აბელი 46), პედრო სილვა, მოუტინიუ, ვუკჩევიჩი, პერეირინია (იზმაილოვი 46), იანიკი, დერლეი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: მოუტინიუ, პედრო სილვა
მსაჯი: მარტინ ჰანსონი
66 000 მაყურებელი

10 კარში დარტყმა 6
12 კარისკენ დარტყმა 8
11 ჯარიმა 13
5 კუთხური 3
0 თამაშგარე 1
58 ბურთის ფლობა 42
0 გაფრთხილება 2

*იურგენ კლინსმანი:* „მეც ვისიამოვნე, გუნდმაც და ქომაგმაც. ეს იდეალური საღამო იყო ჩვენთვის. ვიმედოვნებ, რომ წილისყრა საინტერესო მეტოქეს გვარგუნებს. „ბაიერნმა“ უკვე აჩვენა თუ რა შეუძლია. მეოთხედფინალში კი ფავორიტები აღარ იქნებიან, ყველას თანაბარი შანსი ექნება“.

*პაულუ ბენტუ:* „იმის დამტკიცება გვსურდა, რომ ლისაბონური მატჩი შემთხვევითობა იყო, მაგრამ აქ უარესი დაგვემართა და ჩავფლავდით.

აშკარაა, რომ ძლიერ ევროპულ კლუბებს კლასში გვარიანად ჩამოვრჩებით და კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი. როგორც ჩანს, ლისაბონური 0:5-ის მერე ჩემს ფეხბურთელებს საშინელებები ესიზმრებოდათ და ამ კოშმარიდან ვერ გამოვიდნენ“.

**ლივერპული 4:0 რეალი (1:0)**
1:0 ტორესი (16), 2:0, 3:0 ჯერარდი (28პ, 47), 4:0 დოსენა (88)
ლივერპული: რეინა, კარაგერი, შკრტელი, აურელიო, არბელოა, მასკერანო, ალონსო (ლუკასი 60), ტორესი (დოსენა 84), ჯერარდი (სპირინგი 73), ბაბელი, ქუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
რეალი: კასილიასი, კანავარო (ვან დერ ვაარტი 64), პეპე, ჰაინცე, რამოსი, გაგო (გუტი 77), დიარა, სნაიდერი, რობენი (მარსელო 46), იგუაინი, რაული
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: პეპე, ჯერარდი, ჰაინცე, მასკერანო, მარსელო, დოსენა
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი
42 550 მაყურებელი

11 კარში დარტყმა 3
4 კარისკენ დარტყმა 13
26 ჯარიმა 15
10 კუთხური 4
5 თამაშგარე 2
42 ბურთის ფლობა 58
3 გაფრთხილება 3

*რაფაელ ბენიტესი:* „თავიდან ბოლომდე საუცხოო ფეხბურთი ვაჩვენეთ. მეტოქეს ეგებ ეგონა, რომ კონტრშეტევაზე ვითამაშებდით, მაგრამ პირველივე წუთიდან იქით მივაწექით და უშანსოდ დავტოვეთ. ზეიმი შაბათამდე გრძელდება, რადგან შაბათს „მანჩესტერთან“ მატჩი გველის.

*ხუანდე რამოსი:* „ლივერპულმა“ აშკარად გვაჯობა და მეოთხედფინალში გასვლა დაიმსახურა. გვინდოდა, რომ მეტოქისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს, მაგრამ ორმა სწრაფმა გოლმა ყველაფერი აგვირია. დათრგუნულები ვართ, თუმც ხვალიდან ჩვეულებრივ უნდა გავაგრძელოთ ვარჯიში და ჩემპიონატის მატჩისთვის მოვემზადოთ“.

**პანათინაიკოსი 1:2 ვილიარეალი (1:1)**
0:1 იბაგასა (49), 1:1 მანციოსი (55), 1:2 ლიორენტე (70)
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, სარიეგი, ვინტრა, ვარჟინიაკი (რუკავინა 86), ნილსონი, სიმაო, კარაგუნისი, სილვა, მანციოსი, სალპინგიდისი, გაბრიელი (ხრისტოდოლოპულოსი 74)
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
ვილიარეალი: ლოპესი, გოდინი, ფუენტესი, კაპდევილა, ანხელ ლოპესი (ვენტა 29), ეგურენი, სენა, იბაგასა (ბრუნო 75), კასორლა, როსი, ნიჰათი (ლიორენტე 46)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ლიორენტე
მსაჯი: მასიმო ბუზაკა
63 150 მაყურებელი

4 კარში დარტყმა 4
8 კარისკენ დარტყმა 7
18 ჯარიმა 20
6 კუთხური 3
3 თამაშგარე 1
48 ბურთის ფლობა 52
0 გაფრთხილება 1

*ჰენკ ტენ კატე:* „ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშეთ. თანაბარი გუნდების შეხვედრისას ყველაფერს წვრილმანები წყვეტს. ორი შეცდომა ამდენივე გოლად დაგვიჯდა, ჩემპიონთა ლიგაში კი ნებისმიერი შეცდომა ძვირად ფასობს. ჩემი ფეხბურთელების უმეტესობას ევროთასებზე თამაშის გამოცდილება არ აქვს და ესეც კიდევ ერთი მიზეზია მარცხისა.

*მანუელ პელეგრინი:* „ჩვენ პირველ მატჩშიც უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ ვერ მოვიგეთ. აქ კი კარგი თამაში გამარჯვებით დავაგვირგვინეთ. განსაკუთრებით მეორე ტაიმში ვიყოჩაღეთ და მოგება დავიმსახურეთ.“

**იუვენტუსი 2:2 ჩელსი (0:1)**
1:0 იაკვინტა (19), 1:1 ესიენი (45), 2:1 დელ პიერო (74პ), 2:2 დროგბა (83)
იუვენტუსი: ბუფონი, კიელინი, მელბერგი, ტიაგო, მოლინარო, გრიგერა, დელ პიერო, ნედვედი (სალიჰამიჯიჩი 13), მარკიზიო, ტრეზეგე (ამაური 79), იაკვინტა (ჯოვინკო 61)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ჩელსი: ჩეხი, ტერი, ალექსი (კარვალიუ 89), ობი, ე. კოული, ბოსინგვა, ბალაკი, ლამპარდი, ესიენი (ბელეტი 66), ანელკა, დროგბა
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, კიელინი, ჩეხი, დროგბა, კოული, დელ პიერო, ანელკა
გაძევება: კიელინი (70)
მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალენკო
28 500 მაყურებელი

6 კარში დარტყმა 8
9 კარისკენ დარტყმა 7
24 ჯარიმა 26
5 კუთხური 1
1 თამაშგარე 3
46 ბურთის ფლობა 54
3 გაფრთხილება 4

*კლაუდიო რანიერი:* „ლონდონში წაგების შემდეგ მეოთხედფინალში ჩვენი გასვლის შანსი უკვე ნაკლები იყო. ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, რომელშიც სტუმრად გატანილი გოლი ძალიან მნიშვნელოვანია. „ჩელსიმ“ დაამტკიცა, რომ რაღაცით ჩვენზე ძლიერია, თუმც „იუვენტუსი“ რომ გასულიყო მეოთხედფინალში, ალბათ, საკვირველი არ იქნებოდა“.

*გუს ჰიდინკი:* „საბედნიეროდ, ანგარიში პირველივე ტაიმში გავათანაბრეთ, მეორეში კი ბურთს უმეტესად ჩვენ ვფლობდით. დელ პიეროს გოლსაც არ დაუბნევია ჩემი გუნდი, რადგან ამ ანგარიშზე მაინც გავდიოდით მეოთხედფინალში. განსაკუთრებით მიქაელ ესიენის კარგი თამაში და გოლი გამიხარდა, მას ხომ ტრავმის გამო ნახევარი წელი გაუცდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ლივერპულელი ფერნანდო ტორესი და მადრიდელი ფაბიო კანავარო



იშვიათი კადრი: საქმეში ჩართვა „ბაიერნის“ მეკარესაც მოუხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი დღით დაკარგული მეკარე



**პეტრ ჩეხი „ჩელსის" მეცხრე არაინგლისელია, რომელმაც 200-მატჩიან ზღვარს გადააბიჯა. ინტერვიუში, რომელიც კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ჩეხი მეკარე ჩელსურ ამბებს იხსენებს...**

**— როგორი შეგრძნება გქონდათ, როცა კარლო კუდიჩინის კონკურენტი გახდით?**

— მაშინ კუდიჩინიზე არაფერი არ ვიცოდი და ვიფიქრე: „ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ მივალ კლუბში სეზონისწინა შეკრებაზე, თავს არ დავზოგავ და მერე ვნახოთ, რა გამოვა".

ჩემი უპირატესობა ის იყო, რომ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავდა და მეც და კუდიჩინიც მისთვის ერთნი ვიყავით. საწყისი პოზიცია ერთნაირი გვქონდა ჟოზე მოურინიუ წინაშე.

სეზონის წინ კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ „მილანთან" მატჩში მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში კუდიჩინი დააყენა და მაშინ კი ვთქვი, თუ „მილანთან" კუდიჩინი პირველია, მე აქ პირველობის ლოდინი დიდხანს მომიწევს-მეთქი.

ამის გამო გული არ გამიტეხავს, და ისევ გავაგრძელე შრომა. მერე, „სარაგოსასთან" ამხანაგური მატჩის წინ სტივ კლარკი მოვიდა და მითხრა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვიქნებოდი.

იმ დღეს უბედნიერესი კაცი ვიყავი. კლარკის სიტყვები არასოდეს დამავიწყდება. ყოველ ვარჯიშზე ვფიქრობდი, რომ მალე პირველი მეკარე გავხდებოდი და ასეც მოხდა.

მატჩის წინ გასახურებლად რომ გამოვდიოდი, ქომაგები კუდიჩინის სახელს გაჰყვიროდნენ და როცა ტაბლოზე გუნდის შემადგენლობაში ჩემს გვარს დაინახავდნენ, კიდევ უფრო მაგრად ყვიროდნენ: „კარლო, კარლო!"

საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „ისე უნდა ვითამაშო, რომ ხალხი ლავარწმუნო — ადგილი კი არ მომიპარავს, არამედ დავიმსახურე".

**— როგორი იყო დიდებული დაცვის ხაზის — ტერი, გალასი, მაკელელეს — ზურგსუკან კარში დგომა?**

— მაშინ მთელი გუნდი საუცხოოდ თამაშობდა. ყოველთვის, მოედანზე გასვლისას, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ გოლს არ გავუშვებდი. გუნდი ერთ ტალღაზე იყო და ვიცოდით, რომ მოსაგებად ერთი გოლიც გვეყოფოდა. ეს თითქმის წარმოუდგენელია.

**— 2004-05 წლების სეზონში პრემიერლიგაში გოლგაუშვებელი სერიის რეკორდი დაამყარეთ...**

— ვიცოდი, რომ „ბლექბერნთან" შესვენებამდე გოლი არ უნდა გამეშვა, რათა პეტერ შმაიხელის რეკორდი მომეხსნა. ორი წუთი რომ რჩებოდა რეკორდამდე, ვფიქრობდი: „ღმერთო, ეს დაუჯერებელია".

**— „ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში წაგებულ მატჩს როგორ იხსენებთ? მაშინ საეჭვო გოლი ჩათვალეს თქვენ კარში...**

— ყველამ იცის, რომ გოლი არ ;ოფილა. ნებისმიერ ვითარებაში, როცა 1:0-ს აგებ, ბრაზობ და გათანაბრებას ცდილობ, მაგრამ ძალიან მძიმე მატჩი იყო.

ბევრი ამბობდა, რომ მსაჯს გოლი რომ არ ჩაეთვალა, პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.

**— თან იმ მატჩში ტრავმირებული მხრით ითამაშეთ...**

— მარცხენა მხარი საშინლად მტკიოდა, მაგრამ როგორღაც ვუძლებდი. თამაშისას თავს არ ვზოგავდი, ვარჯიშზე კი მხარს ვუფრთხილდებოდი. მერე კი, ბედის ირონიით, ერთი მხრის მოფრთხილებაში, მეორეც დამიშავდა. ასე რომ, წელიწადზე მეტი ნატკენი მარცხენა და დაახლოებით რვა თვე, ნატკენი მარჯვენა მხრით ვთამაშობდი.

სრული დატვირთვით ვერ ვვარჯიშობდი, რადგან ტრავმის გართულების მეშინოდა. მაინც ჩავამთავრე სეზონი და ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემპიონები გავხდით.

**— ამის მერე იყო საშინელი შეჯახება რედინგელ შტეფან ჰანტთან, რომლის შედეგადაც საავადმყოფოში აღმოჩნდით. როგორ ფიქრობთ, განზრახ მოგარტყათ მუხლი თავში?**

— ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ. ვერავინ იტყვის, რომ ჰანტს ჩემი დაშავება განგებ სურდა, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ინციდენტი მატჩის დასაწყისშივე მოხდა და ეს მაფიქრებს.

მერე რამდენჯერმე ვნახე შეჯახების ეპიზოდი, თუმცა მხოლოდ ჰანტმა იცის, განგებ გააკეთა თუ შემთხვევით მოხდა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰანტი ჩემს მოკვლას ცდილობდა. ის კი გამიკვირდა, რომ მსაჯმა ამის გამო ჯარიმა არ დანიშნა.

განზრახ არ იყო, მაგრამ ფეხი ხომ დამარტყა? იგივე მოედნის ცენტრში რომ მომხდარიყო და სხვისთვის მუხლი ასე ჩაერტყათ, უეჭველად ჯარიმა იქნებოდა.

ალბათ, საჯარიმოს გარეთ უნდა ვყოფილიყავი, რომ მსაჯს დაესტვინა, მაგრამ იქ საიდანღა მოვხვდებოდი? ფოტოებზე ვნახე, რომ პირი მაქვს ღია და რაღაცას ვამბობ შეჯახების მერე, ოღონდ არ მახსოვს, რას ვლაპარაკობდი.

ბოლო, რაც მახსოვს ისაა, თუ როგორ გამოვედი ბურთზე.

გონზე ჰოსპიტალში მოვედი. სამი დღის მერე მთელმა გუნდმა მომაკითხა. ამ სამი დღის განმავლობაში რა ხდებოდა, აზრზე არ ვარ.

**— რას გრძნობდით იმ მომენტში, როცა კარიერის გაგრძელება ეჭქვეშ დადგა?**

— ექიმებმა დაწვრილებით გამომიკვლიეს, მაგრამ დარწმუნებით ვერ მეუბნებოდნენ, რომ თამაშს კვლავაც შევძლებდი. ოპერაციამაც კარგად ჩაიარა, სარეაბილიტაციო პერიოდმაც და სამი თვის მერე ვარჯიში რომ დავიწყე, ეს სასწაული იყო.

**— ამბობენ, რომ იმ შეჯახების მერე პეტრ ჩეხი ძველებურად ძლიერი აღარაა...**

— ეს სისულელეები მაგიჟებს. ხალხს ამის სათქმელად საბაბი მიცი და, მზად არიან, დაუსრულებლად ამტკიცონ, რომ ესა თუ ის, ისეთი აღარაა, როგორიც ადრე იყო. არადა, მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ უკეთესად ვთამაშობდი.

მთელი სეზონი კარგად ჩავატარე, ძალიან ცოტა შეცდომა მქონდა და აუღებელიც ავიღე. ტრავმის მერე ფსიქოლოგიურადაც უფრო გავძლიერდი. ვგრძნობდი, რომ უფრო ძლიერი გავხდებოდი, ვიდრე ტრავმამდე ვიყავი.

**— შეცდომების დავიწყება გიჭირთ?**

— პირველ რიგში უნდა შეიგნო, რომ თუ თამაშისას შეცდი, ვეღარაფერს უშველი. რაც უფრო დიდხანს იფიქრებ ამაზე, მით უარესია შენთვის და ახალ-ახალ შეცდომებს დაუშვებ.

ჩემი ფილოსოფია ასეთ შემთხვევაში მარტივია: თუ შევცდები და გოლს გავუშვებ, ვამბობ, რომ ისევ 0:0-ა და ყველაფერს ახლიდან ვიწყებ.

მატჩის მერე კი შეიძლება ფიქრი და გაანალიზება, მაგრამ მატჩისას არა.

**— მხედველობა ცოტათი რომ გაგიუარესდათ, ეს თავის ტრავმის ბრალია?**

— არავინ იცის. ამის დამადასტურებელი არაფერი არსებობს. ყოველი სეზონის წინ გამოკვლევას გავდივარ და პრობლემა არ მქონია, ეს უცბად მოხდა, მოულოდნელად. „არსენალთან" მატჩში რომ შევცდი, მაშინ ვიგრძენი პირველად, მერე სათასო შეხვედრაშიც იგივე დამემართა, ბურთზე ცუდად გამოვედი და ამის შემდეგლა მივედი ექიმთან. კორექციის შედეგად ყველაფერი ისევ რიგზეა.

**— ჩემპიონთა ლიგის წაგებულ ფინალს როგორ იხსენებთ?**

— ხალხი ამბობს, რომ დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ მე პირიქით მემართება. რაც უფრო დრო გადის და იმ მატჩის ჩანაწერს ვნახულობ, მით უფრო ცუდ ხასიათზე ვდგები.

**— როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა?**

— როცა ჩემზე ამას ამბობენ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. კანის, ბუფონის, კასილიასის, დიდას და ვან დერ სარის გვერდით რომ მაყენებენ, უდიდესი პატივია.

**— მომავლისგან რას ელით?**

— კიდევ ხუთწლიანი კონტრაქტი მაქვს და 200 მატჩს ამდენივეს თუ მივუმატებ, ურიგო ამბავი არ უნდა იყოს. ოღონდ, მხოლოდ პრემიერლიგის ჩემპიონობა არ კმარა, ჩემპიონთა თასიც მინდა.

# რეალუცია მადრიდში: ალბათ, პერესი

**„ლივერპულთან"** „რეალის" მარცხს მადრიდულ კლუბში რევოლუცია მოჰყვება.

კლუბის პრეზიდენტის არჩევნები 5 ივლისს არის დანიშნული და „მარკა" წერს, რომ „რეალის" სპორტულ დირექტორს პრედრაგ მიატოვიჩს მანამდე მოუწევს სავარძლის დატოვება.

ეს იყო გუნდის ყველაზე სამარცხვინო მარცხი ჩემპიონთა ლიგის დაარსებიდან.

ხუანდე რამოსი „რეალის" მეშვიდე მწვრთნელია 2004-05 წლების სეზონიდან მოყოლებული და ამ ხნის განმავლობაში კლუბს ხუთჯერ შეეცვალა პრეზიდენტი.

შედარებისთვის, „ლივერპულს" იმავე სეზონიდან ერთი მწვრთნელი ჰყავს. ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და თასი ერთხელ მოიგო.

წლის დასაწყისში „მარკას" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, პრეზიდენტობას ფლორენტინო პერესს უწინასწარმეტყველებდნენ, რომელმაც უკვე ზამთარშივე დაიწყო საარჩევნო კამპანიის მსგავსი აქცია.

შევახსენებთ, რომ პერესის პირველი პრეზიდენტობისას იქცა გუნდი „გალაქტიკოდ", რომელშიც ფიგუ, ზიდანი, რონალდო და ბექემი თამაშობდნენ.

გულშემატკივართა უმეტესობას სჯერა, რომ პერესი გუნდს დიდებას დაუბრუნებს და გამორიცხული არაა, კლუბში ზინედინ ზიდანს მრჩევლის ადგილი გამოუნახოს.

პრედრაგ მიატოვიჩს „რეალთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს, მაგრამ „მარკას" ვარაუდით, მას ამ თვეში მოუწევს აბარგება.

სწორედ მიატოვიჩს აბრალებენ უნიჭო სელექციას და ისეთი ფეხბურთელების ყიდვას, რომლებიც გუნდს არაფერში გამოადგნენ.

მისი უყურადღებობის ბრალია, რომ კლაას იან ჰუნტელაარი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ვერ მოხვდა.

„ვესტ ჰემიდან" ფრანგი ჟულიენ ფობერი რისთვის წაიყვანა, ესაც გაუგებარი დარჩა. ნახევარმცველი სათადარიგოთა სკამზეც კი არ უნახავთ.

ხუანდე რამოსის ბედი კი ჩემპიონატში საბოლოო შედეგზე და ახალ პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული.

მის ხელში პრიმერაში გუნდმა ზედიზედ ათი მატჩი მოიგო და „ბარსასთან" 12-ქულიანი სხვაობა ექვსამდე შეამცირა.

**რომან თურქია**



ფლორენტინო პერესი

# ჩემპიონთა ლიგა 2008–2009

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**რომა 1:0დ.დ. (6:7პ) არსენალი (0:1)**
1:0 ჟუანი (9)
რომა: დონი, ჟუანი (ბაპტიშტა 28), დიამუტენე, რიისე, მოტა, პისარო, ბრიგი (მონტელა 120), ტონეტო, ტადეი (აკვილანი 90), ტოტი, ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
არსენალი: ალმუნია, გალასი, ტურე, კლიში, სანა, დენილსონი, დიაბი, ვან პერსი, ნასრი, ბენდტნერი (ედუარდო 85), ებუ (უოლკოტი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: პისარო, დიაბი, მოტა
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი
81 000 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 4
10 კარისკენ დარტყმა 8
22 ჯარიმა 20
8 კუთხური 14
3 თამაშგარე 1
47 ბურთის ფლობა 53
2 გაფრთხილება 1

**მანჩესტერი 2:0 ინტერი (0:0)**
1:0 ვიდიჩი (4), 2:0 რონალდუ (49)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, ოში, სქოულზი (ანდერსონი 70), კარიკი, გიგზი, რონალდუ, რუნი (პარკი 84), ბერბატოვი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ინტერი: სეზარი, სამუელი, კორდობა, სანტონი, მაიკონი, კამბიასო, ვიეირა (მუნტარი 46), ძანეტი, სტანკოვიჩი (ადრიანო 59), იბრაჰიმოვიჩი, ბალოტელი (ფიგუ 70)
მწვრთნელი: ჟოზე მოურინიუ
გაფრთხილება: სამუელი, რუნი, მუნტარი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი
74 769 მაყურებელი

8 კარში დარტყმა 3
9 კარისკენ დარტყმა 11
13 ჯარიმა 16
3 კუთხური 3
2 თამაშგარე 1
55 ბურთის ფლობა 45
1 გაფრთხილება 2

**პორტუ 0:0 ატლეტიკო (2:2)**
პორტუ: ელტონი, ალვეში, როლანდო, სისოკო, საპუნარუ (კოშტა 83), ფერნანდუ, მეირელეში, გონსალესი, როდრიგესი, ჰულკი (ნიკოლასი 89), ლოპესი (ფარიასი 90)
მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა
ატლეტიკო: ფრანკო, უიფალუში, იბანიესი, ლოპესი, პერეა, ასუნსაო, გარსია (მანიშე 73), სიმაო, სინამა-პონგოლი (კუევასი 80), აგუერო, მაქსი როდრიგესი (ფორლანი 54)
მწვრთნელი: აბელ რესინო
გაფრთხილება: როდრიგესი, ჰულკი, პერეა, უიფალუში
მსაჯი: პიტერ ვინკი
49 500 მაყურებელი

6 კარში დარტყმა 1
10 კარისკენ დარტყმა 8
15 ჯარიმა 20
8 კუთხური 7
0 თამაშგარე 0
42 ბურთის ფლობა 58
2 გაფრთხილება 2

**ბარსელონა 5:2 ლიონი (1:1)**
1:0, 2:0 ანრი (25, 27), 3:0 მესი (40), 4:0 ეტოო (43), 4:1 მაკონი (44), 4:2 ჟუნინიო (48), 5:2 კეიტა (90)
ბარსელონა: ვალდესი, პიკე, მარკესი, სილვინიო, ალვეში, ტურე, ხავი, ინიესტა (გლები 90), ანრი (კეიტა 75), ეტოო (კრკიჩი 87), მესი
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
ლიონი: ლორისი, ბუნსონგი, კრისი, გროსო, კლერკი (ბოდმერი 46), ტულალანი, მაკონი, ჟუნინიო, ედერსონი (კეიტა 85), ბენზემა, დელგადო (კალსტრომი 61)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: კრისი, ჟუნინიო, ანრი, დელგადო, გროსო, მაკონი, ტულალანი, ჟუნინიო
გაძევება: ჟუნინიო
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო
93 062 მაყურებელი
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო

8 კარში დარტყმა 2
12 კარისკენ დარტყმა 5
9 ჯარიმა 27
6 კუთხური 1
0 თამაშგარე 4
62 ბურთის ფლობა 38
1 გაფრთხილება 7


კრიშტიანუ რონალდუს გოლი „ინტერის" კარში


„რომას" მეგოლე ჟუანი და კაპიტანი ტოტი

### ინგლისი

#### პრემიერლიგა

**ფულემი 1:2 ბლექბერნი**
1:0 დემპსი (2), 1:1 დიუფი (69), 1:2 რობერტსი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 20 | 5 | 2 | 48:12 | 65 |
| ჩელსი | 28 | 17 | 7 | 4 | 48:16 | 58 |
| ლივერპული | 28 | 16 | 10 | 2 | 45:20 | 58 |
| ასტონ ვილა | 28 | 15 | 7 | 6 | 42:29 | 52 |
| არსენალი | 28 | 13 | 10 | 5 | 41:26 | 49 |
| ევერტონი | 28 | 12 | 9 | 7 | 36:28 | 45 |
| ვესტ ჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 34:34 | 39 |
| სიტი | 28 | 10 | 5 | 13 | 45:36 | 35 |
| უიგანი | 28 | 9 | 8 | 11 | 27:27 | 35 |
| ფულემი | 28 | 8 | 10 | 10 | 25:25 | 34 |
| ბოლტონი | 28 | 10 | 3 | 15 | 30:40 | 33 |
| ტოტენჰემი | 28 | 8 | 8 | 12 | 33:33 | 32 |
| სანდერლენდი | 28 | 8 | 8 | 12 | 28:36 | 32 |
| ჰალი | 28 | 8 | 8 | 12 | 34:50 | 32 |
| ბლექბერნი | 28 | 7 | 9 | 12 | 32:44 | 30 |
| სტოკი | 28 | 7 | 8 | 13 | 27:44 | 29 |
| ნიუკასლი | 28 | 6 | 10 | 12 | 34:45 | 28 |
| პორტსმუთი | 27 | 7 | 7 | 13 | 29:44 | 28 |
| მიდლსბრო | 28 | 6 | 8 | 14 | 20:40 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 6 | 4 | 18 | 25:54 | 22 |

#### ჩემპიონატი
ბარნლი 4:2 კრისტალ პალასი

#### I ლიგა
ტრანმერე 2:0 ლესტერი

#### II ლიგა
ჩესტერფილდი 2:1 გრიმსბი

#### კონფერენსლიგა
ებსფლიტი 2:1 ბარტონი

### გერმანია

#### III ბუნდესლიგა
კიკერსი 2:1 უნტერჰახინგი
აალენი 0:0 აუე
ვუპერტალი 2:0 შტუტგარტი (მ)

### ფინეთი

#### ლიგის თასი
იავასკილა 2:3 ტამპერე
კუოპიო 0:3 ვაასა
მიუპა 0:1 ჰონკა

### შვეიცარია

#### სუპერლიგა
აარაუ 1:0 გრასჰოპერი

### კვიპროსი

#### თასი
პეიასი 3:0 ომონია
ლიმასოლი 2:0 ეთნიკოსი

### უნგრეთი

#### თასი
KBSC 1:2 დიორი
ჰონვედი 2:0 კეჩკემეტი
მტკ 1:2 უიპეშტი

### სამხრეთ ამერიკა

#### კოპა ლიბერტადორესი
კალი 1:1 მედელინი

### აზია

#### ჩემპიონთა ლიგა
ალ ჰილალი 1:1 საბა
ალ ჯაზირა 0:1 სალალი
ალ იტიჰადი 2:1 ესტეჰლალი
ბუნიოდკორი 2:1 ალ იტიფაქი
სეპაჰანი 2:0 ალ შაბაბი
სუვონი 4:1 კაშიმა
შენჰუა 4:1 სინგაპური
მარინერსი 0:0 სტილერსი
კავასაკი 1:0 ტიანჯინი


„ლიონს" ერთი გოლი ლიონელ მესიმაც გაუტანა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, ნუკრი ლოლაძე
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
ქართული სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge